

საჯარო ჩენისტრო ქონების ჩაგისტრაცია

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, № 11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2024, № 11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2024, № 11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2024, № 11

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია

საერთო სარგებლობის გზის ნაწილში მე-3 პირის სახელზე	
საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერება	4
მისასვლელი გზის ნაწილში უძრავი ქონების	
რეგისტრაციის კანონიერება	38
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების	
უფლების რეგისტრაციის საფუძველი	59
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების	
უფლების რეგისტრაციის კანონიერება	84
უძრავ ქონებაზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში	
ცვლილების რეგისტრაციის საფუძველი;	
სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების	
აუცილებლობის საკითხი	132

2. სხვადასხვა ტიპის უძრავი ქონების რეგისტრაცია

მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ბინის მოსარგებლედ	
რეგისტრაციის კანონიერება	156
ჩუქებისა და სამისდღეშიო რჩენის	
ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული	
რეგისტრაციის კანონიერება	170

1. მინის ნაკვეთის რეგისტრაცია

საერთო სარგებლობის გზის ნაწილში გვ-3 პირის სახელზე
საკუთრების უფლების რეგისტრაციის პარენიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ ბს-60(კ-22)

29 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი: 2016 წლის 21 აპრილს ა. თ-იმა და მ. ბ-იმა
სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნუ-
ლი სააგენტოს მიმართ. სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ,
მოსარჩელეებმა მოითხოვეს: 1) „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწ-
ყვეტილების ბათილად ცნობა, მესაკუთრე ა. გ-ის საკადასტრო საზ-
ღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი
საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (საკადასტრო კოდი: ...);
2) „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მესა-
კუთრეების – ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და
ა. თ-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლო-
ბის გზის მოქცევის ნაწილში (ს/კ ...); 3) ადმინისტრაციული საჩივრის
განხილვაზე უარის თქმის შესახებ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად
ცნობა; 4) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქ-
ტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ თბილისში, სოფელ ...ში, 800 კვ.მ
ფართის უძრავი ქონება (ს/კ ...) თანასაკუთრების უფლებით აღრიცხუ-
ლი აქტ საჯარო რეესტრში. აღნიშნული ქონება მათ სახელზე რეგის-
ტრირებულია თანაბარი წილის უფლებით. მინის ნაკვეთს ორ მხარეს –

აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, კერძოდ, აღმოსავლეთით ესაზღვრება ა. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ ...), ხოლო ჩრდილოეთით – თ. დისა და ზ. ჩ-ის მიწის ნაკვეთი (ს/კ ...). მოსარჩელეებს არ გააჩნიათ საკუთრებამდე მისასვლელი გზა, ვინაიდან ა. გ-ის, ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის თვითნებური ქმედების შედეგად, საერთო სარგებლობაში არსებული გზა მიტაცებულ იქნა და მოექცა მათ საკადასტრო საზღვრებში. მოსარჩელეების მოსაზრებით, მესამე პირთა მოთხოვნები რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრმა დააკმაყოფილა წარდგენილი სარეგისტრაციო მასალების რეესტრში დაცულ დოკუმენტაციასთან შედარების გარეშე. შედეგად, მიღებულ იქნა კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებები. ა. გ-ის მიწის ნაკვეთი 2015 წლის 10 სექტემბერს ისე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რომ წარდგენილია ზომვითი ნახაზით გადმოცემული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რეესტრში დაცულ დოკუმენტაციას, კერძოდ, საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაციის თანახმად, ა. გ-ის მიწის ნაკვეთს ესაზღვრებოდა 2 მეტრის სიგანის გზა, ხოლო სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტებით გზის არსებობა არ დასტურდებოდა. აღნიშნული ქმნიდა არა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, არამედ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველს. საჯარო რეესტრს ასევე არ უნდა განხეხორციელებინა ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ვინაიდან საჯარო რეესტრის მასალებში არ იძებნება უძრავ ქონებაზე მათი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი – სოფელი ... ის საკურებულოს 2003 წლის 21 იანვრის №69 ცნობა. ამასთანავე, ტექბიუროში დაცული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დასტურდება სოფელი ... ის საკურებულოს თავმჯდომარის ცნობით, რომლის თანახმად, ზ. ჩ-ის საკუთრებას დასავლეთით ესაზღვრება გზა. მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია არ ემთხვევა მესაკუთრის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ნახაზის კონფიგურაციას და საზღვრებს. ფაქტობრივი მდგომარეობით, ზ. ჩ-ის დასავლეთით გზის არსებობა არ დგინდება. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონსაწინააღმდეგოა. სარეგისტრაციო სამსახურს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ ა. გ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და ზ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს შორის უნდა გადიოდეს 2 მეტრი სიგანის გზა, სამხრეთით მდებარე ხევამდე, რაც დასტურდება ასევე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით. ეს სწორედ ის გზაა, რომლის საშუალებითაც ა. თ-ი და მ. ბ-ი დაუკავშირდებიან მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის 2016 წლის 5 მაისის განჩინებით, ადმინისტრაციულ საპროცე-
სო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, საქმეში მე-
სამე პირებად ჩაბმულ იქნენ ა. გ-ი, თ. დ-ი და ზ. ჩ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილ-
და ა. თ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელა-
ციონ წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. თ-ისა
და მ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი. უცვლელად დარჩა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22
დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2017 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივ-
რეს ა. თ-იმა და მ. ბ-იმა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გა-
უქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მო-
ითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმა-
ყოფილდა ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი; გაუქმდა თბილისის
სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017
წლის 20 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბ-
რუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით ა. თ-ის და მ. ბ-ის სააპელა-
ციონ საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის
22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ
საკასაციო პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის №ბს-209-209(კ-18) გან-
ჩინებაში ასახული მითითების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოში წარდგენილი 2021 წლის 17 თებერვლის განცხადებით აპე-
ლანტებმა დააზუსტეს პირველი და მეორე სასარჩელო მოთხოვნები,
რომლებიც შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: 1) ნაწილობრივ ბათილად იქ-
ნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10
სექტემბრის №... გადაწყვეტილება „რეგისტრაციის შესახებ“, მესაკუთ-
რე ა. გ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ის და ა. თ-ის კუთვნილ მიწის
ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნა-
წილში (საკადასტრო კოდი: ...); 2) ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობი-
ლი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 ნოემბრის

№... გადაწყვეტილება „რეგისტრაციის შესახებ“, მესაკუთრეების – ზ.ჩ.-ისა და თ. დ.-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ.-ის და ა. თ.-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (ს/კ...). ამდენად, სააპელაციო პალატამ შეაფასა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 სექტემბრის №... და 2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებების კანონიერება, მესაკუთრეების საკადასტრო საზღვრებში მ. ბ.-ის და ა. თ.-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1992 წლის 18 ნოემბრის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით გ. ხ.-ის მემკვიდრებად ანდერძში ნაჩვენებ ქონებაზე ცნობილი არიან თ. დ-ი და ზ. ჩ.-ი. სამკვიდრო ქონება, რომელზეც გაცემულია მოწმობა, არის საცხოვრებელი სახლი, მდებარე სოფელ ...ში. სახლი შედგება ორი სართულისაგან, ოთხი ოთახისაგან, საცხოვრებელი ფართით: 80 კვ. მეტრი, დამხმარე – 20 კვ. მეტრი, განლაგებულია მეურნეობის მინაზე.

2010 წლის 11 ნოემბერს ზ. ჩ.-იმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოითხოვა თბილისში, სოფელ ...ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. განცხადებას თან ახლდა აზომვითი ნახაზი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ზ. ჩ.-ის 2010 წლის 11 ნოემბრის განცხადება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონება (ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 1000.00 კვ. მეტრი, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) საკუთრების უფლებით აღრიცხულია თ. დ.-ისა და ზ. ჩ.-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია: 1992 წლის 18 ნოემბრის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა №2-1214; 2003 წლის 21 იანვრის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ცნობა №22; 2003 წლის 20 იანვრის სოფელი ...ის საკრებულოს ცნობა №69.

1999 წლის 3 ივნისს თ. ლ-ესა და ა. გ-ის შორის გაფორმდა ყიდვა-

გაყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც მშენებარე საცხოვრებელი სახლი და 2400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი შეიძინა ა. გ-იმა (მდებარე მცხეთის რაიონში, სოფელ ...ში; დასახლება – „გ...ი“, მშენებარე საცხოვრებელი სახლის გამშენების ფართი – 187,0 კვ. მეტრი). 2400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი მოთავსებულია შემდეგ ზომებში და საზღვრებში: აღმოსავლეთით – 108 მეტრი სიგრძე, ესაზღვრება გზა; დასავლეთით – 118 მეტრი სიგრძე, ესაზღვრება გზა; ჩრდილოეთით – 20 მეტრი სიგანე, ესაზღვრება გზა; სამხრეთით – 22,8 მეტრი სიგანე, ესაზღვრება ხევი)

2015 წლის 9 სექტემბერს ა. გ-იმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრებად აღიარებულ საკარმიდამო მინაზე (მდებარე მცხეთის რაიონში, სოფელ ...ში, დასახლება „კ...ში“; ზონა – თბილისი, სექტორი – 72). განცხადებას ერთვოდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. გ-ის 2015 წლის 9 სექტემბრის განცხადება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი ...ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე (ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 2400.00 კვ. მეტრი; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) 2015 წლის 10 სექტემბრიდან აღრიცხულია ა. გ-ის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 1999 წლის 3 ივნისს დამოწმებული ხელშეკრულება №2-318).

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე (საკუთრებისა და მერკევიდრეობის უფლება) და მოიხმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: „მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები, საქართველოს წინააღმდეგ“ (გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით კი, საკუთრების უფლების იგნორირება გამორიცხავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, მთლიანად საზოგადოებისა და მის ცალკეულ წევრთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სტაბილურობას. დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ეკო-

ნომიკური სიძლიერე სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას ეყრდნობა“). ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც (მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე) და მიუთითა, რომ საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული დებულებები არანაირად არ ანინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ მოქმედებს უტყუარობის და სისრულის პრეზუმცია, რაც განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება კონკრეტული სახით არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ პირს. უძრავ ქონებაზე როგორც რეგისტრაცია, ასევე მათში ცვლილება, წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. თავის მხრივ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ პუნქტებზე („სარეგისტრაციო დოკუმენტის“ და „სარეგისტრაციო დოკუმენტაციის“ განმარტება) და განმარტა, რომ კანონი არ განსაზღვრავს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის კონკრეტულ ჩამონათვალს, შესაბამისად, „რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებულ ორგანიზმი წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები“, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავისი შინაარსის გათვალისწინებით უნდა უქმნიდეს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების წინაპირობის არსებობის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებულ ნაწილში სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უკანონობასთან მიმართებაში აპელანტების მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტების მიხედვით, ა. გ-იმა (ს/კ ...), ზ. ჩ-იმა და თ. დ-იმა (ს/კ ...) თავიანთი მიწის ნაკვეთების საზღვრებში მოაქციეს ნაკვეთებს შორის გამავალი საერთო სარგებლობის გზა, რაც ა. თ-ის და მ. ბ-ის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან დამაკავშირებელ ერ-

თადერთ საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 11 სექტემბრის №ბ-ს 209-209(კ-18) განჩინებაში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვა მოსარჩელეების: მ. ბ-ისა და ა. თ-ის წინამორბედ მესაკუთრებზე გაცემული 1992 წლის 6 ოქტომბრის №31 მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე ა. გ-ის წინამორბედ მესაკუთრებზე - თ. ლ-ეზე გაცემული 1992 წლის 6 ოქტომბრის №8 მიღება-ჩაბარების აქტი და უძრავი ქონების შესაბამისი პერიოდის ორთოფოტო მასალა.

სააპელაციო პალატამ საქმეზე წარმოდგენილი 1992 წლის 6 ოქტომბრის №31 მიღება-ჩაბარების აქტით დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ხ-ის გადაეცა 0.08 ჰა მინის ნაკვეთი, რომელიც მოთავსებულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩ-ი, სამხრეთით - ხევი, აღმოსავლეთით - ჯ. ქ-ე, დასავლეთით - გ. მ-ე. 2012 წლის 12 ოქტომბერს მ. ხ-იმა №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და №... უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. აღნიშნულ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, მარეგისტრირებელ ორგანოს 2012 წლის 9 ნოემბერს დამატებით წარედგინა მ. ხ-ის განცხადება, რომელშიც განმცხადებელი მიუთითებს: „ვინაიდან მინის ნაკვეთთან მისასვლელი გზა არ არსებობს, ამისათვის ჩემს კუთვნილ ფართზე ვიკლებ მინის ფართს და მსურს დავიკანონო ნაკვეთთან მისასვლელი გზა, რათა წინა ორი მეზობლის მიერ არ მოხდეს (სამომავლოდ) ამ გზის დაკანონება, რის შემდეგაც მე დავკარგავ ნაკვეთთან მისასვლელ გზას“. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება მ. ხ-ის განცხადებაზე.

საჯარო რეესტრიდან საქმეზე დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მცხეთის რაიონის ტექნიკურის უფროსის 1999 წლის 18 მაისის №186 ცნობის თანახმად, თ. ლ-ეის სახელზე სოფელ ...ში ორი ცხებოდა 2400 კვ.მ ფართის საკარმიდამო მინის ნაკვეთი და მასზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლი, გაშენების ფართით - 187 (სახლთმფლობელობა მცხეთის ტექნიკურტარიზაციის ბიუროში რეგისტირებულია N39-ით). 1999 წლის 18 მაისის №39 საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ პასპორტში (თ. ლ-ე) დაცული მინის ნაკვეთის გეგმის (ნახაზის) მიხედვით, 2400 კვ.მ მინის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფლის გზა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განმარტებით, 1992 წლის 6 ოქტომბრის №8 მიღება-ჩაბარების აქტი ტექალ-

რიცხვის ბიუროში არ იძებნება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილ, 2005 წლით დათარიღებულ ორთოფოტოზე, №..., №... და №... მინის ნაკვეთებს შორის გზის არსებობის ფაქტი არ დასტურდება.

სააპელაციო პალატამ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტების თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (ს/კ ...) თავდაპირველ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ნ. ხ-ის სახელზე გაცემული 1992 წლის 6 ოქტომბრის №31 მიღება-ჩაბარების აქტი. მითითებული მიღება-ჩაბარების აქტის შინაარსით და თანდართული ნახაზით დგინდება, რომ მინის ნაკვეთის არცერთი მხრიდან გზა არ ესაზღვრებოდა, კერძოდ, 0.08 ჰა მინის ნაკვეთი მოთავსებულია შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩი, სამხრეთით ესაზღვრება ხევი, აღმოსავლეთით ესაზღვრება ჭ. ქ-ე, ხოლო დასავლეთით – გ. მ-ე. ამდენად, ა. თ-ის და მ. ბ-ის წინამორბედ მესაკუთრებზე გაცემული უფლების დამდგრენი დოკუმენტით არ დასტურდება მინის ნაკვეთის მომიჯნავედ გზის არსებობა. ამასთანავე, მ. ხ-იმა, რომლისგანაც მოსარჩეულებამა შეიძინეს №... მინის ნაკვეთი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2012 წლის 9 ნოემბერს წარდგენილი განცხადებით თავად დაადასტურა ის გარემობა, რომ იმ მდგომარეობით, მინის ნაკვეთთან (ს/კ ...) მისასვლელი გზა არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი, ა. გ-ის №... მინის ნაკვეთის წინამორბედი მესაკუთრის – თ. ლ-ეის სახელზე გაცემული 1999 წლის 18 მაისის №186 ცნობის მიხედვით, თ. ლ-ეის სახელზე სოფელ ...ში ორიცხებოდა 2400 კვ.მ საკარმიდამო მინის ნაკვეთი და ზედ მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლი (გაშენების ფართით – 187. სახლომფლობელობა მცხეთის ტექინიკურტარიზაციის ბიუროში რეგისტირებულია №39-ით). ამასთან, 1999 წლის 18 მაისის №39 საცხოვრებელი სახლის ტექინიკურ პასპორტში (თ. ლ-ე) დაცული მინის ნაკვეთის გეგმით (ნახაზით) ირკვევა, რომ მინის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფლის გზა. რაც შეეხება თ. ლ-ეის სახელზე გაცემულ 1992 წლის 6 ოქტომბრის №8 მიღება-ჩაბარების აქტს, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი ტექალრიცხვის ბიუროში არ იძებნება.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილ, 2005 წლით დათარიღებულ ორთოფოტოზე, რომლითაც დგინდება, რომ 2005 წლის მდგომარეობით, №..., №... და №... მინის ნაკვეთებს შორის გზა ფაქტობრივად არ არსებობდა. ამასთანავე, №... და №... საკადასტრო კოდებით რეგის-

ტრირებულ მინის ნაკვეთებს შორის გზის არსებობა ან გზის კვალის არსებობა, არც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 11 ივნისს განხორციელებული ადგილზე დათვალიერებით არ დადგინდა.

საქმეში არსებულ სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 ნოემბრისა და 2016 წლის 11 აპრილის დასკვნებთან დაკავშირდით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. ამასთანავე, სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა იყოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით. სააპელაციო პალატის განმარტებით, 2015 წლის 30 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია იმ დასკვებით, რომ სსიპ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე დატანილია გზა, რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება. 2016 წლის 11 აპრილის ექსპერტიზის დასკვნასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტები გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს სადავოდ ხდიან მხოლოდ მათ კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის ნაწილში, რომლის არსებობის ფაქტიც არ დგინდება. ამ პირობებში, 2016 წლის 11 აპრილის ექსპერტიზის დასკვნა არ იძლევა გაზიარებისა და მის საფუძველზე სადაც საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, აპელანტების წინამორბედ მესაკუთრებზე გაცემული უფლების დამდგენი დოკუმენტის, ა. გ-ის წინამორბედი მესაკუთრის სახელზე ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული მონაცემის (აღნიშნული სააღრიცხვო მასალა ბალაშია და არ გაუქმებულა), 2005 წლის ორთოფოტოს მონაცემების შეფასებისა და ურთიერთშეჯვერების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთებს შორის გზის არსებობის ფაქტი არ დასტურდება. შესაბამისად, აპელანტების პოზიცია, მათ კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის არსებობის თაობაზე, უსაფუძლოა.

სააპელაციო პალატამ ასევე იმსჯელა „ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილების კანონიერებაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრის განხილვაზე დააფუძნა „საჯარო რეესტრის

შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და მიუ-თითა, რომ რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გა-დაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა სადაც აქტში მითითებული მოტივაცია, რა-საც პალატა არ იზიარებს და განმარტავს, რომ საქართველოს უზენაე-სი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, და-საშვებად არის მიჩნეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს მხრიდან ტერიტორიული სამსახურების გადაწყვეტილების (მათ შორის – საკუთრების უფლების რევისტრაციის შესახებ გადაწყვეტი-ლების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა. საკასაციო სასა-მართლოს განმარტებით, საჯარო რეესტრის სტრუქტურული წყობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ მას არა აქვს უფლება ადმი-ნისტრაციული საჩივრის საფუძველზე გადაამოწმოს მის მიერვე მიღე-ბული აქტის კანონიერება. ამდენად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ გამორიცხავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას, წარდგე-ნილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში გადაამოწმოს ტერიტო-რიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერე-ბა. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმების მიზნით, მიმართოს რო-გორც მარეგისტრირებელ ორგანოს, ისე სასამართლოს. სადაც ნორმა და მასში რეგისტრაციის შესახებ აქტის კანონიერების შემოწმების დაქ-ვემდებარება სასამართლოსადმი, მარეგისტრირებელ ორგანოს არ უზ-ღუდავს ამგვარ აქტზე ნარდგენილ საჩივრის განხილვის უფლებას. (სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-ლატის 2021 წლის 8 ივლისის განჩინება № ბს-144(კ-19) საქმეზე). სააპე-ლაციო პალატის განმარტებით, ვინაიდან საქმეზე დადგენილი ფაქტობ-რივი გარემოებებით ცალსახად დადასტურებულია მესამე პირების სა-კუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერება, ამასთან, მოპასუ-ხეს ამ ნაწილში არ მოუთხოვია ადმინისტრაციული საჩივრის განხილ-ვის დავალება, მიზანშეწონილია, ამ მოთხოვნის ნაწილშიც არ დაკმა-ყოფილდეს მოსარჩელების მოთხოვნა.

„2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შესახებ“ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სა-აპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციუ-ლი კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევა-ში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. მითითე-

ბული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესასრულებლად სავალდებულო ძალა არ არის აპსოლუტური ხასიათის და კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ასეთი აქტების საკუთარი ინიციატივით გაუქმების შესაძლებლობას, რითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელოს საკუთარი გადაწყვეტილებების თვითკონტროლი. სასამართლომ მოხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის №ბს-861-853(კ-16) გადაწყვეტილება, რომლითაც საკასაციო პალატამ განმარტა: „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის აუცილებელია, რომ ერთ შემთხვევაში (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ აქტის ბათილად ცნობა) სახეზე გვქონდეს ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივა, შეემოწმოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, მეორე შემთხვევაში კი (ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა), დაინტერესებული პირის საჩივარი უკვე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის შემოწმების, გაბათილების მოთხოვნით. ამდენად, კანონის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შეუძლია: 1) თავად აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს (კანონი არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებამოსილების გამოყენებისათვის აუცილებელ რაიმე განსაკუთრებულ წინაპირობას, მინიმალურ დონეზე ინფორმირებულობაც კი საკამარისია იმისთვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთარი ინიციატივით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თავისივე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესამოწმებლად, გასაბათილებლად); 2) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს (ამ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ ზემდგომ ორგანოს წარედგინოს დაინტერესებული პირის ადმინისტრაციული საჩივარი უკვე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის შემოწმების, გაბათილების მოთხოვნით); 3) სასამართლოს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ერთ-ერთი ფუნდამენტური პროცესუალური პრინციპს – დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხოლოდ დაინტერესებული პირის (მოსარჩევლის) მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელს შეუძლია სათავე დაუდოს ადმინისტრაციულ სამართლნარმოებას, რომლის ფარგლებშიც სასამართლო ამონშებს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის საკითხს, იღებს უკანონო აქტის გაბათილე-

ბის შესახებ)“. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ ნაწილში კანონშესაბამისად მიიჩნია „რეგისტრაციის შესახებ“ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, არ არსებობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა – ა. თ-იმა და მ. ბ-იმა.

კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი დაკამაყოფილდება.

კასატორების მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. კასატორები ყურადღებას ამახვილებენ მოცემულ საქმეზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 11 სექტემბრის №ბს-209-209(კ-18) განჩინებაზე, რომლითაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს, იმ მოსაზრებების გასათვალისწინებლად რაც განჩინებით იქნა განსაზღვრული. საქართველოს უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატას მთელ რიგ საკითხებში და საქმის ხელახლი განხილვისას დაავალა სააპელაციო პალატას, ყურადღება მიექცია შესაბამის საკითხებზე. სააპელაციო პალატამ თავი ვერ გაართვა ამ მითითებების დასაბუთების ან უარყოფის ტვირთს. გასაჩივრებული განჩინებით გაკეთებულია მცდარი დასკვნები, რაც არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. სააპელაციო პალატამ საერთოდ გამორიცხავის გზის არსებობის ფაქტი და შესაბამისად, ამ პირობებში, შეუძლებელი იყო რეგისტრაციის ხელშემწლელი გარემოებების შეფასება. სააპელაციო სასამართლოს დასკვნები გზის არარსებობასთან დაკავშირებით, მცდარი და დაუსაბუთებელია. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები და ისე მივიდა მცდარ გადაწყვეტილებამდე. ფაქტების ნაწილი მისი მხრიდან არასრულად შეფასდა.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, მე-60⁰ მუხლებზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე და მიიჩნევენ, რომ სადავო შემთხვევაში, მარეგისტრირებელმა ორგანომ არ შეადარა სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები რეესტრში დაცულ დოკუმენტებს. ა. გ-ის მიერ სარეგისტრაციო მასალების ნარდგენის შემდგომ,

საჯარო რეესტრს უნდა მიეღო რეგისტრაციის შეჩერების შესახებ გა-დაწყვეტილება, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „გ პუნქტის საფუძველზე“ ამ კარა იყო, რომ წარდგენილი აზომვითი ნახაზით გადმოცემული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რე-ესტრში დაცულ დოკუმენტაციას – ა. გ-ის ნაკვეთს, რეესტრში დაცუ-ლი დოკუმენტაციის თანახმად, აღმოსავლეთი ნაწილში ესაზღვრებოდა 2 მეტრი სიგანის გზა, ხოლო სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენ-ტი ამ კომპონენტს არ მოიცავდა, იყო დაკორექტირებული და გზის არ-სებობას საერთოდ გამორიცხავდა. ასეთ პირობებში, მარეგისტრირე-ბელს უნდა შეეჩერებინა წარმოება და მოეთხოვა განმცხადებლისთვის 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა მეზობელ მიწის ნაკვეთთან, ან 2 მეტ-რი სიგანის გზის საკუთრებასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რაც არ განუხორციელებია. მარეგისტრირებელს უნდა მოეთხოვა განმცხადებ-ლისათვის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ორ ნაკ-ვეთს შორის არსებულ გზის საკუთრებაში მოქცევა მას ნამდვილად შე-ეძლო, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც რეესტრში დაცული ყველა დოკუმენტი მიუთითებდა გზის არსებობაზე. თავად ა. გ-ის მიერ წარ-დგენილი დოკუმენტი – ნასყიდობის ხელშეკრულება მიუთითებდა მო-მიჯნავე ნაკვეთთან 2 მეტრი სიგანის გზის არსებობაზე, თუმცა მისი საკუთრების უფლება მაინც დარეგისტრირდა ისეთი ფორმით, რომ აღ-ნიშნული გზა აღარ დარჩა. შეუძლებელია, ასეთ პირობებში ა. გ-ის ჰექ-ნოდა კანონიერი ნდობა. მან თავადვე იცოდა, რომ 2 მეტრი სიგანის გზა არ ეკუთვნოდა. კანონიერი ნდობის პრინციპს საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ დაინტერესებული პირის კეთილსინდისიერი ქცევა.

კასატორების განმარტებით, 2020 წლის 11 სექტემბრის №ბა-209-209(კ-18) განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლო არ დაე-თანხმა სააპელაციო პალატას მთელ რიგ საკითხებში, კერძოდ: სასა-მართლო არ დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დას-კვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის კუთვნილი მი-ნის ნაკვეთის რეგისტრაციისას არ არსებობდა რეგისტრაციის ხელშემ-შლელი გარემოებები და №... გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკასაციო პალატამ მიუთითა მიწის ნაკვეთის ნახაზზე, რომლითაც განსაზღვრულია მოსაზღვრე მხარეები და აღ-ნიშნულია, რომ ნაკვეთს „ა-ბ“ მხარეს ესაზღვრება გზა. აღნიშნული გა-რემოება საჯარო რეესტრს არ გამოუკვლევია დაზუსტებული მონაცე-მებით საკუთრების უფლების რეგისტრაციისას და არ შეუფასებია, რამ-დენად იძლეოდა ნაკვეთი სწორედ ამგვარი კონფიგურაციით რეგისტრა-ციის შესაძლებლობას. სადაც სწორედ ეს გარემოებაა – მომიჯნავე მესაკუთრების კუთვნილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციამ გამოიწ-ვია მოსარჩელთა კუთვნილ უძრავ ქონებამდე მისასვლელი გზის გაუქ-

მება. საკითხის ხელახალი განხილვისას აღნიშნული გარემოება სააპე-ლაციო პალატამ საერთოდ არ გამოიკვლია და შეფასების მიღმა დატო-გა.

კასატორების განმარტებით, ა. გ-ი 2015 წლის 10 სექტემბერს დარე-გისტრირდა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვე-თის მესაკუთრედ. მისი უფლების დამდგენი დოკუმენტი იყო 1999 წლის 3 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნაკვეთს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება 108 მეტრი სიგრძის გზა. საქმეში ასე-ვე დაცულია მიღება-ჩაბარების აქტი, ნაკვეთის გეგმით, სადაც აღნიშ-ნულია, რომ აღმოსავლეთით ნაკვეთს ესაზღვრება გზა. სადაც სარე-გისტრაციო გადაწყვეტილების მიხედვით, მინის ნაკვეთს ესაზღვრება არა გზა, არამედ ზ. ჩ.-ისა და თ. დ.-ის კუთვნილი მინის ნაკვეთი. აღნიშ-ნული მსჯელობის საპასუხოდ, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება გზის არსებობის ფაქტი და სამი-სოდ მიუთითა აბსოლუტურად ალოგიკურ მტკიცებულებებზე.

კასატორების მითითებით, 1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბა-რების აქტში ასახული ინფორმაციის მიხედვით, 6. ხ-ის ნაკვეთს და-სავლეთით ესაზღვრება გ. მ-ე. აღნიშნულის საწინაღმდეგოდ, სასამარ-თლოს ჰქონდა ა. გ-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი და ნასყიდობის ხელშეკრულება. ორივე დოკუმენტში მითითებულია, რომ აღმოსავლეთ ნაწილში მინის ნაკვეთს ესაზღვრება გზა, თუმცა სასა-მართლომ უპირატესობა მიანიჭა 6. ხ-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტს. კასატორების განმარტებით, საქმეზე ნარმოდგენილი 2015 წლის 30 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნის ბოლო დანართში არ-სებულ ფოტოზე დაკვირვებით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, თუ რატომ იყო მიღება-ჩაბარებისა აქტში მსგავსი ინფორმაცია. გზა, რომე-ლიც ექსპერტმა იპოვა რეესტრის მონაცემებში, მიღიოდა სწორედ ხ-ის კუთვნილ ნაკვეთამდე და არ გასდევდა მთელ დასავლეთ ნაწილს. სწო-რედ ამით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული მიღება-ჩაბარების აქტში ასეთი ტიპის ჩანაწერი. სააპელაციო სასამართლომ არ დაუპი-რისპირა ეს ორი ფაქტი ერთმანეთს და არ დაასაბუთა, რატომ გაიზიარა ჩანაწერი გზის არარსებობის შესახებ და რატომ არ გაიზიარა ჩანაწერი გზის არსებობის შესახებ, რომელიც 4 დოკუმენტში გვხვდება (გ-ის უფ-ლების დამდგენ დოკუმენტებში (ნასყიდობის ხელშეკრულება, მიღე-ბა-ჩაბარების აქტი), ჩ-ისა და დ-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის აზომვით ნახაზში და ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცულ დოკუმენ-ტებში). სასამართლომ ასევე მიუთითა მ. ხ-ის განცხადებაზე, რომე-ლიც დამატებით იქნა ნარდგენილი საჯარო რეესტრში და ამ განცხადე-ბის შინაარსით დაასკვნა, რომ გზა ნამდვილად არ არსებობდა, რაც თა-ვად მ. ხ-იმა აღიარა. სააპელაციო პალატამ არასრულად შეაფასა გან-

ცხადებადა და მისი შინაარსი. რეალურად, განცხადების სიტყვას აიტყვითი თუ შინაარსობრივი გაანალიზება, საპირისპირო დასკვნის გაკეთების სამუალებას იძლეოდა. მართალია, მ. ხ-ი განცხადებას იწყებს სიტყვებით „ვინაიდან ნაკვეთან მისასვლელი გზა არ არსებობს“, თუმცა აგრძელებს სიტყვებით: „მსურს დამიკანონოთ ნაკვეთან მისასვლელი გზა“. ასევე მიუთითებს: „დავკარგავ ნაკვეთან მისასვლელ გზას“; „რათა წინა ორი მეზობლის მიერ არ მოხდეს (სამომავლოდ) ამ გზის დაცანონება“. ამდენად, ერთ განცხადებაში სამჯერ ნახსენები სიტყვა „გზა“ პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ გზა უკვე არსებობს და განმცხადებელი ცდილობს ამ გზის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. სიტყვები „ვინაიდან მისასვლელი გზა არ არსებობს“ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმგვარად, რომ გზა არ არის რეესტრში რეგისტრირებული და ამ პრობლემის აღმოფხვრას ცდილობს სწორედ განმცხადებელი. მ. ხ-ი შემობდა, რომ სამომავლოდ არსებული გზა მოექცეოდა წინა ორი მეზობლის – ჩ-ის, დ-ისა და გ-ის რეგისტრირებულ საზღვრებში. იგი შეიძლებოდა დარჩენილიყო ნაკვეთან მისასვლელი გზის გარეშე, რაც მოგვანებით განხორციელდა კიდევ. სასამართლომ მხოლოდ მისთვის სასურველი კონტექსტი ამოიღო განცხადებიდან და არ გამოვიდა მთლიანი განცხადების შინაარსიდან. რეალურად მ. ხ-ი სწორედ იმ გზის დაკანონებას ცდილობდა საჯარო რეესტრში, რომელიც უკვე იყო მითითებული გ-ისა და ჩ-ის (რასაც თავად ჩ-იც არ უარყოფს შესაგებლით) საკუთრებასთან დაკავშირებულ სარეგისტრაციო მასალებში. საყურადღებოა, რომ მოცემული სარეგისტრაციო წარმოება არ შეწყვეტილა გზის არარსებობის საფუძვლით ან იმ მიზეზით, რომ განმცხადებელი ითხოვდა სხვისი საკუთრების რეგისტრაციას, არსებობდა გადაფარვა და სხვა.

კასატორების განმარტებით, საპელეაციო სასამართლო გზის არარსებობის ფაქტის დადასტურებას ასევე შეეცადა 2005 წლით დათარიღებული ორთოფოტოთი და დასკვნა, რომ აღნიშნული ორთოფოტოთი არ დასტურდება №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებებს შორის გზის არსებობა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გზის არარსებობის ფაქტი დადასტურებულია საჯარო რეესტრის მიერ 2016 წლის 11 ივლისს განხორციელებული ადგილზე დათვალიერების ოქმით. კასატორების განმარტებით, გაურკვეველია, როგორ დაადგინა სასამართლომ გზის არარსებობის ფაქტი 2005 წლის ორთოფოტოთი და როგორ შეიძლება ეს ფაქტი დაუპირისპირო იმ გარემოებას, რომ ვინაიდან 90-იან წლებში შედგენილ უფლების დამდგენ დოკუმენტებში ასახული გზა არ მოხვდა 2005 წლით დათარიღებულ ორთოფოტოში, გზა არ არსებობს. 1999 წელს, უძრავი ქონების გ-ის მიერ შეეძნის დროისათვის, ასევე ზ. ჩ-ის სასაგებლოდ მომზადებული ცნობის გაცემის დროისათვის, გზა ნამდვილად არსებობდა და სწორედ ის გარე-

მოებაა სადაც. ამ პირებმა გზა სათავისოდ მიიტაცეს და ფაქტობრივ ღობეში მოაციეს. ამ პირობებში, სააპელაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2005 წელს არსებული მდგომარეობით, რადგან ორთოფოტოში გზა არ ჩანს, იგი არ არსებობს. ამ არგუმენტს სასამართლო უპირისპირებს უკვე დასახელებულ წონად არგუმენტებს. ამ ფონზე, 2016 წლის დათვალიერების შედეგებით გზის არარსებობის ფაქტის დადგენაზე მითითება დამატებით არგუმენტად, სცდება ჯანსაღი კრიტიკის ფარგლებს. რაც ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდათ მხარეებს მიტაცებული საკუთარ ფაქტობრივ საზღვრებში, შეუძლებელია, გამოჩენილიყო 2016 წლის ადგილზე დათვალიერების შედეგებში.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ უურადღება გაამახვილა ა. გ-ის წინამორბედი მესაკუთრის – თ. ლ-ეის სასარგებლოდ გაცემულ, 1999 წლის 18 მაისს მომზადებულ ტექნიკურ პასპორტზე, რომელშიც მინის ნაკვეთის ჩრდილოეთით ფიქსირდება სოფლის გზის მოსაზღვრეობა. კასატორების განმარტებით, სასამართლომ დააფიქსირა აღნიშნულ დოკუმენტში ჩრდილოეთით გზის არსებობა, თუმცა ვერ შენიშნა იმავე სამსახურის მიერ მომზადებული საველე დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მინის ნაკვეთს, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, ესაზღვრება გზა. გაურკვეველია, როგორ შეიძლებოდა, ერთ დოკუმენტად არსებული ეს მტკიცებულებები ცალმხრივად შეფასებულიყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ თ. ლ-ეის სახელზე გაცემულ 1992 წლის 6 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი არ მოიძებნა და ამ პირობებში, შეფასების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ სამაგიროდ, იძებნება უფრო ახალი თარიღით – 1999 წელს ა. გ-ის სახელზე მომზადებული მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ნათლად იყითხება, რომ მინის ნაკვეთს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება 2 მეტრი სიგანის გზა. ეს ის დოკუმენტია, სადაც გზის სიგანეც კი დაფიქსირებულია და მას მოგვიანებით დაეყრდნო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი, თუმცა, არც ექსპერტიზის დასკვნა გაითვალისწინა სასამართლომ. 2015 წლის 30 ნოემბრისა და 2016 წლის 11 აპრილის დასკვნებით დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, გზა ნამდვილად არსებობდა. 2015 წლის 30 ნოემბრის დასკვნას ერთვის დანართი, რომელზეც გზის კონტურია დატანებული. დასკვნებით ასევე დადგინდა, რომ ა. გ-ის კუთვნილი მინის ნაკვეთის აღმოსავლეთი საზღვარის ადგილმდებარეობა არ შეესაბამებოდა ცნობა-დახასიათებას და მინის ნაკვეთის აზომვით ნახაზზე არსებულ მდგომარეობას. საკასაციო პალატის მხრიდან განვითარებული მსჯელობის საპასუხოდ, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ 2015 წლის 30 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა მომზადებულია გზის არსებობის დაშვებით, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებით აღნიშნული არ დასტურდება. გაუგე-

ბარიასასამართლოს აღნიშნული, არგუმენტი, იმ პირობებში, როდესაც ექსპერტი ცალსახად მიუთითებს გზის მოწყობის შესაძლებლობას იმ ადგილას, სადაც საჯარო რეესტრის მონაცემებით დატანილია გზა. დასკვნას ერთვის სიტუაციური ფოტო. ამდენად, ადგილი აქვს არა ვარა-უდს, არამედ ფაქტებით გამყარებულ მსჯელობას (იგივე ვითარების არსებობის დადასტურებაა შესაძლებელი საჯარო რეესტრის ვებგვერდზე ელექტრონული რუკის გადამოწმებისას). კასატორების მოსაზრებით, საქმეში არსებულ 2016 წლის 11 აპრილის ექსპერტიზის დასკვნას-თან დაკავშირებითაც გაუკვეველია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა. სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ 2016 წლის 11 აპრილის დასკვნა ეყრდნობოდა რეესტრში დაცულ უფლების დამდგენ დოკუმენტებს. ამდენად, შეუძლებელი იყო სასამართლოს მხრიდან მისი გაუზიარებლობა. დასკვნით დეტალურად არის დასაბუთებული, თუ რა ნაწილში და ორგორ არ შეესაბამებოდა საჯარო რეესტრში დაცულ დოკუმენტებს ადგილზე, რეალურად არსებული ვითარება.

კასატორების განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული არქივში ა. გ-ის კუთვნილი მინის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის ზომები და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადგილზე დათვალიერებისას მიღებული შედეგები. ტექნიკური აღრიცხვის მონაცემებით, შენობა-ნაგებობიდან აღმოსავლეთ საზღვრამდე (ანუ გზამდე) დაშორება არის 5.2 მეტრი, ხოლო ადგილზე შემოწმების შედეგად – 6.83 მეტრი. სხვაობა 1.63 სანტი-მეტრია, რაც ახლოს არის გზასთან დაკავშირებულ მონაცემთან (გზის სიგანე 2 მეტრია). სააპელაციო პალატამ ეს არგუმენტი შეფასების მიღმა დატოვა – არ უმსჯელია ამ მონაცემზე და არსებულ შეუსაბამობაზე. საკასაციო პალატის განჩინებაში ყურადღება ასევე გამახვილებული იყო იმ გარემოებაზე, რომ შენობა-ნაგებობის ზომები თითქმის არ იყო შეცვლილი – პირვანდელი ზომა იყო $14.05 \times 13.30 = 186.8$, ხოლო ახალი – $13.55 \times 14.08 = 190.78$. ამდენად, სახლის ზომების ცვლილების არქონის პირობებში, შეუძლებელი იყო აღმოსავლეთი საზღვრის იმგვარად ცვლილება, რომ ეს სხვაობა მიგვეღო სახლის აღმოსავლეთ კედლიდან აღმოსავლეთ საზღვრამდე. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სასამართლოს წარედგინათ. ხ-ის, გ. მ-ის, გ. ხ-ისა და მ. ხ-ის განცხადება, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებდნენ მოსარჩევეთა კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი გზის არსებობას. ამასთანავე, გზით სარგებლობდა ან გაუქმებული კვლევითი ინსტიტუტი. მითითებულ იქნა აუზის არსებობაზე, რომლითაც კვლევითი ინსტიტუტი სარგებლობდა და რომლის კვალიც ამჟამადაც შეინიშნებოდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტიც ყოველგვარი შეფასების მიღმა დატოვა. ადგილზე დათვალიე-

რებისას აუზის ნანგრევები მართლაც არსებობდა. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებდა, რომ ყურადღება გამახვილებულიყო მესამე პირების – ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის მიერ საქმეზე ნარმოდგენილ შესაგებელზე, რომლითაც ისინი ადასტურებდნენ 150-200 სმ. სიგანის გზის ნამდვილად არსებობას პირველად საალრიცხვო დოკუმენტაციაში. ამ გარემოებათა უარყოფა მესამე პირებს არ მოუხდენიათ საკითხის განმეორებით განხილვისას. სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტიც ყოველგვარი შეფასების მიღმა დატოვა. მესამე პირების აღნიშნული აღიარება თანხვედრაშია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულ გზის ზომებთან, კერძოდ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ არსებობდა 2 მეტრი სიგანის გზა, ხოლო მესამე პირები შესაგებლით ადასტურებენ, რომ არსებობს 150-200 სანტიმეტრამდე გზა. ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ არსებობს სხვაობა გ-ის სახლის აღმოსავლეთ საზღვრიდან სასაზღვრო მიჯნამდე და ეს სხვაობა შეადგენს 1.62 სანტიმეტრს. მხოლოდ სასამართლოსთვის არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ფაქტების ერთობლიობა, რომ დარწმუნებულიყო 2 მეტრი სიგანის გზის წარსულში არსებობაში, რომელიც დღეის მდგომარეობით მოქცეულია მესამე პირთა სასარგებლოდ რეგისტრაციებში.

კასატორების განმარტებით, მოცუმულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო პალატას დააგალა გზის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენა უფლებადამდგენ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რასაც სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა და არ შეაფასა საქმეზე არსებული მტკიცებულებები. სასამართლოს ხელთ ჰქონდა ყველა მტკიცებულება, დაედგინა როგორც გზის არსებობა, ისე მისი გაბარიტები. საჯარო რეესტრში არ მოიძებნა ა. გ-ის წინამორბედის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მაგრამ მოიძებნება ტექნიკური აღრიცხვის მონაცემები, რომლითაც დასტურდება გზის არსებობის ფაქტი. ასევე იძებნება ა. გ-ის სასარგებლოდ არსებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება გზის არსებობა გზის არსებობა. იძებნება ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის საკუთრებასთან კავშირში არსებული აზომვითი სქემა, სადაც დასტურდება გზის არსებობა. ადგილზე დათვალიერებისას დადგენილია ცდომილება (1.62 სმ) ა. გ-ის სახლის აღმოსავლეთ ნაწილიდან აღმოსავლეთ საზღვრამდე. ამასთანავე, ზ. ჩ-ი და თ. დ-ი ადასტურებენ წარსულში გზის არსებობას. ამ გარემოებას ასევე ადასტურებს ადგილობრივად მცხოვრები პირების განცხადება და კვლევითი ინსტიტუტისთვის მოწყობილი ავზის ფრაგმენტები. ექსპერტი ადასტურებს, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით გზის არსებობა ფიქსირდება. ყოველივე აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, გზის არარსებობის დასადასტურებლად, სააპელაციო სასამართლოსთვის მხოლოდ ის ფაქტი აღმოჩნდა საკმარისი, რომ 2005

წლის ორთოფოტოზე არ ჩანს გზა და 2016 წლის დათვალიერებისას გზა ნაპოვნი არ არის. ექსპერტიზის დასკვნაზე არსებული გზის კონტურით შესაძლებელია დადგენა, თუ რატომ შეიძლება ყოფილიყო ხ-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მასში ასახული მონაცემებით. უძრავი ქონების შესაბამისი პერიოდის დოკუმენტად ვერ ჩაითვლება 2005 წლის ორთოფოტო. ამ დოკუმენტით შეუძლებელია დადგინდეს 90-იან წლებში არსებული გზის არსებობა-არარსებობის ფაქტი. რაც შეეხება მ. ხ-ის მიერ გაკეთებულ განცხადებას (რომელიც არ იყო ქონების ერთადერთი მესაკუთრე და ქონებას ჰყავდა კიდევ 3 მესაკუთრე), იგი ცდილობდა, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით დაეცვა საკუთარი ქონება მისასვლელი გზის დაკარგვისაგან, რაც მოგვიანებით განხორციელდა კიდეც. სასამართლომ ეს ფაქტი არასწორად შეაფასა. მთლიანობაში, ფაქტების სწორად შეფასებით, სააპელაციო სასამართლო დაადგენდა გზის არსებობას და იმ გარემოებას, რომ 2 მეტრი სიგანის გზის ნაწილი – 1.63 სანტიმეტრი მოქცეული იყო ა. გ-ი საკუთრების ნაწილში, ხოლო გზის დარჩენილი ნაწილი – 37 სანტიმეტრი მოქცეული იყო თ. დ-ისა და ზ. ჩ-ის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების ნაწილში. გზის მასშტაბი მოცემულია ა. გ-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტში, ხოლო გზის ადგილმდებარეობის დადგენისთვის ერთადერთი სწორი და მაორიენტირებელი გარემოებაა ა. გ-ის სახლის მდებარეობა, ზომები, მისგან აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც არ მოდის შესაბამისობაში ტექნიკუროში დაცულ ზომებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 დეკემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩინეული ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი. ამავე განჩინებით დადგინდა და საქმის განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, სასამართლო სხდომაზე მხარეთა ახ-სნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩინებს, რომ ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1992 წლის 18 ნოემბრის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით, ანდერძში მითითებულ ქონებაზე, გარდაცვლილი გ. ხ-ის მემკვიდრეებად ცნობილი არიან თ. დ-ი და ზ. ჩ-ი. სამკვიდრო ქონება, რომელზეც გაცემულია მოწმობა, არის საცხოვრებელი სახლი, მდებარე სოფელ ...ში. სახლი შედგება ორი სართულისაგან, ოთხი ოთახისაგან, საცხოვრებელი ფართით: 80 კვ. მეტრი, დამხმარე – 20 კვ. მეტრი, განლაგებულია მეურნეობის მიწაზე.

მცხეთის რაონის გამგეობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული 2003 წლის 21 იანვრის №22 ცნობის მიხედვით, თ. დ-ი და ზ. ჩ-ი 2003 წლის 21 იანვრიდან აღრიცხული არიან სოფელ ...ში, 0.1 ჰა დაუზუსტებელი მიწის ნაკვეთის (ს/კ ...) თანამე-საკუთრებად. საქმეში დაცულია სოფელი ...ის საკრებულოს თავმჯდო-მარის მოადგილის მიერ დამოწმებული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვე-თის ნახაზი, რომელზეც მითითებულია უძრავი ქონების პარამეტრები და მოსაზღვრე მხარეები. აღნიშნული ნახაზის მიხედვით, ზ. ჩ-ის ნაკვეთს „ა-ბ“ მხარეს ესაზღვრება გზა.

2003 წლის 21 იანვარს შედგენილი მიწის (უძრავი ქონების) სააღ-რიცხვო ბარათის მიხედვით, ზემოაღნიშნული ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის 2003 წლის 21 იანვრის №22 ცნობის, სოფე-ლი ...ის საკრებულოს 2003 წლის 20 იანვრის №69 ცნობისა და 1992 წლის 18 ნოემბრის №2-124 ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწ-მობის საფუძველზე, სოფელ ...ში, 0.1 ჰა დაუზუსტებელი მიწის ნაკვე-თის თანამესაკუთრებად აღირიცხნენ თ. დ-ი და ზ. ჩ-ი (უძრავი ქონე-ბის სარეგისტრაციო №...).

2010 წლის 11 ნოემბერს ზ. ჩ-იმა განცხადებით მიმართა საჯარო რე-ესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოითხოვა თბილისში, სოფელ ...ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში (ს/კ ...) ცვლილების რეგისტრაცია. განცხადებას თან ახლდა აზომვითი ნა-ხაზი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრა-ციონ სამსახურის 2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით დაკუ-მაყოფილდა ზ. ჩ-ის 2010 წლის 11 ნოემბრის განცხადება, წარდგენილი აზომვითი ნახაზის საფუძველზე, უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფ-ლებაში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული, 2010 წლის 11 ნოემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქო-ნება (ნაკვეთის საკუთრების ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშ-ნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 1000 კვ.მ,

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) თანასაკუთრების უფლებით აღრიცხულია თ. დ-ისა და ზ.ჩ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად ამონანერში მითითებულია: 1992 წლის 18 ნოემბრის ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა №2-1214; 2003 წლის 21 იანვრის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ცნობა №22; 2003 წლის 20 იანვრის სოფელი ...ის საკრებულოს ცნობა №69. ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, 2010 წლის 11 ნოემბერს გაცემულია შესაბამისი მიწის ნაკვეთის ამსახველი საკადასტრო გეგმა.

საქმეზე წარმოდგენილი, ა. გ-ის (№...) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე) წინამორბედი მესაკუთრის – თ. ლ-ეს სახელზე მცხეთის რაიონის ტექბიუროს უფროსის მიერ გაცემული 1999 წლის 18 მაისის №186 ცნობის თანახმად, თ. ლ-ეზე სოფელ ...ში ირიცხებოდა 2400 კვ.მ ფართის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლი, გაშენების ფართით – 187 კვ.მ (სახლთმფლობელობა მცხეთის ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროში რეგისტრირებულია №39-ით).

1999 წლის 18 მაისის №39 საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ პასპორტში (წინა მესაკუთრე – თ. ლ-ე, შემდგომი მესაკუთრე – ა. გ-ი) დაცული მიწის ნაკვეთის გეგმის (ნახაზის) მიხედვით, მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება გზა.

1999 წლის 3 ივნისს თ. ლ-ესა და ა. გ-ის შორის გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც მშენებარე საცხოვრებელი სახლი და 2400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი შეიძინა ა. გ-იმა (მდებარე მცხეთის რაიონში, სოფელ ...ში; დასახლება – „კ...ი“, მშენებარე საცხოვრებელი სახლის გაშენების ფართი – 187,0 კვ. მეტრი. 2400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი მოთავსებულია შემდეგ ზომებში და საზღვრებში: აღმოსავლეთით – 108 მეტრი სიგრძე, ესაზღვრება გზა; დასავლეთით – 118 მეტრი სიგრძე, ესაზღვრება მ. ხ-ის მიწის ნაკვეთი და გზა; ჩრდილოეთით – 20 მეტრი სიგანე, ესაზღვრება გზა; სამხრეთით – 22,8 მეტრი სიგანე, ესაზღვრება ხევი).

2015 წლის 9 სექტემბერს ა. გ-იმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკუთრებად აღიარებულ საკარმი-დამო მიწაზე (მდებარე მცხეთის რაიონში, სოფელ ...ში, დასახლება „კ...ი“; ზონა – თბილისი, სექტორი – 72). განცხადებას ერთვოდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრა-

ციონ სამსახურის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით დაკ-მაყოფილდა ა. გ-ის 2015 წლის 9 სექტემბრის განცხადება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი ...ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე (ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 2400.00 კვ. მეტრი; მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) 2015 წლის 10 სექტემბრიდან აღრიცხულია ა. გ-ის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 1999 წლის 3 ივნისს დამონბებული ხელშეკრულება №2-318). ამავე რეგისტრაციის საფუძველზე 2015 წლის 10 სექტემბერს გაცემულია საკადასტრო გეგმა.

6. ხ-ის სახელზე გაცემული 1992 წლის 6 ოქტომბრის №31 მიღება-ჩაბარების აქტისა და თანდართული ნახაზის მიხედვით, 0.08 ჰა მინის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩ-ი, სამხრეთით – ხევი, აღმოსავლეთით – ჯ. ქ-ე, ხოლო დასავლეთით – გ. მ-ე.

საქმეზე წარმოდგენილი, 2010 წლის 20 დეკემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, სოფელი ...ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებაზე (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 800 კვ.მ, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – ...) 2010 წლის 20 დეკემბერს აღირიცხავ., ვა., ლ. და მ. ხ-იების საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად ამონანერში მითითებულია სოფელი ...ის საკრებულოს 2005 წლის 23 თებერვლის №352 ცნობა, სოფელი ...ის საკრებულოს 2005 წლის 23 თებერვლის №351 ცნობა და 1992 წლის 6 ოქტომბრის №31 მიღება-ჩაბარების აქტი.

2012 წლის 12 ოქტომბერს მ. ხ-ის №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და №... უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა.

აღნიშნულ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, მარეგისტრირებულ ორგანოს 2012 წლის 9 ნოემბერს დამატებით წარედგინა მ. ხ-ის განცხადება, რომელშიც განცხადებელი მიუთითებს: „ვინაიდან მინის ნაკვეთთან მისასვლელი გზა არ არსებობს, ამისათვის ჩემს კუთვნილ ფართზე ვიკლებ მინის ფართს და მსურს დავიკანონო ნაკვეთთან მისასვლელი გზა, რათა წინა ორი მეზობლის მიერ არ მოხდეს (სამომავლოდ) ამ გზის დაკანონება, რის შემდეგაც მე დავკარგავ ნაკვეთთან მისასვლელ გზას“.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 20 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება მ. ხ-ის განცხადებაზე.

2015 წლის 13 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ა. თ-იმა და მ. ბ-იმა მ. ხ-ის, ვ. ხ-ის, ვა. ხ-ისა და ლ. ხ-ისაგან შეიძინეს თბილისში, სოფელ ...ში მდებარე 800 კვ.მ. ფართის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაზუსტებული მიწის ნაკვეთი (ს/კ...).

2015 წლის 16 იანვარს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონა-წერით დასტურდება, რომ 2015 წლის 13 იანვრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე 2015 წლის 16 იანვარს დარეგისტრირდა ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკუთრების უფლება.

2016 წლის 11 აპრილს ა. თ-იმა და მ. ბ-იმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ქონებაზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერების შესწავლა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილებით ა. თ-ის და მ. ბ-ის უარი ეთქვათ ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვაზე, იმ მოტივით, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი ინიციატივით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება რეგისტრაციის შესახებ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით. მოკვლევის ფარგლებში, საჯარო რეესტრმა ჩაატარა ადგილზე დათვალიერება. ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგინდა, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას აკრავს მყარი კედელი. №1 შენობა აგებულია 17 წლის წინ. №1 შენობიდან მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ კედლამდე დაშორება შეადგენს 6.82 მ-ს. №... კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს №... კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთისაგან ყოფს მყარი კედელი. ორ უძრავ ნივთს შორის გზის ან მისი კვალის არსებობა არ დგინდება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრმა დაადგინა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე არ გამოვლინდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული, რეგისტრაციის შესახებ ქონების რეგისტრა-

ციის დეპარტამენტის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქმეში არსებული სის ღებულობის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 30 ნოემბრის №007154015 დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, სოფელ ...ში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთან აუცილებელი საფეხმავლი (ორგანიზაციული) მისასვლელი გზა შესაძლებელია მოეწყოს მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის გავლით, სადაც საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით დატანილია გზა და ფაქტობრივი მდგომარეობით მოწყობილია საავტომობილო ბეტონის გზა, კიბე და საფეხმავლო ბილიკი.

სის ღებულობის სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 11 აპრილის №002029916 დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, სოფელ ...ში, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთს, როგორც საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ისე ფაქტობრივი მდგომარეობით, არ გააჩნია დამოუკიდებელი კავშირი საჯარო გზასთან, არც საფეხმავლო და არც საავტომობილო. ქ. თბილისში, სოფელ ...ში №... და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთებს შორის, როგორც საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ისე ფაქტობრივი მდგომარეობით, საერთო სარგებლობაში არსებული 2 მეტრიანი გზა არ არსებობს. ქ. თბილისში, სოფელ ...ში ა. გ-ის სახელზე გაცემულ, 05.04.2011წ. მომზადებულ ცნობა-დახასიათებასა და მასზე თანდართულ 2400 კვ.მ მინის ნაკვეთის ნახაზზე არსებული მშენებარე ნაგებობისა და ფაქტობრივად განთავსებული შენობა-ნაგებობის კოორდინატების გათვალისწინებით გაორიენტირებული აღმოსავლეთ ნაწილში საზღვრის ადგილმდებარეობა არ შეესაბამება №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ საკადასტრო საზღვრის ადგილმდებარეობას.

საკადასტრო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს მათ საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი გზის მოწყობა. ამ მიზნით, მოსარჩელები სადაც მდინარე მესამე პირთა სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებულ რეგისტრაციებს, მათ საკადასტრო საზღვრებში მოსარჩელეთა კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში. მოსარჩელები თვლიან, რომ სწორედ მესამე პირების – ზ. ჩ-ის, თ. დ-ისა და ა. გ-ის სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთების საზღვრებშია მოქცეული ნაკვეთებს შორის გამავალი საერთო სარგებლობის გზა, რაც მათი ნაკვეთის საჯარო გზასთან დამა-

კავშირებელი ერთადერთი საშუალება იყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა გააჩინია. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, როგორც საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, უნდა უზრუნველყოს რეგისტრაციის მქონე პირების ინტერესთა დაცვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, თუმცა ამავე ნორმის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ამდენად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მარეგისტრირებელი ორგანო, ვალდებულია გადამოწმოს სააგენტოსთვის წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან შესაბამისობა. „...გადამოწმების ვალდებულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფრო მაღალი ხარისხით წარმოებობა იმის გათვალისწინებითაც, რომ უპირატესად თავად მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არის ცნობილი რეესტრში რეგისტრირებული ყველა მინის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ, სწრაფი რეგისტრაციის პრინციპის გატარება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სუბიექტების საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას.“ (სუს 2013 წლის 28 თებერვლის №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მესამე პირთა სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელა ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ და დაცულ ინფორმაციათა სათანადოდ შეფასებისა და ურთიერთშედარების გარეშე.

დადგენილია, რომ 2003 წლის 21 იანვრიდან თ. დ-ი და ზ. ჩ-ი აღრიცხულნი იყვნენ სოფელ ...ში მდებარე 0,1 ჰა დაუზუსტებელი მინის ნაკვეთის თანამესაკუთრეებად (ს/კ ...). სოფელი ...ის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ დამოწმებული ზემოაღნიშნული მინის ნაკვეთის ნახაზის მიხედვით, ზ. ჩ-ის მინის ნაკვეთს „ა-ბ“ მხარეს ესაზღვრება გზა, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის სახელზე მითითებული მინის ნაკვეთის დაზუსტებული საზღვრებით რეგისტრა-

ციის პირობებში, ფაქტობრივი მდგომარეობით, მითითებული პირების ნაკვეთს „ა-ბ“ მხარეს გზა არ ესაზღვრება. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს 2010 წლის 11 ნოემბრის №... აქტის გამოცემამდე სრულყოფილად არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომლებიც უკავშირდება თ. დ-ისა და ზ. ჩ-ის მიწის ნაკვეთს. გამოკვლეული არ არის, რამდენად არსებობდა მითითებული პირების მიერრეგისტრაციის მიზნით წარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზით მიწის ნაკვეთის დაზუსტების შესაძლებლობა, მათივე უფლების დამდგენ დოკუმენტებთან და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი რეგისტრაციის დროს დაცულ მონაცემებთან შესაბამისობის დაცვით.

საკავასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დოკუმენტაციას, რომლებიც გაცემულია მესამე პირის – ა. გ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ ...) დაკავშირებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით №... მიწის ნაკვეთზე ა. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი გახდა 1999 წლის 3 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ა. გ-იმათ. ლ-ეისაგან შეიძინა სოფელ ...ში, „კ...ის“ დასახლებაში მდებარე 2400 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი, მშენებარე საცხოვრებელ სახლთან ერთად. ამავე ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით (სიგრძე 108 მეტრი) ესაზღვრება გზა, დასავლეთით (სიგრძე 118 მეტრი) – მ. ხ-ის მიწის ნაკვეთი და გზა, ჩრდილოეთით (სიგანე 20 მეტრი) – გზა, სამხრეთით (სიგანე 22.8 მ) – ხევი (ასევე საყურადღებოა, რომ მართალია, საჯარო რეესტრში ა. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი ზემოაღნიშნული 1999 წლის 3 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება გახდა, თუმცა საქმეს ასევე ერთვის ამავე თარიღით ა. გ-იზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართული მიწის ნაკვეთის გეგმა შეიცავს იდენტურ მონაცემებს, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ მითითებულ მხარეებთან მიმართებაში. კერძოდ, ნახაზის მიხედვითაც, ა. გ-ის მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება გზა; დასავლეთით – მ. ხ-ი და გზა, ჩრდილოეთით – გზა, ხოლო სამხრეთით – ხევი). ამ პირობებში, ა. გ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების მიღების შედეგად, ა. გ-ის მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით გზა არ ესაზღვრება. ფაქტობრივი მდგომარეობით, მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება თ. დ-ისა და ზ. ჩ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (ს/კ ...). მარეგისტრირებულ ორგანოს ა. გ-ის სახელზე სადაცვო რეგისტრაციის განხორციელებისას არ გაუთვალისწინებია სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტი ასა-

ხული ინფორმაცია, რომელიც მიწის ნაკვეთის პარამეტრებს და მოსაზღვრე მხარეებს შეეხებოდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მესამე პირების უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ უფლების დამდგენ დოკუმენტებში ასახული მონაცემებით დგინდება შესაბამის მიწის ნაკვეთებს შორის გზის არსებობა, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობა – მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მესამე პირების სახელზე სადაც რეგისტრაციების განხორციელების შედეგები, გზის არსებობას არ ადასტურებს. უდავოა, რომ საჯარო რეგისტრში დაცულია წინააღმდეგობრივი მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია, სადაც რეგისტრაციებთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთების მოსაზღვრედ გზის არსებობასთან მიმართებით. საქმეში არსებული მასალებით დგინდება მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთამდე გაყვანილი გზის არსებობა, თუმცა, როგორც აღინიშნა, ფაქტობრივი მდგომარეობით, მოსარჩელეთა მიწის ნაკვეთს მისასვლელი გზა არ გააჩნია და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრები არ არის გამოყოფილი გზით. „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... და 2016 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილებების მიღებისას საჯარო რეგისტრს არ დაუდგენია გზის არსებობა ა. გ-ის, და თ. დ-ისა და ზ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ასევე საქმეში არსებულ 2015 წლის 30 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია თბილისში, სოფელ ...ში №.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან აუცილებელი საფეხმავლო (ორგასასვლელიანი) მისასვლელი გზის მოწყობის შესაძლებლობა მის ჩრდილოდასავლეთ ნაწილიდან, №.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით. ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი 2016 წლის 11 აპრილის დასკვნის მიხედვით, ა. გ-ის სახელზე გაცემული 2011 წლის 5 აპრილის ცნობა-დახასიათებასა და მასზე თანდართული 2400 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნახაზზე არსებული მშენებარე ნაგებობისა და ფაქტობრივად განთავსებული შენობა-ნაგებობის კოორდინატების გათვალისწინებით გაორიენტირებული აღმოსავლეთ ნაწილში არსებული საზღვრის ადგილმდებარეობა არ შეესაბამება №.... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ საკადასტრო საზღვრის ადგილმდებარეობას. მითითებული დასკვნების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს, რამ გამოიწვია მიწის ნაკვეთების ნანაცვლება და უფლების დამდგენი დოკუმენტებით გათვალისწინებული გზის მოქცევა მეზობელი მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრებში.

მოსარჩელისა და მესამე პირების საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებს შორის საერთო სარგებლობის გზის არსებობის დადასტურების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის (ს/კ ...) წინარე მესაკუთრის – მ. ხ-ის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების შინაარსს, რომელიც უკავშირდებოდა მინის ნაკვეთის დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაციასთან დაკავშირებულ წარმოებას (2012 წლის 12 ოქტომბრის განცხადება). ერთი მხრივ, განმცხადებელი ადასტურებს მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთთან გზის არარსებობას, თუმცა მეორე მხრივ, გამოთქვამს მზადყოფნას, ამ გარემოების გამოსწორების მიზნით, მოიკლოს მის კუთვნილ ფართზე მინის ფართი და დაიკანონოს ნაკვეთთან მისასვლელი ის გზა, რომლის დაკანონების ვარაუდიც არსებობს სამომავლოდ წინა ორი მეზობლის მხრიდან.

საგულისხმოა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ თავისი ინიციატივით ჩატარა ადმინისტრაციული წარმოება, ა. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერების შემონმების მიზნით. წარმოების ფარგლებში, ჩატარდა ადგილზე დათვალიერება და შედარებულ იქნა უფლების დამდგრენი დოკუმენტით განსაზღვრული მინის ნაკვეთის საზღვრები ამავე ნაკვეთის რეგისტრირებულ მდგომარეობასთან. ადმინისტრაციული წარმოების დროს დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის მიერ განსაზღვრული, რეგისტრირებული მინის ნაკვეთის ზომები სრულად არ შეესაბამება ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მითითებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა თ. ხ-ის, გ. მ-ის, გ. ხ-ისა და მ. ხ-ის განცხადება, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებენ №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებს შორის №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან მისასვლელი გზის არსებობას. ამასთანავე, ადმინისტრაციული წარმოებისას ა. ბ-ის განმარტებით, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის სამხრეთით, ხევში, მოწყობილი იყო აუზი კვლევითი ინსტიტუტისათვის, საიდანაც ხდებოდა წყლის მიწოდება, ხოლო წყლის მისაღებად აუცილებელი იყო ავზამდე ავტომობილით მისვლა. ავზის კვალი (რენა-ბეტონის ნანგრევი) დღესაც შეინიშნება. გარდა ამისა, მითითებულ მინის ნაკვეთებს შორის გზის არსებობას ადასტურებენ თავად მესამე პირები – ზ. ჩ-ი და თ. დ-ი, საქალაქო სასამართლოში წარდგენილი შესაგებლით. მესამე პირები მიუთითებენ, რომ 1992 წელს მათ ნაკვეთი მემკვიდრეობით მიიღეს გ. ხ-ისა და გან. იმ პერიოდისათვის, ა. გ-ისა და მათ საკუთრებაში არსებულ მინის

ნაკვეთებს შორის არსებობდა დაახლოებით 150-200 სანტიმეტრის სიგანის გზა, რაც დატანებულია თავდაპირველ ნახაზებსა და ტექნიკურ ნახაზებმიც. შესაგებლის ავტორები ადასტურებენ, რომ ა. გ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას და მათ ნაკვეთს ესაზღვრება გზა ფეხით მოსიარულეთათვის. ორმეტრიანი სიგანის გზა-ორლობები ა. გ-ის საკუთრებაში დარჩა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში გასაჩივრებული „რეგისტრაციის შესახებ“ გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებისას, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზეც. ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებთან საჯარო რეესტრის მიერ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ზომების შეუსაბამობის მიზეზის დადგენა რელევანტურია, რამდენადაც, მოსარჩევლეთა ინტერესს წარმოადგენს მესამე პირების საკადასტრო საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან გზის ნაწილის გამოყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, გასაჩივრებულ ნაწილში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 ნოემბრის №... და 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიღო. სადაც საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს დაინტერესებულ მხარეთა მოსმენისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის ჩატარების მეშვეობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მინშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოების გამოკვლევისა და სადაცო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს. „...საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება..“ (სუს 13.12.2018წ. №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები: გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 ნოემბრის №... და 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილებები, მესამე პირების საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში, გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. არ დასტურდება სადაცო საკითხის სრულყოფილად გამოკვლევისა და სათანადო მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მითითებული გადაწყვეტილებები, მესამე პირების საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მინის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის

ნაწილში და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაევალოს, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

მოსარჩელეთა მოთხოვნას ასევე წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ა. თ-ის და მ. ბ-ის უარი ეთქვათ „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით, თუმცა აღნიშნული ჩანაწერის არსებობა არ გამორიცხავს პირის უფლებას, რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს – სააგენტოს, როგორც ერთიანი, ცენტრალური ზებული სარეგისტრაციო სისტემის უმაღლეს ორგანოს. სათანადო პირობების არსებობისას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გადაამოწმოს მის მიერ გამოცემული აქტის კანონიერება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. როგორც საკასაციო სასამართლომ არაერთგზის განმარტა, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ კრძალავს სააგენტოს მიერ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის განხილვას. დაშვებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მისი ტერიტორიული სამსახურების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა (სუსგ 25.05.2011წ. № 1695-1651(კ-10), 25.02.2016წ. №ბს-598-591(კ-15), 02.11.2017წ. №ბს-231-227(კ-15), 20.07.2017წ. №ბს-43-42(კ-17)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირობები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილი იყო, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საჩივრის ფარგლებში, არსებითად ემსჯელა „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერებაზე, თუმცა სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №...

გადაწყვეტილებით საჩივარი განუხილველად დარჩა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტში არსებული ჩანაწერის გათვალისწინებით). ამავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ წარმოშობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დავალების აუცილებლობას, რამდენადაც, მოცემულ საქმეზე ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სწორედ „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის გაუქმების ინტერესიც გააჩნდათ მოსარჩელებს ზემოაღნიშნული საჩივრის ფარგლებში. მითითებული გადაწყვეტილება, მესაკუთრე ა. გ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (საკადასტრო კოდი: ...), სადაც საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად იქნა ცნობილი და სააგენტოს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, შესაბამის სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე:

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირდებული ადმინისტრაციული წარმოება უკავშირდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის საფუძველზე, თავისი ინიციატივით, „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლას. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკასაციო პალატამ გადაწყვიტა, რომ „რეგისტრაციის შესახებ“ 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, მესაკუთრე ა. გ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (საკადასტრო კოდი: ...), სადაც საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და სააგენტოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა,

შესაბამის სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით. ამდენად, მითითებულ აქტთან მიმართებაში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, არ არსებობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ძალაში დატოვების საფუძველი, რომლითაც სააგენტომ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე არ გამოვლინდა 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების პათილად ცნობის წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარისა და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 600 ლარის (სულ 850 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ჟ ვ ი ს ა:

1. ა. თ-ისა და მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. თ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 11 ნოემბრის №... გადაწყვეტილება, მესაკუთრეების – ზ. ჩ-ისა და თ. დ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (ს/კ...);
5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი „რეგისტრაციის შესახებ“ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილება, მესაკუთრე ა. გ-ის საკადასტრო საზღვრებში მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში (საკადასტრო კოდი: ...);
6. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, 2010 წლის 11 ნოემბრის №... და 2015 წლის 9 სექტემბრის №... სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით, მ. ბ-ისა და ა. თ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში.
7. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №... გადაწყვეტილება, „ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის თაობაზე“;
8. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, „ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის 2015 წლის 10 სექტემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე“;
9. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ა. თ-ისა და მ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მისამართულობის განვითარებისა და მომსახურების სამინისტროს კანონის შესრულება

გადაცემის თარიღი საქართველოს სახელით

№ ბს- 1279(კ-22)

27 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღნიშვნილობითი ნაწილი:

2019 წლის 22 ოქტომბერს პ. ვ-მა სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ნ. ბ-ის მიმართ.

მოსარჩელემ ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984
წლის სააღრიცხვო ჩანაწერის, რომლითაც ე. ც-ის სახელზე აღირიცხა
ქალაქ ხაშურში ...ის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი სადაცო ჩიხის ნა-
ნილში (კერძოდ, 108,44 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში) ბათილად ცნობა
და 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში განხორციელებული სადა-
ცო ჩიხის, კერძოდ, 108,44 კვ.მ მიწის ფართის ნაწილში ე. ც-ის საკუთ-
რების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობა
მოითხოვა.

მოსარჩელის მითითებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
2019 წლის 17 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით უარი ეთქვა უძრავი
ქონების (ს/კ ...) მისასვლელი გზის ნაწილის რეგისტრაციის გაუქმება-
ზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საჯარო რეეს-
ტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლის 2019 წლის 8 ოქტომბრის №... გა-
დაწყვეტილებით უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყო-
ფილებაზე.

მოსარჩელის განმარტებით, მისასვლელი ჩიხი ...ის ქუჩაზე არსებობს
ქალაქის ტერიტორიის განაშენიანების დღიდან, რაც დასტურდება სა-
ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექ-აღრიცხვის მასალებშიდა-
ცული 1973 წლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათით. აღნიშნული ჩიხით
2019 წლის ობერვლამდე სარგებლობდნენ მიმდებარედ მცხოვრები

მეზობლები: ლ-ები, გ-ები და ც-ები. მოსარჩელის მითითებით, საჯარო რეესტრში არ არის დაცული რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული ჩიხის კერძო საკუთრებაში გადასვლის კანონიერებას. საერთო სარგებლობაში არსებული საზოგადოებრივი გზა-ჩიხი თვითნებურად იქნა მითვისებული. მოცემული მიწის ფართი რომ ნამდვილად ჩიხს წარმოადგენდა დასტურდება მათ შორის იმით, რომ 3. გ-ის ეზოს ღობეს ამ ტერიტორიის მხარეს აქვს კარი ჩაყოლებული. ამას-თან, მოსარჩელის მითითებით, ჩიხის არსებობის შესახებ ცნობილი იყო სადაც ქონების შემძენი ყველა მესაკუთრისათვის.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის საოქმო განჩინებით ნ. ბ-ის საპროცესო სტატუსი შეიცვალა და იგი მოპასუხის ნაცვლად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განსახილველ საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად. ამავე საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენო. ც-ი, მ. პ-ი, ქ. გ-ი, ა.ც-ი, ნა. ბ-ე და ხაშურის მუნიციპალიტეტი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით პ. გ-ის სარჩელი დაქმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერი, რომლითაც ე. ც-ის სახელზე აღირიცხა ქ. ხაშურში ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე მიწის ნაკვეთი სადაც ჩიხის ნაწილში (კერძოდ, 108, 44 კვ. მ მიწის ნაწილში); ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში (მიწის, უძრავი ქონების სააღრიცხვო ბარათში, საკადასტრო კოდი ...) განხორციელებული ჩანაწერი, სადაც ჩიხის, კერძოდ, 108, 44 კვ. მ მიწის ფართის ნაწილში (საქმეში არსებული ნახაზის შესაბამისად) ე. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

რაიონულმა სასამართლომ, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული დოკუმენტებით დადგენილად მიიჩნია, რომ 1973 წელს შედგენილი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ხაშურში, ...ის ქ. №41-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეა ე. ც-ი, მისი უფლება დასტურდება 1967 წლის 31 მაისს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმით. ამ ბარათზე არსებული ნახაზის მიხედვით, ე. ც-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს ჩიხი. საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთ კედლიდან ამავე სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის საზღვრამდე მანძილია 0,5მ.

1984 წელს შედგენილი ტექნიკური აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ე. ც-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებულ მიწის ნაკვეთს

აღმოსავლეთ მხრიდან ჩიხის ნაცვლად ესაზღვრება ლ-ა. საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთ კედლიდან ამავე სახლზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის საზღვრამდე (ლ-ების კუთვნილ ნაკვეთამდე) მანძილი არის 5,2მ (ნაცვლად 1973 წლის ბარათში დაფიქსირებული 0,5მ-ისა). მსგავსი ნახაზია მოცემული 1988 წელს შედგენილ ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე. სააღრიცხვო მასალებში არ არის რაიმე დოკუმენტი ან რაიმე ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა თუ რა დაედო საფუძვლად ე. ც-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრის აღმოსავლეთ მხარეს გადაწევას ჩიხის ფართობის ხარჯზე.

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგისტრატორის მიერ 2002 წლის 19 ივნისს შედგენილია სააღრიცხვო ბარათი, რომელშიც განხორციელებული ჩანაწერით ქ. ხაშურში მდებარე 1130 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე დარეგისტრირდა გარდაცვლილი ე. ც-ის საკუთრების უფლება (საკადასტრო ნომერი ...). რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება, ცნობა დახასიათებაზე დართულ მიწის ნაკვეთის გეგმაზე სადაცვო ჩიხი მოქცეულია ე. ც-ის კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში. იმავე სააღრიცხვო ბარათზე 2002 წლის 3 ივლისს გაკეთებული ჩანაწერით უძრავ ქონებაზე, 2002 წლის 20 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, დარეგისტრირდა ო. ც-ის საკუთრების უფლება.

ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, 2012 წლის 31 დეკემბერს, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა მ.პ-ის საკუთრების უფლება. ამავე ქონებაზე, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2017 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა ო. ც-ის საკუთრების უფლება (საკადასტრო ნომერი ..., ნაკვეთის წინა ნომერი ...). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით უძრავ ქონებაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ქ. გ-ის საკუთრების უფლება. ამავე ქონებაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ა. ც-ის საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით უძრავ ქონებაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ნა. ბ-ის საკუთრების უფლება. ამავე ქონებაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2019 წლის 14 თებერვლის გა-

დაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა 6. ბ-ის საკუთრების უფლება, რომელიც ქონების ამჟამინდელი მესაკუთრეა.

2019 წლის 8 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა პ. გ-ის წარმომადგენელმა გ.ღ-მა და მიუთითა, რომ მის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ხაშურში მდებარე უძრავი ქონება – საკადასტრო ნომერი ამ ნაკეთს ჰქონდა დამოუკიდებელი მისასვლელი გზა (საერთო ჩიხი) ...ის (ყოფილი ...ის) ქუჩიდან. 6. ბ-ის სახელზე ირიცხება უძრავი ქონება (საკადასტრო ნომერი ...), რომელმაც მოახდინა ჩიხის რეგისტრაცია და დაუკეთა გასასვლელი, ააგო ლითონის ლობე, რითაც მოესპო ...ის ქუჩაზე გასვლის საშუალება. პ. გ-მა მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება სადაც ჩიხის ნაწილში. სარეგისტრაციო სამსახურის 2019 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, რაც პ. გ-ის მიერგასაჩივრდა ზემდგომ ორგანოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სარეგისტრაციო სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება პ. გ-ის განცხადებაზე.

საქმეზე წარმოდგენილი ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული ტექნიკური აღრიცხვის ბარათებით და მასზე დართული დოკუმენტაციით, სიტუაციური ნახაზით, ამონანერებით საჯარო რეესტრიდან თანდართული საკადასტრო ნახაზებით და ასევე, სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე პ. გ-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და 338 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საკადასტრო ნომერი ... აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთ მხარეს, ...ის (ყოფილი ...ის) ქუჩას უკავშირდებოდა ჩიხით. ამ ჩიხს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრებოდა 6. ლ-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთი – საკადასტრო ნომერი ..., ხოლო დასასვლეთ მხარეს ე. ც-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად 6. ბ-ის საკუთრებაა – საკადასტრო ნომერი ... 1984 წლამდე არსებულ ტექნიკური აღრიცხვის ბარათებში ორივე მიწის ნაკვეთს (... და ...) მოცემულ მხარეს უნდერია ჩიხი. ლ-ას კუთვნილი ნაკვეთის ტექნიკურ ბარათში უკანასკნელ პერიოდამდე ჩიხია მითითებული, ხოლო ე. ც-ის (ამჟამად 6. ბ-ის) კუთვნილი ნაკვეთის ტექნიკური აღრიცხვის ბარათებში 1984 წლიდან ჩიხი აღარ არის და ეს ფართი გაერთიანებულია ც-ის კუთვნილ ნაკვეთთან. 2019 წლის თებერვლამდე, მანამ, სანამ მესამე პირმა ჩაკეტა გასასვლელი, ამ ჩიხით სარგებლობდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მეზობლები. წარმოდგენილი სურათებით და მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ მოსარჩელე პ. გ-ის კუთვნილ ღობეზეც და სადაც ტერიტორიის აღმოსავლეთ მხა-

რეს არსებული ნაკვეთის ლობეზეც დატანილია კარები, რომლებიც გამოდის სადაც ჩიხის მხარეს. პ. გ-ის მხარეს დატანილი კარი ამ ეტაპზე დაფარულია ნ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვარზე გაკეთებული თუნუქის ლობით.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 1984 წელს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ განხორციელებული სააღრიცხვო ჩანაწერი, რომლითაც სადაც ჩიხი მოქცეულია ე. ც-ის კუთხით ტერიტორიის ფარგლებში, კანონს ეწინააღმდეგება და არღვევს მოსარჩელის ინტერესებს. მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ ჩანაწერს საფუძვლად არ დასდებია უფლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, საკუთრების უფლების წარმოშობას საფუძვლად უნდა დადებოდა შესაბამისი გარიგება, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი. ასეთი საქმეზე არ არსებობდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაც უძრავი ქონება წარმოადგენდა ჩიხს (გასასვლელს ...ის, ყოფილიის ქუჩაზე). შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღრიცხვო ჩანაწერი უკანონო იყო, ლახავდა პ. გ-ის კანონიერ უფლებას ესარგებლა საერთო გზასთან დამაკავშირებელი გასასვლელით და უნდა გაბათილებულიყო.

რაც შეეხება საჯარო რეესტრში (სააღრიცხვო ბარათში) 2002 წლის 19 ივნისს განხორციელებულ ჩანაწერს, რომლითაც სადაც ჩიხზე დარეგისტრირდა გარდაცვლილი ე. ც-ის საკუთრების უფლება, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულია ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია, კერძოდ, ცნობა-დახასიათება, რომლის მიხედვითაც, ქონება (მათ შორის სადაც ჩიხი) აღრიცხული იყო ე. ც-ის სახელზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი (სააღრიცხვო ბარათში განხორციელებული ჩანაწერი) არ იქნა მიღებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა ნაკვეთთან დაკავშირებით სადაც აქტის გამოცემამდე.

სასამართლოს მითითებით, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის (მოქმედებდა 2006 წლამდე) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის მიმართ უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაცია (მიწის რეგისტრაცია) არის საქართველოს მიწის კადასტრის შემადგენ. ნაწილი და მოიცავს აუცილებელ მონაცემებს მიწის ნაკვეთის და მსათან უძრავად დაკავშირებული ქონების ობიექტების საზღვრების, რაოდენობრივ-თვისებრივი და სამართლებრივი

მდგომარების შესახებ. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების მიხედვით, მიწისა და სხვა უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია ხდება სარეგისტრაციო ბარათის შედგენითა მანისა და ყველა იმ ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებითაც განისაზღვრება ამ ქონების უფლებრივი და ვალდებულებითი დატვირთვა. პირველადი რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ორ საფუძველზე: მიწის და სხვა უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების დადგენისა დაფუძვლის საფუძველზე უფლებების დადგენის საფუძველზე რეგისტრაცია გულისხმობს გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში მიწის კადასტრის სამუშაოების ჩატარებას, რათა რეგისტრირებულ და დოკუმენტირებულ იქნეს საკუთრება, უძრავი ქონების საზღვრები და მასზე უფლებები.

სასამართლოს მითითებით, 2002 წლის 19 ივნისს რეგისტრაციის განხორციელებისას რეგისტრატორმა არ დაიცვა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნები, არასწორად დაადგინა საკუთრების უფლება სადავო მიწაზე და მისი საზღვრები. მოცემულ შემთხვევაში ე. ც-ის საკუთრება დარეგისტრირდა ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტების საფუძველზე, თუმცა მას არ ერთვოდა რაიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც დაადასტურებდა სადავო ჩიხის ე. ც-ის სახელზე აღრიცხვის მართლზომიერებას. როგორც სასამართლო დაადგინა, აღრიცხვა მოხდა კანონიერი საფუძვლის გარეშე, რაც ექვემდებარებოდა გამოკვლევას. „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზღვრების დაფიქსირება ხდებოდა მოსაზღვრე მხარეების შეთანხმების შემდეგ. რომ მომხდარიყო მოსაზღვრეთა გამოკითხვა და მათი ნების გამოკვლევა, ადგილზე დათვალიერება, რეგისტრატორს უნდა დაედგინა, რომ სადავო ნაკვეთი ფაქტობრივად წარმოადგენდა ჩიხს, რომლითაც სარგებლობდა მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ მოცემული არასწორი რეგისტრაციით დაირღვა პ. გ-ის კანონიერი უფლება. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლის 19 ივნისს რეგისტრაცია განხორციელდა ისე, რომ საკადასტრო აღწერის შედეგები (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) არ იყო წარდგენილი WGS 84 კოორდინატთა სისტემაში და UTM პროექციაში, შედგენილი მიწის ნაკვეთის გეგმით აშკარად დგინდებოდა სადავო მიწის ფართის (ჩიხის) ე. ც-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში მოქცევის ფაქტი (მხედველობაშია მისაღები, რომ ნახაზზე პორიზონტის მხარეები არასწორადაა მოცემული – ჩრდილოეთი მხარე მოქცეულია ქვემოთ, ხოლო სამხრეთი ზემოთ). ამდენად, 2002 წლის 19 ივნისის სააღრიცხვო ჩანაწერი არის ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ხელყოფდა პ. გ-ის კანონიერ ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ად-მინისტრაციული აქტი გამოცემული იყო მისი მომზადებისა და გამოცე-მის დადგენილი წესის არსებითი დარღვევით და ამის არარსებობის შემ-თხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რაც ად-მინისტრაციული აქტის ბათილობის საფუძველს წარმოადგენდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის გადაწყვე-ტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-ნულმა სააგენტომ და 6. ბ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყო-ფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 იანვრის განჩინებით დ. ჭ-ე ცნობილ იქნა გარ-დაცვლილი პ. გ-ის უფლებამონაცვლედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი; დაკ-მაყოფილდა 6. ბ-ის სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა მოცემულ საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 2 ივლისის გადაწყვეტი-ლება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა პ. გ-ის უფლებამონაცვლის – დ. ჭ-ის შემდეგი სასარჩელო მოთხოვნები: ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიც-ხვოჩანანერის, რომლითაც ე. ც-ის სახელზე აღირიცხა ქ. ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე ნაკვეთი სადა-ცო ჩიხის ნაწილში (კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ნაწილში) ბათილად (ცნო-ბის თაობაზე); ასევე 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში (მინის, უძრავი ქონების სააღრიცხვო ბარათში, საკადასტრო კოდი ...) განხორ-ციელებული ჩანანერის, სადაცო ჩიხის, კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ფარ-თის ნაწილში (საქმეში არსებული ნახაზის შესაბამისად) ე. ც-ის საკუთ-რების უფლების რეგისტრაციის შესახებ ბათილად (ცნობის თაობაზე).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამარ-თლოს მითითება იმის შესახებ, ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანანერი უკანონო და ბათილი იყო იმის გამო, რომ „1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, საკუთრების უფლების წარმოშობას საფუძვლად უნდა დადებოდა შე-საბამისი გარიგება, ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული სა-მართლებრივი აქტი. ასეთი საქმეზე არ არსებობს“. აღნიშნულთან და-კავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 1984 წლისთვის სა-ქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინის ნაკვეთი არ შეიძლება ყოფილიყო ფიზიკური პირის საკუთრებაში და ის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს განსაკუთრებულ საკუთრებას წარმოადგენდა.

ამის თაობაზე პირდაპირ იყო მითითებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 93-ე მუხლში, რომლის მესამე ნაწილის თანახმად, მიწა, მისი წილი, წყლები და ტყეები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ სარგებლობისათვის. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ასეთივე ჩანაწერი იყო მითითებული საქართველოს სსრ მიწის კოდექსშიც (1971 წლის რედაქცია), რომლის მე-4 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, მიწა წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად კი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მიწა სარგებლობისათვის მიეცემა სსსრ-ის კავშირის მოქალაქეებს. ზემოაღნიშული სამართლებრივი რეგულირების პირობებში სააპელაციო პალატამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ვინაიდან იმ დროისათვის მიწა არ შეიძლება ყოფილიყო ფიზიკური პირის საკუთრებაში, ამიტომ ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერში სადაც მიწის ნაკვეთზე ვერ იქნებოდა მითითებული საკუთრების უფლების წარმოშობის რამე საფუძველი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მაისის განჩინებით სსრ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა სააპელაციო სასამართლოსთვის წარედგინა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივში დაცული სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ქ. ხაშურში, ყოფილი ...ის №42-ში (ასევე ...ის ქ. №41, №48-ში), ამჟამინდელი ...ის №42-ში არსებულ სახლომიწლობელობასთან დაკავშირებით, კერძოდ ე.ნ-ის ასული ც-ის სახელზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის განხორციელებული ყველა ტრანზაქცია და მასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მასალები, მათ შორის 1984 წლის მდგომარეობით; ამასთან, მომიჯნავე და მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი და ინფორმაცია.

ამავე განჩინებით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა სააპელაციო სასამართლოსთვის წარედგინა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივში დაცული სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ქ. ხაშურში, ყოფილი ...ის №42-ში (ასევე ...ის ქ. №41, №48-ში), ამჟამინდელი ...ის №42-ში არსებულ სახლომიწლობელობასთან დაკავშირებით, კერძოდ ე.ნ-ის ასული ც-ის სახელზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის განხორციელებული ყველა ტრანზაქცია და მასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მასალები, მათ შორის 1984 წლის მდგომარეობით; ამასთან, მომიჯნავე და მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი და ინფორმაცია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 ივნისის №84-8422171116 წერილში მითითებული იქნა შემდეგი: „მოგეხსენებათ 2022 წლის 23 მაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაგვევალა დამატებით დოკუმენტაციის წარდგენა, კერძოდ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინოს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს არქივში დაცული სააღრიცხვო-სარეგისტრაციო დოკუმენტაცია ქ. ხაშურში ყოფილი ...ის ქ. №42-ში (ასევე ...ის №41, 48) ამჟამინდელი ...ის ქ. №42-ში არსებული სახლთმფლობელობასთან დაკავშირებით, კერძოდ ე. ნ-ის ასული ც-ის სახელზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის განხორციელებული ყველა ტრანზაქცია და მასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო მასალები, მათ შორის 1984 წლის მდგომარეობით, ამასთან მომიჯნავე და მოსაზღვრე მინის ნაკვეთებთან დაკავშირებით ყველა ჩანაწერი და ინფორმაცია. გარდა აღნიშნულისა, მერიის მიერ სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ ხაშურის რეგიონალური არქივიდან დამატებით გამოთხვილი იქნა გადასახადის გადამხდელთა სიებიდან ა. გ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია ზემოაღნიშნულმისამართზე სავარაუდი საძიებო წლებით 1962-1965 და მათ ხელთ არსებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2022 წლის 13 ივნისს ხაშურის რეგიონალური არქივიდან №69/29487 წერილით გვეცნობა, ხაშურის რაიონის საფინანსო განყოფილების 1960-1962, 1963-1965, 1964 წლებით დათარიღებული საგადასახადო აღრიცხვის წიგნების ჩანაწერების ქსეროასლებით ა. გ-ის ქონების გადასახადების გადამხდელად არსებობის შესახებ. შესაბამისად, გიგზავნით ზემოაღნიშნულ მოწოდებულ დოკუმენტაციას. დანართი: დოკუმენტაცია 04 ფურცლად.“

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 13 ივნისის №... წერილში კი აღნიშნული იქნა შემდეგი: „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი №3ბ/2144-20 (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერია ..., თარიღი – 03.06.2022 წელი) მომართვის პასუხად გიგზავნით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით (საქმე №3ბ/2144-20, საქმე №...; 23.05.2022) მოთხოვნილი დოკუმენტების ასლებს (იხ. დანართი).“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარდგენილი დანართი რეგისტრირებულია 91 ფურცლად.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე შეაფასა ზემოხსენებული დოკუმენტები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთხვილი ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან ქ. ხაშურში, ...ის ჩიხი №42-ში მდებარე უძრავი ნივთის

სააღრიცხვო დოკუმენტაციის (დედნის) მასალებთან ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ ვინაიდან ე. ც-ის სახელზე სადაც მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის და რეგისტრაციის სიყალბის დამადასტურებელი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოს დასკვნა საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი, ამიტომ არ არსებობდა სადაც მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერის ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმის შესახებ, რომ სადაც უძრავი ქონება ე. ც-ის გარდაცვალების შემდეგ 2002 წლის 20 ივნისს გაცემული სამკვიდრო მონმობის საფუძველზე, დარეგისტრირდა ო. ც-ის სახელზე; ზემოაღნიშნულ სადაც უძრავ ქონებაზე, 2002 წლის დეკემბერში ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა მ.პ-ის საკუთრების უფლება; ამავე ქონებაზე, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2017 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა ო. ც-ის საკუთრების უფლება (საკადასტრო ნომერი ნაკვეთის წინა ნომერი ...); იმავე უძრავ ქონებაზე საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ქ. გ-ის საკუთრების უფლება; ამავე ქონებაზე, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ა. ც-ის საკუთრების უფლება; საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი იმავე უძრავ ქონებაზე, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ნა. ბ-ის საკუთრების უფლება. ამავე ქონებაზე, საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დარეგისტრირდა ნ. ბ-ის საკუთრების უფლება, რომელიც ქონების ამჟამინდელი მესაკუთრეა. ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში გაიზიარა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განმარტება იმის შესახებ, საკანონმდებლო დაცვის უფლებით აღჭურვილია ის პირი, ვინც საკუთრების უფლება შეიძინა კეთილსინდისიერად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და რომლის სამართლებრივი შედეგებიც დღემდე კანონიერ ძალაშია. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი მიიჩნევა აღნიშნულ

ნივთზე უფლებამოსილ პირად სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის და ბრუნვის მონაწილეების ინტერესების დაცვის მიზნით. კეთილსინდისიერად არ მიიჩნევა შემძენი, თუ მისთვის ცნობილია ისეთი გარემოებები, რომლებიც ბრუნვის მონაწილეს ეჭვს აღუძრავდა უფლების ნამდვილობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მოქმედებს წინდახედულობის გონივრული მასშტაბი: შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც სცილდება მისი შესაძლებლობის ფარგლებს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 მაისის განჩინება, საქმე №ძს-1233(კ-19); 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-189-182-2013).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მისი შესახებ, რომ 2002 წლის 19 ივნისს რეგისტრაციის განხორციელებისას რეგისტრატორმა თითქოს არ დაიცვა მოქმედი კანონმდებლობის ნორმების მოთხოვნები, თითქოს არასწორად დაადგინა საკუთრების უფლება სადავო მიწაზე და მისი საზღვრები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც განმცხადებლის მიერ წარდგენილი იქნა სარეგისტრაციო დოკუმენტი, კერძოდ 1984 წელს შესრულებული ტექნიკური აღრიცხვის ბარათი და საინვენტარიზაციო გეგმა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო უძრავი ნივთის ტექნიკური მახსასიათებლების დადგენა, როგორიცაა ფართობი, კონფიგურაცია, მოსაზღვრე მიწის ნაკვეთები და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნული იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მოთხოვნილი ტერიტორია წარმოადგენდა ე.ც-ის საკუთრებას, ხოლო მარეგისტრირებელ ორგანოს მოვალეობას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა გადამოწმება – არსებობდა თუ არა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება კონკრეტულ შემთხვევაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რამდენადაც სარეგისტრაციო წარმოების პროცესში არ გამოვლენილა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება, რეგისტრაციის შესახებ №692002000426 (19.06.2002) მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება კანონშესაბამისი იყო.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოადგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს არ გააჩნია წარდგენილი

დოკუმენტაციის ნამდვილობის შემოწმების უფლებამოსილება, თუმცა მისი შეფასების საგანს უდავოდ წარმოადგენს საკითხი – არის თუ არა დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი, ასევე მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტი ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების უშუალოდ წარმოშობის საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია მასზე, რომ ტექნიკური აღრიცხვის არქივში არსებული ინფორმაცია წარმოშობდა ან. გარდაცვლილი ე. ც-ის სახელზე სადავო უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასჩივრა დ.ჭ.ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის ნორმა კეთილსინდისიერ შემძნობან დაკავშირებით. კასატორის მტკიცებით, ნ. ბ-ემ და მისი ოჯახის წევრებმა იცოდნენ მიწის ნაკვეთის სადავოობის შესახებ და სწორედ ამ მოტივით მოითხოვეს პირვანდელი მესაკუთრისიგან გამყოფი ღობის აღმართვა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება სწორედ ღობის აღმართვის შემდგომ, ასევე, უძრავი ნივთის საკუთრებაში აღრიცხვამდე ღობის აღმართვის საფასური, მათ შორის, ხელოსნებისა და სამშენებლო მასალების ღირებულება დაფარა სწორედ ნ. ბ-ის ოჯახმა და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ქონების ღირებულების გადახდა, რის დამადასტურებელ მტკიცებულებებსაც წარმოადგენდა კასატორი. აღნიშნულის მიზეზი გახდა ან გარდაცვლილი პ. გ-ის წინააღმდეგობა და დასბუთებული განმარტება, რომლითაც ნ. ბ-ის ოჯახი დარწმუნდა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩიხი ე. ც-ის საკუთრებაში უკანონოდ იყო აღრიცხული.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო მიუთითებს რა 2002 წლის შემდგომ განხორციელებულ ტრანზაქციებზე, აკეთებს დასკვნას, რომ მესამე პირები არიან კეთილსინდისიერი შემძნები და შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტები არ უნდა ყოფილიყო ბათილად (ცნობილი, რასაც არ ეთანხმება კასატორი და განმარტავს, რომ დავის საგანი არ ყოფილა 2002 წლის შემდგომ დადებული გარიგებები). კასატორის განმარტებით, კეთილსინდისიერება არის ფაქტობრივი გარემოება, როცა მხარე ნასყიდობის საგნის ნაკლის მიმართ კეთილსინდისიერია და მას არც მეიძღება სცოდნოდა ნასყიდობის საგნის ნაკლის შესახებ. მო-

ცემულ შემთხვევაში კი დავის საგანს წარმოადგენს ტექბიუროს ჩანა-ნერების ხარვეზი, სადაც მოპასუხეა საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტო, რა დროსაც გადაწყვეტილებაში მესამე პირის კეთილსინდისი-ერებაზე მითითება კასატორისთვის გაუგებარია. უფრო მეტიც, სააპე-ლაციო პალატა მიუთითებს, რომ 1984 წელს შედგენილ ტექნიკური აღ-რიცხვის ბარათს არ ჰქონია რაიმე იურიდიული საფუძველი, თუმცა, სი-ყალბის დამადასტურებელი რომელიმე კომპეტენტური ორგანოს დას-კვნა საქმეში წარმოდგენილი არ არის, რის შემდგომაც სააპელაციო სა-სამართლომ დაასკვნა, რომ უსაფუძვლო იყო სიყალბეზე მითითება. კა-სატორი საკასაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ თავად ჩანაწერის განხორციელება საფუძვლის გარეშე წარმოადგენს სიყალბეს, რადგან ქმედებას საფუძველი არ გააჩნია.

ამასთან, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოც აღი-არებს, რომ სადაც ჩიხთან დაკავშირებით ცვლილებას რაიმე კანონიე-რი საფუძველი არ გააჩნია.

კასატორის განმარტებით, სადაც რეგისტრაციას საფუძვლად და-ედო ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასია-თება, რომელზე დართული მინის ნაკვეთის გეგმაზე სადაც ჩიხი მოქ-ცეულია ე. ც.-ის კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა, რომელი ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტი ან სხვა სახის გარიგება გახ-და ამის საფუძველი, სასამართლოსთვის უცნობია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბა-მისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული დ.ჭ-ის საკასაციო საჩივარი.

2023 წლის 26 იანვარს საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ.ჭ-ემ, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 198-ე მუხლის მე-2 ნა-წილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიების სახით უძრავ ქონებაზე – ს/კ ... (ნაკვეთის ნინა ნომერი – ...), მდებარე – ქ. ხაშური, ...ის ქ. №42, ყადაღის დადება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 30 იანვრის განჩინებით დ.ჭ-ის შუამდგომლობა სარ-ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკ-მაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივნისის განჩინებით დ.ჭ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დას-წრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გა-საჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ჭ-ის (პ. გ-ის უფლებამონაცვლის) სარჩელი დაკ-მაყოფილდება, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მხარე სადაცოდ ხდის ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღმისაცვლილი რიცხოვ ჩა-ნაწერს, რომლითაც ე. ც-ის სახელზე აღირიცხა ქალაქ ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე მინის ნაკვეთი სადაცოდ ჩიხის ნაწილში, კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ნაკვეთის ნაწილში და 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეეს-ტრში განხორციელებულ, სადაცოდ ჩიხის, კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ფართის ნაწილში ე. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესა-ხებ ჩანაწერს და მათ ბათილად ცნობას მოითხოვს. მოსარჩელის მტკი-ცებით, მისასვლელი ჩიხი ...ის ქუჩაზე არსებობს ქალაქის ტერიტორიის განაშენიანების დღიდან, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგნენტოს ტექ-ალრიცხვის მასალებში დაცული 1973 წლის ტექ-ნიკური აღრიცხვის ბარათით. აღნიშნული ჩიხით 2019 წლის ოქტომბრიდან და სარგებლობდნენ მიმდებარედ მცხოვრები მეზობლები: ლ-ები, გ-ები და ც-ები. საჯარო რეესტრში არ არის დაცული რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული ჩიხის კერძო საკუთრებაში გა-დასვლის კანონიერებას. საერთო სარგებლობაში არსებული საზოგადო-ებრივი გზა-ჩიხი თვითნებურად იქნა მითვისებული.

განსახილველ შემთხვევაში, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული დოკუმენტებით დადგენილია, რომ 1973 წელს შედგენილი საც-ხოვრებელი სახლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ხაშურ-ში, ...ის ქ. №41-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეა ე. ც-ი, რომ-ლის უფლება დასტურდება 1967 წლის 31 მაისს გაცემული საინვენტა-რიზაციის გეგმით. აღნიშნულ ბარათზე არსებული ნახაზის მიხედვით, ე. ც-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მინის ნაკვეთის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს ჩიხი. საცხოვრებელი სახლის აღმო-სავლეთ კედლიდან ამავე სახლზე მიმაგრებული მინის ნაკვეთის საზ-ღვრამდე მანძილია 0,5მ.

1984 წელს შედგენილი ტექნიკური აღრიცხვის ბარათის მიხედვით, ე. ც-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებული მინის ნაკვეთის აღმოსავლეთ მხრიდან ჩიხის ნაცვლად ესაზღვრება ლ-ა. საცხოვრებე-ლი სახლის აღმოსავლეთ კედლიდან ამავე სახლზე მიმაგრებული მინის ნაკვეთის საზღვრამდე (ლ-ების კუთვნილ ნაკვეთამდე) მანძილი არის

5,28 (ნაცვლად 1973 წლის ბარათში დაფიქსირებული 0,58-ისა). მსგავსი ნახაზია მოცემული 1988 წელს შედგენილ ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე. სააღრიცხვო მასალებში არ არის რაიმე დოკუმენტი ან რაიმე ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა თუ რა დაედო საფუძვლად ე. ც-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრის აღმოსავლეთ მხარეს გადაწევას ჩიხის ფართობის ხარჯზე.

ასევე დადგენილია, რომ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგისტრაციონის მიერ 2002 წლის 19 ივნისს შედგენილია სააღრიცხვო ბარათი, რომელშიც განხორციელებული ჩანაწერით ქ. ხაშურში მდებარე 1130 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე დარეგისტრირდა გარდაცვლილი ე. ც-ის საკუთრების უფლება (საკადასტრო ნომერი – ...). რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება, რომელზე დართულ მიწის ნაკვეთის გეგმაზე სადაც ჩიხი მოქცეულია ე. ც-ის კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში. ამასთან, აღნიშნული ჩანაწერის შემდგომ სადაც ჩიხთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში განხორციელებულია არაერთი ტრანზაქცია, ჩიუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე მასზე რეგისტრირებულია საქმეში მესამე პირებად ჩაბმული პირების საკუთრების უფლება, ხოლო უძრავი ნივთის ბოლო, ამჟამინდელ მესაკუთრეს წარმოადგენს – ნ. ბ-ე.

საქმეზე წარმოდგენილი ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში დაცული ტექნიკური აღრიცხვის ბარათებით და მასზე დართული დოკუმენტაციით, სიტუაციური ნახაზით, ამონანაწერებით საჯარო რეესტრი-დან თანდართული საკადასტრო ნახაზებით და ასევე, სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე პ. გ-ის (უფლებამონაცვლე – კასატორი დ.ჭ-ე) საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და 338 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო ნომერი – ...). აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთ მხარეს, ...ის (ყოფილი ...ის) ქუჩას უკავშირდებოდა ჩიხით. ამ ჩიხს აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრებოდა ნ. ლ-ას კუთვნილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო ნომერი – ...), ხოლო დასავლეთ მხარეს ე. ც-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად ნ. ბ-ის საკუთრებას წარმოადგენს (საკადასტრო ნომერი – ...). 1984 წლამდე არსებულ ტექნიკური აღრიცხვის ბარათებში ორივე მიწის ნაკვეთს (... და ...) მოცემულ მხარეს უწერია ჩიხი. ლ-ას კუთვნილი ნაკვეთის ტექნიკურ ბარათში უკანასკნელ პერიოდამდე ჩიხია მითითებული, ხოლო ე. ც-ის (ამჟამად ნ. ბ-ის) კუთვნილი ნაკვეთის ტექნიკური აღრიცხვის ბარათებში 1984 წლიდან ჩიხი აღარ არის და ეს ფართი გაერთიანებულია (ც-ის კუთვნილ ნაკვეთთან. 2019 წლის თებერვლამდე, მანამ, სანამ მესამე პირმა ჩაკეტა გასასვლელი, ამ ჩიხით სარგებლობდნენ მიმდებარე ტერიტო-

რიაზე მცხოვრები მეზობლები. წარმოდგენილი სურათებით და მოწმე-თა ჩვენებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე პ. გ-ის კუთვნილ ღობე-ზეც და სადაც ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს არსებული წაკვე-თის ღობეზეც დატანილია კარები, რომლებიც გამოდის სადაც ჩიხის მხარეს. პ. გ-ის (უფლებამონაცვლე – დ.ჭ-ე) მხარეს დატანილი კარი ამ ეტაპზე დაფარულია 6. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული წაკვეთის საზ-ღვარზე გაკეთებული თუნუქის ღობით.

საქმეზე დადგენილი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასა-მართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სადაც ჩიხი, როგორც 1984 წლამ-დე არსებულ ტექნიკური აღრიცხვის ბარათში, ასევე ფაქტობრივადაც წარმოადგენდა საერთო სარგებლობის ჩიხის, რომლითაც სარგებლობ-დნენ მიმდებარედ მცხოვრები მეზობლები. 1984 წლის სააღრიცხვო ჩა-ნაწერში კი, განსხვავებით 1973 წელს შედგენილი ტექნიკური აღრიც-ხვის ბარათისგან, ე. ც-ის უძრავი ქონების ფარგლებში მითითებულია სადაც ჩიხი ისე, რომ ვერ დგინდება რა გახდა წლების განმავლობაში საერთო სარგებლობის ჩიხის კერძო სარგებლობაში გადაცემის სამარ-თლებრივი საფუძველი. საქმეზე არ წარმოადგენილა შესაბამისი ორგა-ნოს გადაწყვეტილება სადაც ჩიხის ინდივიდუალურ სარგებლობაში გა-დაცემასთან დაკავშირებით, რაც საფუძვლად დაედებოდა ტექნიკური აღრიცხვის ბარათში მის მოხსენიებას. ამასთან, საერთო სარგებლობის ჩიხის ე. ც-ისთვის კერძო სარგებლობაში გადაცემით შეილახა მოსარ-ჩელე მხარის კანონიერი უფლება ესარგებლა საერთო გზასთან დამა-კავშირებელი ჩიხით. შესაბამისად, 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერში საერთო სარგებლობის ჩიხის მითითება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რომელმაც მიმდებარე ქუჩის მეზობლებს შეუზ-ღუდა მისით სარგებლობის შესაძლებლობა, უკანონოა და ენინააღმდე-გება მოსარჩელე მხარის ინტერესებს, რაც სადაც ჩიხის ნაწილში, კერ-ძოდ, 108,44 კვ.მ მინის წაკვეთის ნაწილში მისი ბათილად ცნობის სა-ფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება საჯარო რეესტრში (მიწის (უძრავი ქონების) სააღრიც-ხვობარათში) 2002 წლის 19 ივნისს განხორციელებულ ჩანაწერს, რომ-ლითაც სადაც ჩიხზე დარეგისტრირდა გარდაცვლილი ე. ც-ის საკუ-რების უფლება, მის საფუძვლად მითითებულია ტექნიკური ინვენტა-რიზაციის არქივში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მი-ხედვითაც, ქონება (მათ შორის სადაც ჩიხი) აღრიცხული იყო ე. ც-ის სახელზე, თუმცა როგორც აღინიშნა, სააღრიცხვო დოკუმენტაციას არ ერთვოდა რაიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც დაადასტურებდა თუ რა გახდა წლების განმავლობაში საერთო სარგებლობის ჩიხის კერძო სარგებლობაში გადაცემის სამართლებრივი საფუძველი.

2002 წელს სადაც ჩანაწერის განხორციელების დროს მოქმედი „მი-

წის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 14 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის მიმართ უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაცია (მიწის რეგისტრაცია) იყო საქართველოს მიწის კადასტრის შემადგენ. ნანილი და მოიცავდა აუცილებელ მონაცემებს მიწის ნაკვეთის და მასთან უძრავად დაკავშირებული ქონების ობიექტების საზღვრების, რაოდენობრივ-თვისებრივი და სამართლებრივი მდგომარების შესახებ. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების მიხედვით, მიწისა და სხვა უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაცია ხდებოდა სარეგისტრაციო ბარათის შედგენით ამ კანონისა და ყველა იმ ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებითაც განისაზღვრებოდა ამ ქონების უფლებრივი და ვალდებულებითი დატვირთვა. პირველადი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელებულიყო ორ საფუძველზე: მიწის და სხვა უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების დადგენისა და ამ ქონებაზე უფლებების გადასვლის საფუძველზე. უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების დადგენის საფუძველზე რეგისტრაცია გულისხმობდა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში მიწის კადასტრის სამუშაოების ჩატარებას, რათა რეგისტრირებული და დოკუმენტირებული ყოფილიყო საკუთრება, უძრავი ქონების საზღვრები და მასზე უფლებები. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზღვრების დაფიქსირება ხდებოდა მოსაზღვრე მხარეების შეთანხმების შემდეგ.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო ჩიხის მოსაზღვრეთა გამოკითხვისა და მათი ნების გამოკვლევის, ადგილზე დათვალიერებისას რეგისტრატორს უნდა დაედგინა, რომ სადავო ნაკვეთი ფაქტობრივად წარმოადგენდა საერთო სარგებლობის ჩიხს, რომლითაც სარგებლობდა მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, ხოლო სააღრიცხვო ბარათში მის დაფიქსირებას რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ დასდებია. მარეგისტრირებელ ორგანოს არ შეუფასება 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერში, განსხვავებით 1973 წელს შედგენილი ტექნიკური აღრიცხვის ბარათისგან, რის საფუძველზე მოექცა საერთო სარგებლობის ჩიხი ე. ც-ის უძრავი ქონების ფარგლებში. შესაბამისად, სადავო ჩიხთან დაკავშირებით არ შეფასებულა ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა მის რეგისტრაციამდე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას მასზედ, რომ ვინაიდან ე. ც-ის სახელზე სადავო მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის და რეგისტრაციის სიყალბის დამადასტურებელი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოს დასკვნა საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი, ამიტომ არ არსებობს სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩა-

ნაწერის ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული დავის ფარგლებში, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის პირობები სახეზეა, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 32-ე მუხლები), შესაბამისად, სადაც აქტის სიყალბის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების არარსებობა, სასამართლოს არ ათავისუფლებს მისი კანონთან შესაბამისობის დადგენის ვალდებულებისგან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოცემული სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე და მოთხოვნილია სადაც აქტების ბათილად ცნობა მათი კანონთან შეუსაბამობის მოტივით, მოსარჩელე მხარე დავობს, რომ სადაც ჩიხი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოექცა ინდივიდუალურ სარგებლობაში. შესაბამისად, ე. ც-ის სახელზე სადაც მინის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის და რეგისტრაციის სიყალბის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობა არ გამორიცხავდა სადაც აქტების ბათილად ცნობას მათი უკანონობის საფუძვლით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას გასაჩივრებული რეგისტრაციის შემდგომ სადაც ჩიხთან დაკავშირებით ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე 2002-2019 წლებში საჯარო რეესტრში განხორციელებულ რეგისტრაციებსა და კეთილსინდისერი შემძენის ინსტიტუტზე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის საგანს სადაც ჩიხის ნაწილში ტენიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერისა და 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში (მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათში) ე. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა ნარმოდებენს, მოსარჩელე მხარე ნარმოდებენილი სარჩელით სადაც არ ხდის სადაც რეგისტრაციის შემდგომ განხორციელებულ ტრანზაქციებს, შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო არ დგას კეთილსინდისერი შემძენის ინსტიტუტის განმარტებისა და გამოყენების საჭიროების წინაშე. აღნიშნულზე მიუთითებს კასატორიც და აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ განმარტავს, რომ მოცემული დავის საგანი არ ყოფილა 2002 წლის შემდგომ დადებული გარიგებები.

ამასთან, ქვედა ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას მოპასუხე მხარის მხრიდან დაისვა სადაც აქტების გასაჩივრების ხან-

დაზმულობის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს, რომ სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდვას და ყოველ კონკრეტულ სამართალურო იერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლება და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არის ქცეული ე.ც.-ის სახელმწიფო სადავო ჩიხის სარგებლობაში გადაცემის და საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერება, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე მხარეს სადავო აქტებით შეეზღუდა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობა სადავო ჩიხის მეშვეობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის არსებითია, საკუთრებაზე დავის დაუსრულებელმა შესაძლებლობამ საფრთხე არ შეუქმნას უფლების დაუბრკოლებელ წარმოშობასა და შემდგომში მის სტაბილურ არსებობას. თუმცა, ამავდროულად, მოცემული დავის საგნის გათვალისწინებით, აუცილებელია არსებობდეს უფლების დაცვის ქმედითი და ეფექტური სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც გონივრულად უზრუნველყოფს მოსარჩელე მხარის უფლების დასაცავად დავის შესაძლებლობას. „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურები, რომლებიც სთავაზობს აუცილებელ პროცედურულ გარანტიებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ეროვნული სასამართლოებისთვისა და ტრიბუნალებისთვის, კერძო პირებს შორის ნებისმიერ დავაზე ანარმონო სამართლნარმოება ეფექტურად და სამართლანად“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 96-ე პარაგრაფი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა საკუთრების უფლების წარმოშობის კანონიერებასთან დაკავშირებით, ცხადია, არ უნდა იყოს დროში განუსაზღვრელად დასაშვები, თუმცა დაუშვებელია დავა საკუთრების უფლების წარმოშობის კანონიერებაზე დაექვემდებაროს ხანდაზმულობის არაგონივრულ შემზღვედავ დანაწესებს. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს გონივრული ბალანსი უკვე წარმოშობილი

საკუთრების უფლების სამართლებრივი ხელშეუხებლობის მიღწევისათვის საჭირო ვადასა და პირის უფლებას შორის, აწარმოოს დავა დაცვის ღირსი უფლების რეალიზაციის მიზნით.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩევლე მხარის მიერ დასახელებულ იმ გარემოებაზე, რომ ისინი სა-დავო ჩიხით 2019 წლის თებერვლამდე სარგებლობდნენ, მანამ, სანამ უძრავი ქონების ამჟამინდელმა მესაკუთრებ - ნ. ბ-ებ გამყოფი ღობის აღმართვით გადაკეტა იგი. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის ინტერე-სებს სადავო აქტების უარყოფითი შედეგები უშუალოდ სწორედ ამ პე-რიოდში შევხო; მათ ინტერესს, ესარგებლათ უძრავი ქონებით სადავო ჩიხის გამოყენებით, ზიანი მიადგა სწორედ ჩიხის გადაკეტვის დროი-დან. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადებიც სწორედ უფლების უშუა-ლო შეზღუდვის დროიდან უნდა აითვალის, ამასთან, ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს გონივრული. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გან-სახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ასეთი სპეციალური გონივრული ვადის არარსებობის პირობებში, სადავო აქ-ტების ბათილად ცნობის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სა-მოქალაქე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სა-ერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა. ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად კი მიჩნეულ უნდა იქნეს 2019 წლის თებერვალი, რა დროსაც განხორციელდა მოსარჩელე მხარის უფლების უშუალო ხელყოფა, შე-საბამისად, უსაფუძვლოა მითითება სადავო აქტების გასაჩივრების ხან-დაზმულობის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ დ.ჭ.-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გა-უქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2022 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ.ჭ.-ის (პ. გ-ის უფლებამო-ნაცვლის) სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად იქნეს ცნობი-ლი ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღ-რიცხვო ჩანაწერი, რომლითაც ე.ც-ის სახელზე აღირიცხა ქ. ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე მიწის ნაკ-ვეთი სადავო ჩიხის, კერძოდ, 108, 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში და 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში (მიწის (უძრავი ქონების) სააღ-რიცხვო ბარათში, საკადასტრო კოდი - ...) განხორციელებული ჩანაწე-რი სადავო ჩიხის, კერძოდ, 108, 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში (ს.ფ. 20-ზე არსებული ნახაზის მესაბამისად) ე.ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

ამასთან, სამოქალაქე საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბა-მისად, მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დ.ჭ-

ის სასამართლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ლ ე ბ ა:

1. დ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ჭ-ის (პ. გ-ის უფლებამონაცვლის) სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ხაშურის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1984 წლის სააღრიცხვო ჩანაწერი, რომლითაც ე. ც-ის სახელზე აღირიცხა ქ. ხაშურში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიმდებარე მინის ნაკვეთი სადაცო ჩიხის, კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ნაკვეთის ნაწილში;
5. ბათილად იქნეს ცნობილი 2002 წლის 19 ივნისს საჯარო რეესტრში (მინის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათში, საკადასტრო კოდი – ...) განხორციელებული ჩანაწერი სადაცო ჩიხის, კერძოდ, 108,44 კვ.მ მინის ნაკვეთის ნაწილში (საქმეში არსებული ნახაზის შესაბამისად) ე. ც-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ;
6. მოპასუხეს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დ. ჭ-ის სასამართლოდ დაეკისროს მის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასოფლო-სამეურნეო დაცივულების მინიჭების უფლების რეგისტრაციის საფუძველი

გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ბა-1176(კ-21)

1 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების გამოცემის დავალება

აღნიშვნილობითი ნაწილი:

2016 წლის 18 ივნისს ლ. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა
მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯა-
რო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნუ-
ლი სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და სარ-
ჩელის დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელის მოთხოვნა ჩამოყალიბდა შემ-
დეგი ფორმულირებით: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის
2016 წლის 17 მარტის №... (რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ) გა-
დაწყვეტილება, 2016 წლის 17 მარტის №... (რეგისტრაციაზე უარის
თქმის შესახებ) გადაწყვეტილება, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს 2016 წლის 10 ივნისის №... გადაწყვეტილება (ადმინისტრა-
ციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და სსიპ სა-
ჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს ახალი ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტების (მოსარჩელის მიერ სსიპ საჯარო რე-
ესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი №... და №... განცხადებე-
ბის საფუძველზე, 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მი-
ნის ნაკვეთზე და მასზე არსებულ საცხოვრებელ სახლსა და 1000 კვ.მ.
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე ლ. ს-ის საკუთ-
რების უფლების რეგისტრაციის შესახებ) გამოცემა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ის სარჩელი არ

დაკმაყოფილდა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირს წარსულში, უმედეგოდ, რამდენჯერმე უკვე ჰქონდა მიმართული მარეგისტრირებელი ორგანიზაციის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. დაინტერესებულმა პირმა სარეგისტრაციო სამსახურში ვერ წარადგინა საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება (მტკიცებულება). სასამართლომ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სახით წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №086060212001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) პირველი ნაწილით და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდებოდა საგამოძიებო მოქმედებების ამონურვის შემდეგ. ანალიტიკური შინაარსის წერილი, სასამართლოში იქნა წარდგენილი მოსარჩელის მიერ იმავე განყოფილებიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქმეზე მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები და გადაწყვეტილება მიღებული არ იყო. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობით, სარეგისტრაციო მიზნებისთვის წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ვერ იქნებოდა განხილული მიწის წაკვეთებზე საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტად. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადაც აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძვლები.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-მა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით ლ. ს-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასა-ჩივრა ლ. ს-მა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახა-ლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, ლ. ს-მა მიმართა სსიპ საჯარო რეეს-ტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში მიწის ნაკვეთებისა და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის საკუთრებაში რეგისტრაცია. უფ-ლების დამდგენ დოკუმენტად წარდგენილი იქნა მიწის ნაკვეთის მიღე-ბა-ჩაბარების აქტი და აზომვითი ნახაზი. წარდგენილი საბუთებიდან მიწის მიღება-ჩაბარების აქტი გადაგზავნილ იქნა საქართველოს მთა-ვარ პროკურატურაში. კასატორის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენ-ტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარ-მოება, რის გამოც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა. მიუთითებს, რომ საქმე დღეს მდგომარეობით არ არის დასრულებული. ადმინისტრაცი-ული წარმოების ფარგლებში გამოთხოვილ იქნა საკომლო ამონანერები და ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის წარმოების თაობაზე, მაგ-რამ გასაჩივრებული №... გადაწყვეტილებით მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დაინტერესებულ მხარეს უარი ეთქვა უფლების რე-გისტრაციაზე.

კასატორის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საკომლო ამონანერი წარმოადგენს უფლების დამდგენ საბუთს და იმ გარემოების გათვა-ლისწინებით, რომ ლ. ს-ის კომლი ირიცხება 1921 წლიდან, მას აქვს უფ-ლება გახდეს კომლის ქონების მესაკუთრე. კასატორი განსაკუთრებით ყურადსალებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ პროკურატურაში გადაგ-ზავნილ მიღება-ჩაბარების დოკუმენტზე დღემდე მიმდინარეობს გა-მოძიება. ასევე, განმარტავს, რომ გასული პერიოდის გათვალისწინე-ბით, დანაშაულის ფაქტის არსებობის პირობებში, უკვე ცნობილი იქნე-ბოდა ბრალდებულად პირი. მიიჩნევს, რომ მას, როგორც დაინტერესე-ბულ პირს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ ეთქვა უარი საკუთრების უფლებაზე, რითაც წაერთვა საქართველოს კონსტიტუ-ციით გათვალისწინებული უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 იანვრის განჩინებით შეჩერდა №ბს-1176(კ-21) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, საკასაციო საჩივრის წარმოება-ში მიღების ეტაპზე, ლ. ს-ის გარდაცვალების გამო, მისი უფლებამო-ნაცვლის დადგენამდე.

2022 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ლ. ს-ის საკასაციო საჩივრზე საქმის წარმოება განახლდა. კასატორის - გარდაცვლილი ლ. ს-ის საპ-როცესო უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაერთო შვილი - ე. ს-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2022 წლის 24 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. ს-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მარტის განჩინებით ე. ს-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. ე. ს-ის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხის განხილვა შედგა 2023 წლის 15 მარტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ე. ს-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება – დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

უპირველესად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მცხეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 900 მ² (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით) და 1000 მ² ფართობის მიწის ნაკვეთებზე ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის (საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე) დავალების საფუძვლიანობა.

მეტი სიცხადისთვის საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2016 წლის 14 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ლ. ს-ის წარმომადგენელმა ე. ს-მა და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი ...ი. მიწის ნაკვეთის ფართობი: 900 კვ.მ.). აღნიშნულ სარეგისტრაციო განცხადებას დაინტერესებულმა პირმა დაურთო თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, 2006 წლის 9 ოქტომბერს გაცემული ცნობა (ლ. და შ. ს-ის იდენტურობის შესახებ), მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობა №6130 (04.09.2015), ...ის არქივის №AA2015066423-08

(30.09.2015) და №AA2015036816-03 (05.06.2015) საარქივო ცნობები, მცხეთის რაიონული სახელმწიფო არქივის საარქივო ამონანერის სია (28.05.2000), ქ. თბილისის ...ის რაიონული პროკურატურის 2016 წლის 25 იანვრის №13/06-4357 (25.01.2016) ნერილი და ინდივიდუალური მენარმე „ი. ჟ-ის“ მიერ მომზადებული მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებული იყო №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციები.

დადგენილია, რომ ლ. ს-ის წარმომადგენელმა ე. ს-მა 2016 წლის 14 მარტს №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია (უძრავი ნივთის მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფელი ...ი, მინის ნაკვეთის ფართობი: 1000 კვ.მ). აღნიშნულ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებული იყო №..., №... და №... (ინდივიდუალური მენარმე „ა. რ-ს“ მიერ მომზადებული მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი) სარეგისტრაციო განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციები.

მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, მიიღო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (17.03.2016) გადაწყვეტილება, რომლითაც დაინტერესებულ პირს განუმარტა, რომ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იყო №... სარეგისტრაციო განცხადება იმავე მოთხოვნით, რომლის თაობაზეც სარეგისტრაციო სამსახურს მიღებული ჰქონდა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... და №... გადაწყვეტილებები. ამასთან განუმარტა, რომ №... სარეგისტრაციო განცხადებაზე დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი არ ყოფილა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დამადასტურებელი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელიც არსებითად შეცვლიდა გარემოებებს.

დადგენილია, რომ №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (17.03.2016) გადაწყვეტილება, რომლითაც დაინტერესებულ პირს განუმარტა, რომ სარეგისტრაციო განცხადებაზე დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი იყო №... სარეგისტრაციო განცხადება იმავე მოთხოვნით, რომლის თაობაზეც არსებობდა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... და №... გადაწყვეტილებები. ამასთან მიეთითა, რომ №... სარეგისტრაციო განცხადებაზე დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი არ ყოფილა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დამადასტურებელი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელიც არსებითად შეცვლიდა გარემოებებს.

დადგენილია, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 17 მარტის №... და №... გადაწყვეტილებები მოსარჩელემ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

სასიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 ივნისის №... გადაწყვეტილებით განმცხადებელს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ფაქტობრივი გარემოებების შეჯამების მიზნით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაინტერესებული პირის – ლ. ს-ის მიერ მოთხოვნილი იყო საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემდეგ ნაკვეთებზე – მცხეთის რაიონი, სოფელი ...ი, პირველი მიწის ნაკვეთის ფართობი: 900 კვ.მ. (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით), ხოლო მეორე მიწის ნაკვეთის ფართობი: 1000 კვ.მ. დაინტერესებული პირის მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სახით, სხვა მასალებთან ერთად, ასევე წარდგენილი იყო ლ. ს-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის (№25, 12.10.1996) ასლი, რომლის თანახმად, მას გადაეცა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 0,19 ჰა მიწის ნაკვეთი (2 ნაკვეთად). დადგენილია, რომ მარეგისტრირებული ორგანოს მხრიდან დანიტერესებულ პირს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მტკიცებულებები, ხოლო, წინა სარეგისტრაციო წარმოებებზე უკვე იყო მიღებული გადაწყვეტილებები, იდენტური სარეგისტრაციო დოკუმენტაციის პირობებში სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, რადგან არ არსებობდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლები.

როგორც საქმეზე დადგინდა, წინა ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში, იმავე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთან დაკავშირებით, მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა დაინტერესებულ პირს 2015 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით განუმარტა, რომ წარსადგენი იყო კანონით დადგენილი წესით გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, წარდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, უძრავი ნივთი მდებარეობდა ...ის ტერიტორიულ ერთეულში, თუმცა სოფელი ...ი, რომელიც მითითებული იყო აზომვით ნახაზზე, მდებარეობდა ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში. შესაბამისად, წარსადგენი იყო უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან ურთიერთშესაბამისი დოკუმენტაცია. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობის საფუძვლით, მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 4 დეკემბრის №... გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული წარმოების დროს ასევე დადგინ-

და, რომ მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (17.12.2015) გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ პირს განუმარტა, რომ დამატებით წარსადგენი იყო შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის №086060212001 საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ასევე, საკადასტრო აზომვით ნახაზზე შენობის ელექტრონული ვერსია იყო დაზიანებული. შესაბამისად, მოთხოვნილ იქნა სრულყოფილი აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო, მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... (18.01.2016) გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, საკადასტრო აზომვით ნახაზთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის უზუსტონების გარდა, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ლ. ს-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტთან (№25, 12.10.1996) დაკავშირებით, რომლითაც გადაეცა მცხეთის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 0,19 ჰა მიწის ნაკვეთი (2 ნაკვეთად), მიმდინარეობდა სისხლის სამართლის №086060212001 საქმე. მოცემული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე, მარეგისტრირებელი ორგანო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის მოთხოვნა და დაერეგისტრირებინა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს შეფასებით, განცხადებაზე წარდგენილი სხვა დოკუმენტაციით არ დგინდებოდა დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება შესაბამის მიწის ნაკვეთებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე ქვედა ინსტანციების სასამართლოთა შეფასება, უძრავ ქონებაზე მოსარჩევის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ლ. ს-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის (№25, 12.10.1996) გარდა, საქმეზე არ არის წარდგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიმდინარეობა გამორიცხავს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობას. კასატორის პოზიციის მიხედვით კი, არ არსებობდა უფლების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებები, რამდენადაც, ერთი მხრივ, საქმეზე წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტის გარეშეც, ქმნიდა მისი განცხადების დაკმაყოფილებისათვის საკმარის საფუძვლებს. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლე-

ბი, კასატორის მსჯელობით, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა საქმეზე წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით, რამდენადაც, გამოძიება დიდი ხნის წინ იყო დაწყებული და ბრალდებული ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი.

საკასაციო სასამართლო სწორედ ამ მიმართულებით შეაფასებს როგორც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეფასებების მართულობას და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას.

დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკითხისადმი რელევანტურ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონს, კერძოდ, პირველი მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობებს. მე-8 მუხლის პირველ პუნქტში კანონმდებელმა მიუთითა, რომ სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეგისტრაცია წარმოებს უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე, ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „ლ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, რომლებიც წარმოშობს კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოახდინოს მხოლოდ შესაბამისი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე. შესაბამისად, კასატორის პოზიცია, 1996 წლის 12 ოქტომბრის №25 მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე, მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლიანობის თაობაზე, დასაბუთებული იქნებოდა იმ პირობებში, თუკი საქმეში დაცული სხვა დოკუმენტ(ებ)ი შექმნიდა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის საკმარის საფუძვლებს.

საკასაციო პალატა ქრონოლოგიურად და დეტალურად მიუთითებს

საქმეში წარმოდგენილ საარქივო მასალებში დაცულ ინფორმაციაზე, რაც კიდევ უფრო ნათელს გახდის საკასაციო სასამართლოს შედეგს მითითებულ კონტექსტში და განმარტავს შემდეგს: ...ის არქივში დაცულ ...ის საკრებულოს სოფელ ...ის 1997 – 2000 და 2001 – 2005 წლების საკომლო წიგნებში ოჯახის უფროსად და კომლის ერთადერთ წევრად ჩანაწერილი იყო ლ. ს-ი (ჩაენერა საკუთარ სახლში 27.02.1998 წ.). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხებოდა: 1997-2000 წლებში – 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, საერთო ფართობი – 60, მათ შორის საცხოვრებელი – 30. მინა არ ენერა. 2001 – 2005 წლებში – 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, საერთო ფართობი – 60, მათ შორის საცხოვრებელი – 30, მინა არ ენერა. წერილის თანახმად, სოფელ ...ის 1986 – 1996 წლების საკომლო წიგნებში ლ. ს-ის კომლისა და მასზე რიცხული ქონების შესახებ ჩანაწერი არ აღმოჩნდა.

...ის არქივის №AA2015066423-08 (30.09.2015) ცნობიდან ირკვეოდა, რომ ...ის რეგიონულ არქივში დაცულ მცხეთის რაიონის ...ის სასოფლო საბჭო – საკრებულოს 1973 – 1975, 1976 – 1978 (რეკვიზიტები შეტანილი იყო 1979 წელს), 1980 - 1982 და 1983 – 1985 წლების წასული მოსახლეობის საკომლო წიგნებში სოფელ ...ში ირიცხებოდა ლ. ს-ი. 1973 – 1975 წლებში კომლს ერიცხებოდა: 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. 1973 წ. 1/1 მდგომარეობით, სულ – 0,02 ჰა მინა, მათ შორის შენობების ქვეშ – 0,01. 1974 წ. 1/1 მდგომარეობით, სულ – 0,02 ჰა მინა, მათ შორის შენობების ქვეშ – 0,01. 1976 – 1978 წლებში (რეკვიზიტები შეტანილი იყო 1979 წელს): 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. 1976 წ. 1/1 მდგომარეობით, სულ – 0,02 ჰა მინა, მათ შორის შენობების ქვეშ – 0,01. 1980 – 1982 წლებში 1980 წ. – 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. მინა არ ენერა. 1983 – 1985 წლებში 1983 წ. – 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. საარქივო ცნობის თანახმად, აღნიშნულ წასული მოსახლეობის საკომლო წიგნებში კომლის შემადგენლობის შესახებ ჩანაწერი არ იყო, რადგან წიგნში აღრიცხული იყვნენ მხოლოდ ოჯახის უფროსები; სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის №31/15250 (16.05.2016) წერილიდან (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი – ..., თარიღი – 16.05.2016 წ.) ირკვეოდა, რომ ...ის რეგიონულ არქივში დაცულ მცხეთის რაიონის ...ის საკრებულოს 1996 – 2000 წლების საკომლო წიგნში სოფელ ...ში ოჯახის უფროსად და კომლის ერთადერთ წევრად ჩანაწერილი იყო ლ. ს-ი (დაბ. წ., ჩაენერა საკუთარ სახლში 27.II – 1998 წ.). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხებოდა: 1998 წ. – 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, საერთო ფართობი – 60 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი – 30 კვ.მ. მინის წაკვეთის ფართობი მითითებული არ იყო. ...ის საკრებულოს 2001 – 2005

ნლების საკომლო წიგნში სოფელ ...ში ოჯახის უფროსად და კომლის ერთადერთ წევრად ჩაწერილი იყო ლ. ს-ი (დაბ. წ.). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხებოდა: 1921 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, საერთო ფართობი – 60 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი – 30 კვ. მ. მინის ნაკვეთის ფართობი მითითებული არ იყო. წერილის თანახმად, სოფელ ...ის 1986 – 1996 წლების საკომლო წიგნში ლ. (შ.) ს-ის კომლისა და მასზე რიცხული ქონების შესახებ ჩანაწერი არ აღმოჩნდა, ხოლო 2006 – 2007 წლების საკომლო წიგნები არქივში დაცული არ იყო.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2016 წლის 28 აპრილს № 104782, № 105194 და № 104781 წერილებით სსიპ საქართველოს ეროვნული არქივიდან, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხვილ იქნა ლ. ს-ის საკუთრების / მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის № 21-02/39953 (06.05.2016) წერილის (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრის ნომერი – ..., თარიღი – 06.05.2016 წ.) თანახმად, საარქივო სამმართველოში დაცული იყო მცხეთის რაიონის ...ის საკურებულოს სოფელ ...ის 2002 და 2007 წლების მინის გადასახადის გადამხდელთა სიების დედანი, სადაც ლ. (შ.) ს-ი გადამხდელად არ ფიქსირდებოდა; მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის № 3808 (10.05.2016) წერილის (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრის ნომერი – ..., თარიღი – 13.05.2016 წ.) თანახმად, საგადასახადო სამსახურის მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემულ სოფელ ...ის მინის გადასახადის გადამხდელთა საში (2007 წლის მონაცემებით) მოქალაქე ლ. (შ.) ს-ი აღრიცხული არ იყო; ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების ფარგლებში აგრეთვე დადგინდა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით, უძრავი ნივთის სააღრიცხვო მასალა, მისამართით – მცხეთა, სოფელი ...ი, ლ. (შ./ლ.) ს-ის მითითებით არ იძებნებოდა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას და მართებულად მიიჩნევს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმ განმარტებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, 1996 წლის 12 ოქტომბრის № 25 მიღება-ჩაბარების აქტის გათვალისწინების გარეშე, არ ქმნიდა მოსარჩელის მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი № ... და № ... განცხადებების საფუძველზე, 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე და მასზე არსებულ საცხოვრებელ სახლსა და ასევე 1000 კვ.მ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს. საკასაციო სასამართლოს მსჯელობით, საარქივო დოკუმენტაცია მიუთითებდა განმცხადებლის კომლის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლსა და მის ქვემოთ არსებულ მიწაზე, თუმცა კალკე არ მიუთითებდა საკუთრებაში მყოფ 0.20/0.19 ჰა ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე.

სადაც საკითხზე მსჯელობის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის დღეის მდგომარეობით მოქმედ რედაქციაზე, რომელიც ითვალისწინებს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესს. მოცემული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სპორადული რეგისტრაციის შემთხვევაში მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება დაინტერესებული პირის განცხადების, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ კანონის შესაბამისად შედგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ 1992-2007 წლების საარქივო ჩანაწერებით დგინდება მხოლოდ კომლის შემადგენლობა და მათში მიწაზე ქრონიკოვი მდგომარეობა მითითებული არ არის, ან საარქივო ჩანაწერებით კომლზე აღრიცხულია მხოლოდ საცხოვრებელი სახლი და მიწაზე შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება, კომლის მიერ 2007 წლის 20 სექტემბრამდე ფაქტობრივად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე (ჯამში არაუმეტეს 0,75 ჰა-სა) საკუთრების უფლება რეგისტრირდება მუნიციპალიტეტის მიერ კომლის წევრთა მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადასტურების შემთხვევაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული სახით მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი ჩამოყალიბდა 2019 წლის 11 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე (11 დეკემბერი 2019 წ. №5500-Іს), ხოლო თავად „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ (11.12.2019 წ. საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ – „მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“) საქართველოს კანონი მიღებულ იქნა განსახილველ საქმეში მიღებული სადაც აქტების გამოცემის შემდგომ

2016 წლის 3 ივნისს, რის გამოც როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ასევე სასამართლო მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ეხელმძღვა-ნელათ მითითებული კანონით. მითითებული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოპასუხისათვის, მოსარჩელის განცხადების ხელახლა განხილვის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს იმ პოზიციას, რომ 1996 წლის 12 ოქტომბრის №25 მიღება-ჩაბარების აქტის გათვალისწინების გარეშე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ნარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არ ქმნიდა მოსარჩელის მიერ სისი საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი №... და №... განცხადებების საფუძველზე, 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ საცხოვრებელ სახლსა და 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს, ხოლო დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთების კასატორის (მოსარჩელის) მართლზომიერ მფლობელობაში არსებობის საფუძვლით საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, წარდგენილი განცხადებების ხელახლა შეფასების შემთხვევაში.

რაც შეეხება კასატორის იმ არგუმენტს, რომ საქმეზე წარდგენილი ლ. ს-ის სახელზე გაცემული 1996 წლის 12 ოქტომბრის №25 მიღება-ჩაბარების აქტი ქმნიდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს და რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ეხელმძღვანელა საქმეზე წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით, რამდენადაც, გამოძიება დიდი ხნის წინ იყო დაწყებული და ბრალდებული პირი ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი, აღნიშნულზე მსჯელობის ფარგლებში საკასაციო სასამართლო დეტალურად შეაფასებს თუ რამდენად ქმნიდა საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლებს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

უპირველესად პალატა მიუთითებს სწორედ 1996 წლის 12 ოქტომბერს გაფორმებულ №25 მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლის თანახმად, ლ. ს-მა მიიღო – 0.19 ჰა მიწის ნაკვეთი, 2 ნაკვეთად. მათ შორის, სახლი, ეზო – ბალით – 0.09 ჰა (0.07 ჰა; 0.02 ჰა ეზო) და სოფლის მიმდებარე – 0.10 ჰა.

აქვე, სასამართლო მიუთითებს „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბ-

ლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცებულ, მოქალაქეთათვის სარგებლობაში გამოყოფილი მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმაზე, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, მინის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა მიწათვა-სარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემისა და საცხოვრებელი სახლის დაპროექტება – მშენებლობის ერთადერთ საფუძველს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულება ადგენდა, რომ მიწის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის. ამდენად, „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილების საფუძველზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს საკუთრების უფლების დადგენისა და საჯარო რეგისტრაციის საფუძველს.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, სისიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 მაისის №... წერილით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოდან გამოთხოვილ იქნა 1996 წლის 12 ოქტომბრის №25 მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის №086060212001 საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია. წერილიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს მე-6 განცოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №086060212001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდებოდა საგამოძიებო მოქმედებების ამონურვის შემდეგ. ანალოგიური შინაარსის წერილი ასევე წარმოადგენილი იქნა საქმეში მოსარჩევის მიერ 2018 წლის 18 მაისს მცხეთის რაიონულ სასამართლოში კანცელარიის მეშვეობით, სადაც განმარტებული იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მე-6 განცოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №086060212001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.

საჯარო რეესტრის, ასევე ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფა-სებებით, ვინაიდან ლ. ს-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქ-ტის (№25, 12.10.1996) ასლთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მარეგისტრირებელი ორგანო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას უფლების რეგისტრა-ციის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მარეგისტრირებელი ორ-განოს მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, ხოლო შემდგომში მისი შენკუვეტის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო „სა-ჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 22-ე მუხლები. ამავე კანონის მეხუთე თავით რეგულირდება რეგისტრაციის შესა-ხებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი გასაჩივრების წესი და პირო-ბები, 21-ე მუხლის (სადაც აქტის გამოცემისას მოქმედი რედაქცია) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებულია სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების საფუძვლები.

განსახილველ შემთხვევაში, სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების საფუძვლით, სა-რეგისტრაციო წარმოების შეჩერებას საფუძვლად შესაძლოა დასდე-ბოდა 21-ე მუხლის თ¹ ქვეპუნქტი – იმ შემთხვევაში, თუკი მარეგის-ტრირებელი ორგანო თავად გადაგზავნიდა სამართალდამცავ ორგანო-ში სარეგისტრაციო დოკუმენტაციას ან/და „ი“ ქვეპუნქტი, რომელიც სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სხვა, ზოგად საფუძვლებზე მი-უთითებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართა-ლია, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის მასალების მიხედ-ვით, არ აქვს გამოკვეთილი თუ კონკრეტულად რომელი საფუძველი დაედო წარმოების შეჩერებას, მაგრამ არსებითი მინიჭებულობის მქო-ნეას გარემოება, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კა-ნონის 21-ე მუხლი მითითებული ორივე პირობით, სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების 30 დღიან ვადას ითვალისწინებდა. „საჯარო რეეს-ტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შენწყვეტის შესახებ, თუ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამ-სახურმა, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... (17.12.2015) გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ პირს განუმარტა,

რომ სხვა შესაბამისი ტექნიკური საკითხების გარდა, დამატებით წარ-
სადგენი იყო შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ინფორმაცია სის-
ხლის სამართლის №086060212001 საქმის წარმოების შეწყვეტის შესა-
ხებ. დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დო-
კუმენტის წარუდგენლობის გამო, მიღებულ იქნა სარეგისტრაციო წარ-
მოების შეწყვეტის შესახებ №... (18.01.2016) გადაწყვეტილება. ამდე-
ნად, სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პოზიციის შესაბა-
მისად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის გარეშე, ვერ
მოხდებოდა ლ. ს-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის (№25,
12.10.1996) საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშ-
ნული პოზიცია საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმაც გაიზია-
რეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით,
მსარეებს სასამართლოში არ წარმოუდგენიათ სისხლის სამართლის საქ-
მის წარმოების შეწყვეტის, შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების
შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შესახებ განახლებული ინფორ-
მაცია.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“
საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სარეგისტრაციო დო-
კუმენტაციის თაობაზე გამოძიების, სისხლის სამართლის საქმის მიმ-
დინარეობა ქმნის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლებს.
თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო წარ-
მოების შეჩერება და შემდგომ შეწყვეტა, თავისი არსით წარმოადგენს
საკუთრების უფლებაში ჩარევას. ასეთი ჩარევა კი გამართლებულია მხო-
ლოდ შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და თანაზომიერების
პრინციპის დაცვით. ზემოაღნიშნულ საქმეში, საჯარო რეესტრის ეროვ-
ნულ სააგენტოს პროცერატურისგან, სარეგისტრაციო პროცედურების
დაწყებამდე, ჰქონდა ინფორმაცია მიღებული კონკრეტული საკადას-
ტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის მიმართ მიმდინარე გამოძიების შე-
სახებ. დაინტერესებული პირის მიერ ამ უძრავ ქონებასთან დაკავში-
რებით განცხადების წარდგენის შემდგომ, საჯარო რეესტრის ეროვ-
ნულმა სააგენტომ მიმართა პროცერატურას და აცნობა, რომ უძრავ
ნივთზე წარდგენილი იყო სარეგისტრაციო განცხადება, შესაბამისად,
მარეგისტრირებელმა ორგანომ მოითხოვა ინფორმაცია კვლავ მიმდი-
ნარეობდა თუ არა გამოძიება და რა შედეგი დადგა სისხლის სამართლის
საქმეზე. ამავდროულად, შეჩერდა დაწყებული სარეგისტრაციო წარ-
მოება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევა-
ში, ლ. ს-ის განცხადების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგის-
ტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება არის ის გარემოება, რომ მიწის

ნაკვეთის სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, რასაც შეიძლება გამოძიება მოიცავდეს, არის კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების-თვის გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. მართალია, დაწყებული გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდეც შეიძლება შეწყდეს შესაბამისი საფუძვლების არსებობის პირობებში, თუმცა საკასაციო სასამართლო განსახილველი საქმის კონტექსტში, საკუთრების უფლებაში ჩარევის ინტენსივობის განსაზღვრის მიზნით, მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამოძიების მიმდინარეობის ყველაზე ხანგრძლივ – დევნის ხანდაზმულობის ვადაზე.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას 2016 წლის 31 მაისს წარდგენილ №MIA01601323801 წერილზე, საიდანაც ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №086060212001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდებოდა საგამოძიებო მოქმედებების ამონურვის შემდეგ. ანალოგიური შინაარსის წერილი ასევე წარდგენილი იქნა საქმეში მოსარჩელის მიერ 2018 წლის 18 მაისს მცხეთის რაიონულ სასამართლოში კანცელარიის მეშვეობით, სადაც განმარტებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №086060212001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედები და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო. აქვე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი – ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. აღნიშნული წარმოადგენს მძიმედანაშაულს. მითითებული კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირითავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. ამდენად, განსახილველი საქმის მსგავს შემთხვევებში, შესაძლოა გამოძიების დაწყების პირობებში, ხანდაზმულობის ვადით – 10 (ათი) წლის განმავლობაში, გამოძიების შეწყვეტამდე, დაინტერესებულმა პირმა ვერ მოახდინოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თუკი გამოძიება არ შეწყდე-

ბარაიმე საფუძვლით.

ლ. ს-ის განცხადებებზე სარეგისტრაციო წარმოება ჩერდებოდა და შემდგომ წყდებოდა, რადგან განმცხადებელი ვერ წარადგენდა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების აღმოფხვრისათვის საჭირო დოკუმენტაციას, ანუ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დოკუმენტაციას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-23-ე მუხლების საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამომრიცხავ გარემოებად არ ასახელებენ უძრავი ქონების ან უძრავ ქონებაზე სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. აღნიშნული მუხლები მიუთითებენ, რომ რეგისტრაციაზე შესაძლოა წარმოება შეწყდეს ან პირს ეთქვას უარი, თუკი არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სხვა საფუძვლების შინაარსს. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს დისკრეციის, გონივრული განსჯის შედეგად მისაღებ გადაწყვეტილებას. თუმცა, კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ მითითებული – სხვა საფუძველი აუცილებლად უნდა გამორიცხავდეს უფლების რეგისტრაციას. სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვერ მიიღებს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით“ რეგისტრაციის განხორციელებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას, მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, მიზანშეწონილობის ფარგლებში. აუცილებელია, რომ არსებობდეს უტყუარად დადგენილი გარემოება, რაც საქართველოს კანონმდებლობისა და მისი პრინციპების შესაბამისად, გამორიცხვას საკუთრების უფლების რეგისტრაციას. საკასაციო სასამართლო აქვე, კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლებრივი ამკრძალავი, იძულებითი ღონისძიების გამოუყენებლობის გარეშე, მხოლოდ გამოძიების მიმდინარეობა ვერ გახდება რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება, რამდენადაც ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და წარმოადგენს საკუთრების უფლებაში არათანაზომიერ, გაუმართლებელ ჩარევას.

განსახილველ შემთხვევაში, ლ. ს-ის სარეგისტრაციო განცხადებაზე წარმოების შეჩერებისა და სამართალდამცავი ორგანოსათვის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის თაობაზე შეტყობინებით, მარეგისტრირებელმა ორგანომ, ერთი მხრივ გამოითხოვა დამატებითი, სარეგისტრაციო მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამის ორგანოს მიაწოდა რეგისტრაციის შესახებ მიმდინარე წარმოების თაობაზე ინფორმაცია. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა, განსახილველ დავის ფარგლებში არ აფასებს გამოძიების მიმდინარეობის სპეციფიკასა და ტაქტიკას, თუმცა მიუ-

თითებს იმ ობიექტურ გარემოებაზე, რომ საგამოძიებო ორგანოსათვის უკვე ცნობილი იყო დაინტერესებული პირის – ლ. ს-ის მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურის დაწყების შესახებ, რამდენადაც, წარსულში, ნლების განმავლობაში, უკვე არსებობდა ამ ორგანოთა შორის აღნიშნულ საკითხზე კორესპონდენცია. ამდენად, თუკი არსებობდა და დასაბუთებული ვარაუდი, უძრავი ქონების, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიმართ შესაძლო ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, შესაბამის ორგანოს პქონდა ობიექტური შესაძლებლობა მიემართა სასამართლოსათვის შესაბამისი იძულების ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რაც შემდგომში გამორიცხავდა ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ქვედა ინსტანციების სასამართლოთა პოზიციის გაზიარების პირობებში, იქნება მდგომარეობა, როდესაც დასაშვებია, რომ უძრავ ქონებასთან, უძრავი ქონების სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაძლო დანაშაულის ფაქტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებისა და გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გამოძიება გაგრძელდეს – სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადით, ამ ვადებში კი დაინტერესებულმა პირმა ვერ მოახდინოს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩევის საკუთრების უფლება, რაც გამოხატება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და მისით თავისუფლად სარგებლობის, განკარგვის უფლებაში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რაც გამოიხატება – შესაძლო დანაშაულის ეფექტური გამოძიებამი, სამომავლო დანაშაულის პრევენციასა და შესაძლო უკანონოდ მიღებული უძრავი ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საკუთრების უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, ხოლო მისი, როგორც ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება და პირისთვის საკუთრების უფლებით ეფექტური სარგებლობის გარანტიების შექმნა, სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსთვის (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე პეტეკე ქონების საკუთრების უფლების სრულყოფილად რეალიზებისთვის შექმნილია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რო-

მელიც ქმნის როგორც საკუთრების უფლების მოპოვების, ასევე მისით სარგებლობისა და განკარგვის საკანონმდებლო და ფაქტობრივ შესაძლებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკამარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადაცვო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი წების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი წების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა მოპოვების შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოს და იგი უშუალოდ არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილე ორგანოს, თუმცა იგი ვალდებულია, ერთი მხრივ, არ შეზღუდოს და არ დააბრკოლოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ზოგადად სამოქალაქო ბრუნვა, ამავდროულად, მოქმედი კანონმდებლობა სააგენტოს აკისრებს ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობისას, საკუთარი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების გამოაშკარავება, გამოძიებისა და პრევენციის მიზნებისთვის, მათ შორის, პროაქტიულად, საკუთარი ინიციატივით, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სამართალდამცავი ორგანოსათვის გადაგზავნის გზით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „თ“ ქვეპუნქტი, როდესაც სარეგისტრაციო სამსახური საეჭვოდ მიიჩნევს სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტებს და აჩერებს სარეგისტრაციო წარმოებას, რათა სარეგისტრაციო წარმოება წარიმართოს სამართალდამცავი ორგანოების ჩართულობით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მიუხედავად იმის, რომ მოსარჩელის მიერ მარეგისტრირებელ ორგანოში მიმართვის დროს, უფლების დამდგენ დოკუმენტზე უკვე მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზნა იხელმძღვანელოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „თ“ ქვეპუნქტით, რათა არათანაზომიერად არ შეიზღუდოს მოსარჩელის საკუთრების უფლება და ამასთანავე, ეჭვის ქვეშ არ დადგეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულება, რაც გამოიხატება შესაძლო დანაშაულის ეფექტურ გამოძიებასა და სამომავლო დანაშაულის პრევენციაში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2² პუნქტით განსაზღვრულია დათქმა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადასთან დაკავშირებით, რომელიც 60 კალენ-

დარულ დღეს შეადგენს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. კანონის აღნიშნული დათქმით კანონმდებელმა უზრუნველყო სარეგისტრაციო განცხადებაზე გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და დაიცვა დაინტერესებული მხარე საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებისაგან, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების დასრულების კონკრეტულ ვადას არ ანესებს და კონკრეტულ ფაქტზე გამოძიების დაწყებისას, იგი შესაძლოა გაგრძელდეს კონკრეტული კატეგორიის დანაშაულისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკუთარ კომპეტენციას მიკუთხნებული საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციული ორგანო, არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია გამოიჩინოს გონივრული წინდახედულობა და მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ ყველა საჭირო საკითხის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება. „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მოქმედო კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია საკუთრების უფლების რეგისტრაციის ეტაპზე, მოიძიოს ყველა საჭირო დოკუმენტაციი, მათ შორის, შესაბამისი ეჭვისა და ინფორმაციის არსებობის პირობებში თავად გამოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცნობები ან/და აცნობოს შესაბამის სამართლდამცავ ორგანოს მოსალოდნელი, შესაძლო სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების თაობაზე, კონკრეტულ უძრავ ნივთსა თუ დაინტერესებულ მხარესთან დაკავშირებით. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას, საკუთარი მიხედულების ფარგლებით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, დაინტერესებულ მხარეს შეუზღუდოს საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სადაცო მიღება-ჩაბარების აქტზე მიმდინარე გამოძიებას დღემდე არ მოჰყოლია რაიმე სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმეზე არ დადგენილა არა თუ მსჯავრდებული, არამედ ბრალიც კი არ წარდგენია არავის. შესაბამისად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გამოძიება მიმდინარეობს უშედეგოდ, ხოლო მოსარჩევეს არ ეძ-

ლევა საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების სამუალება და ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში, რა დროსაც უნდა დადგინდეს კანონმდებლის ნება. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით, რისი სამუალებითაც ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განსახორციელებელი მოქმედებებისა და კასატორის (მოსარჩევე მხარის) განცხადებაზე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზნიდან გამომდინარე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადაც ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, საქმე, საკასაციო სასამართლოს განმარტებისა და მითითებების გათვალისწინებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა დაუბრუნდეს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საიც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს ორგორც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებით, ასევე სამართლებრივი შეფასებებით და მათ შორის დაინტერესებული პირის ჩართულობითა და პოზიციის გათვალისწინებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადაც სა-

კითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის „რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ 2016 წლის 17 მარტის №... და №... გადაწყვეტილებები. სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

რაც შეეხება, სასამართლო მოთხოვნას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გა-საჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სადაც აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის

10 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (მოსარჩელის მიერ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი №... და №... განცხადებების საფუძველზე, 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე და მასზე არსებულ საცხოვრებელ სახლსა და 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთზე ლ. ს-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე) გამოცემის დავალების მოთხოვნის ნაწილში, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობა სწორედ საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, ახალი ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას უნდა შემოწმდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიზნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ე. ს-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადაც საკითხის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ე. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ც ვ ი ტ ა:

1. ე. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 17 მარტის №... და №... გადაწყვეტილები და სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ გადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 ივნისის №... გადაწყვეტილება;
6. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
7. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ე. ს-ის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება;

სასოფლო-სამართლებრივი დანიშნულების მინიზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონის რეგის

განჩინება საქართველოს სახელით

№ ბს-267(2 ვ-22)

14 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. სტურუა,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2019 წლის 24 ოქტომბერს ვ. ჩ-ემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ოფისისა და გ. ლ-ეის მიმართ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, ვ. ჩ-ეის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინებით, ვ. ჩ-ეის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკამაყოფილდა; გ. ლ-ეს აეკრძალა საჯარო რეესტრში მის საკუთრებად აღრიცხული ს/კ №... დაუზუსტებელი ფართობის – 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან – 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მდებარე: ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ...) გასხვისება, იპოთეკით ან ნებისმიერი სხვა ვალდებულებით დატვირთვა.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის განჩინებით, შეწყდა საქმის წარმოება ვ. ჩ-ეის სარჩელზე, მოპასუხეების – ონის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და გ. ლ-ეის მიმართ.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 აპრილის განჩინებით, ვ. ჩ-ეის კერძო საჩივარი დაკამაყოფილდა; გაუქმდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020

წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად და-უბრუნდა იმავე სასამართლოს.

ამბობლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 ივლისის გან-ჩინებით, დაკმაყოფილდა მოსარჩელე ვ. ჩ-ეის შუამდგომლობა; საქმე-ზე განცხადებულ იქნა თვითაცილება და ვ. ჩ-ეის სარჩელი აცილებულ იქნა ამბობლაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გ. გ-ეზე; ვ. ჩ-ეის სარჩელი, საქმის მასალებთან ერთად, სხვა სასამართლოსათ-ვის გადაცემის მიზნით, გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოს თავმჯდომარეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 29 ივლისის განჩინებით, ადმინისტრაციული საქმე №3/27-2020 (მოსარ-ჩელე - ვ. ჩ-ე; მონინაალმდევე მხარეები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტო; ონის მუნიციპალიტეტის მერია, გ. ლ-ე; დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება), განსახილველად გადა-ეგზავნა ცაგერის რაიონულ სასამართლოს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 4 აგვისტოს განჩინე-ბით, წარმოებაში იქნა მიღებული ვ. ჩ-ეის სარჩელი, მოპასუხეების: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, გ. ლ-ეისა და ონის მუნიცი-პალიტეტის მერიის მიმართ. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამარ-თლოში საქმის მიმდინარეობისას ვ. ჩ-ემ საბოლოოდ დააზუსტა სარჩე-ლი და მოითხოვა: 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მიღე-ბა-ჩაბარების აქტის №158 არარად აღიარება; 2) გ. ლ-ეის სახელზე 2000 წლის 20 ივნისს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის რა-იონის ზონის რეგისტრაციონის ს. ს-ის მიერ გაცემული №... მინის (უძრა-ვი ქონების) სააღრიცხვო ბარათის ნაწილობრივ (ონის რაიონის სოფელ ...შიარსებული, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამე-ურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთიდან (ს/კ ..., ნაკვეთის წინა №...) 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში) ბათი-ლად (ცნობა); 3) ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალი-ტეტის მერიის წარმომადგენლის – პ. ჯ-ეის მიერ შედგენილი, სახელმწი-ფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 ოქმისა და ონის მუნიციპალიტეტის მერის – ე. ს-ეის 2019 წლის 26 ნოემბრის №2578 ბრძანების ნაწილობ-რივ (საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღ-რიცხვო ბარათი, ს/კ ...) გათვალისწინებული მინის ნაკვეთისა და შპს „მ...“-ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მინის ნაკვეთის (1 560 კვ.მ-დან 1 508.60 კვ.მ.) იდენტურობის დადგენის ნაწილში) ბათილად (ცნობა; 4)

რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ (ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში არსებული 1 560 კვ.მ. დაზუსტებული ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ ..., ნაკვეთის ნინა №...) 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში) ბათილად ცნობა; 5) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ახალი გადაწყვეტილების გამოცემის დავალება, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, კანონით დადგენილი წესით.

მოსარჩელის განმარტებით, ვ. ჩ-ეის მშობლები – გე. ლ-ე (ჩ-ე) და რ. ჩ-ე, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ამჟამად გარდაცვლილები არიან. რ. ჩ-ეის გარდაცვალებით (20.12.2014.) გაიხსნა სამკვიდრო, რომელიც ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისმა პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრემ, შვილმა – ვ. ჩ-ემ. მოსარჩელე მიუთითებს, რომ რ. ჩ-ეს ონის რაონის ...ის საკრებულოს სოფელ ...ში, როგორც კომლის უფროსს და ერთადერთ წევრს, მფლობელობაში გააჩნდა 1 508.60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელის განმარტებით, იმის გამო, რომ მამაშვილირ. და ვ. ჩ-ები საქართველოში ხშირად არ იმყოფებოდნენ, მუშაობდნენ საზღვარგარეთ და რ. ჩ-ე ცხოვრობდა ყაზახეთში, ხოლო ვ. ჩ-ე – გერმანიაში, სოფელ ...ში არსებულ რ. ჩ-ეის საცხოვრებელ სახლსა და შესაბამის მიწის ნაკვეთს თვითნებურად დაეუფლა მოპასუხე გ. ლ-ე, რომელიც ამჟამადაც იქ ცხოვრობს და რომელმაც ჩ-ებს უარი განუცხადა სახლში შეშვებაზე.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გ. ლ-ეს საჯარო რეესტრში 20.06.2000 წლიდან, უკანონოდ გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე, დაუზუსტებელი სახით დარეგისტრირებული აღმოაჩნდა საკუთრების უფლებარ. ჩ-ეის მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე (ს/კ №....). შესაბამის ამონანერში საჯარო რეესტრიდან უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია მიწის მიღება-ჩაბარების აქტი №158, რომელიც საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არ აღმოჩნდა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მოპასუხე ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და გ. ლ-ეის წინასწარი შეთანხმებით, უძრავ ნივთზე სააღრიცხვო ბარათის საფუძველზე, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ონის მუნიცი-

პალიტეტის მერის წარმომადგენელმა ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წლის 31 ოქტომბერს შედგენილი, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №03986 ოქმით, ხოლო ამავე ოქმის საფუძველზე გამოცემული 2019 წლის 26 ნოემბრის №2578 ბრძანებით ონის მუნიციპალიტეტის მერმა, უკანონოდ დაადასტურეს სააღრიცხვო ბარათით (№...) გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და შპს „მ...“ -ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს (ფართობი – 1 560 კვ.მ.) შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა. თავის მხრივ კი, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 31.10.2019წ. №03986 უკანონო ოქმის საფუძველზე, 2019 წლის 29 ნოემბრის №... უკანონო გადაწყვეტილებით გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე, 1 560 კვ.მ. დაზუსტებული ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული, ვ. ჩ-ეის საცხოვრებელი სახლით (შენობა-ნაგებობა №1) და უძრავ ნივთს მიაიწა ახალი საკადასტრო კოდი №....

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გ. ჩ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“, „კ“, „ლ“ ქვეპუნქტებზე, მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, „მიწის ნაკვეთებზე უფლება-თა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ 2019 წლის 29 ნოემბერს, მოპასუხე გ. ლ-ეის განცხადების საფუძველზე, სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ონის რაიონის სოფელ ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართობი – 1 560.00 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობაზე №01) განხორციელდა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, საკადასტრო კოდი №..., ნაკვეთის წინა №.... მარეგისტრირებელი ორგანო დაეყრდნო უფლების დამდგენ დოკუმენტებს: მიწის მიღება-ჩაბარების აქტს №158, საარქივო ცნობას, მიწის (უძრავი ქონებას) სააღრიცხვო ბარათს და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმს № 03986, რომლის თანახმადაც, დასტურდება იდენტურობა უფლების დამდგენი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათით) წარმოდგენილ მიწის ნაკვეთსა და საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებს შორის. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და-

ცული, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით დადგენილია, რომ №... საკადასტრო კოდით აღრიცხული მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია მოპასუხებული – მიწის მიღება-ჩაბარების აქტის, სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით, საქართველოში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა, რომელიც შეეხო როგორც საკომლო, ისე სოფლად და ქალაქად მცხოვრებ პირთა სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. მიწის რეფორმის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტის მიერ 1992-1993 წლებში მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად, რესპუბლიკის მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის დამადასტურებელი საბუთების გაცემის უზრუნველსაყოფად, საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დაამტკიცა მოქალაქეთათვის სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა. მიწის მიღება-ჩაბარების აქტებს აღნიშნული დადგენილების თანახმად, გამოსცემდნენ და ადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მტკიცებულების სახით აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოუდგენია.

ცაგერის რაიონული სასამართლოს განმარტებით, სისტემური რეგისტრაციის შედეგად, მოპასუხებული და შედგენილი სააღრიცხვო ბარათი (განაცხადის რეგისტრაციის №..., თარიღი 20.06.2000წ.) სრულად შესაბამება იმ დროს მოქმედი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულებასა და „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააღრიცხვო ბარათი განმარტებულია, როგორც თითოეულ მიწის ნაკვეთზე არსებული სარეგისტრაციო ფურცელი, რომელზეც მოცემული ჩანაწერები წარმოადგენს ამ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითად იურიდიულ საფუძველს. სააღრიცხვო ბარათი მოიცავს მესაკუთრის განყოფილებას, რომელშიც მითითებულია მესაკუთრის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი, ჩანაწერი მესაკუთრის უფლების რამე შეზღუდვის შესახებ. აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, უძრავი

ნივთი რეგისტრირებულად ითვლება, თუ სააღრიცხვო ბარათზე ან/და საკადასტრო რუკაზე დატანილია ბეჭედი ან/და რეგისტრატორის ხელმოწერა. ამდენად, რაიონული სასამართლოს განმარტებით, №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის სისტემური რეგისტრაცია განხორციელდა იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის სრულ დაცვით და არ არსებობს აღნიშნული მონაცემების გაუქმების საფუძველი.

ამასთან, რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას სადავო ქონების მის კუთვნილებასთან დაკავშირებით, აღნიშნულთან მიმართებით ცაგერის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების ბათოლად ცნობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გააბათილოს მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული აქტის ბათოლად ცნობის საფუძვლად მითითებული არგუმენტაცია და ამტკიცოს მისი კანონშესაბამისობა, რაც მოცემულ შემთხვევაში მათ მიერ განხორციელდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე მიუთითებს სამკვიდრო მონიტორი და იმ გარემოებაზე, რომ რ. ჩ-ეის გარდაცვალებით, 2014 წლის 20 დეკემბერს, გაიხსნა სამკვიდრო. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მონიტორი, მაშინ მემკვიდრემ/დაინტერესებულმა პირმა ასევე უნდა წარმოადგინოს იმ უფლების დამდგენი დოკუმენტის დედანი ან სათანადო წესით დამონტებული ასლი, რომლის საფუძველზეც მამკვიდრებელს წარმოშობილი ჰქონდა საკუთრების/სარგებლობის უფლება. ცაგერის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით აღნიშნა, რომ ქონების სამკვიდრო ქონებად მიჩნევის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ეს ქონება გარდაცვალების მომენტისათვის წარმოადგენდეს გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) საკუთრებას. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც აღინიშნა, მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ვ. ჩ-ეისათვის მითითებული კანონებისა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, მიზომლი (ხოლო შემდგომ მოსარჩელის მიერ მიღებულ სამკვიდრო) მიწის ნაკვეთისა და მოპასუხის სახელზე აღრიცხული სადავო ნაკვეთის იდენტურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნათა არსებითი დარღვევისა და მოპასუხის საკუთრებაში სადავო ნაკვე-

თის კანონდარღვევით აღრიცხვის ფაქტი ვერ დადგინდა. აღნიშნული კი გამორიცხავდა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 1. ვ. ჩ-ეის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 2. ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 3. ვ. ჩ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; 3.1. ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი გ. ლ-ეის სახელზე 2000 წლის 20 ივნისს მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის რაიონის ზონის რეგისტრატორის ნ. ს-ის მიერ გაცემული №...0 მინის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნობილი ონის რაიონის სოფელ ...ში არსებული, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთიდან 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში (ს/კ №..., ნაკვეთის წინა №...); 3.2. ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის ნარმობადგენელ კ. ჯ-ეის მიერ შედგენილი 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 ოქმი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების შესახებ და ონის მუნიციპალიტეტის მერის – ე. ს-ეის 2019 წლის 26 ნოემბრის №257 ბრძანება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი, ს/კ №...) გათვალისწინებული მინის ნაკვეთის და შპს „მ...“ -ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზზე არსებული მინის ნაკვეთის 1 560 კვ. მეტრიდან 1508.60 კვ.მ მეტრის იდენტურობის ნაწილში; 3.3. ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის № ... გადაწყვეტილება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნობილი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში არსებული დაზუსტებული ფართობის 1 560.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთიდან 1508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში (ს/კ №..., ნაკვეთის წინა №...); 3.4. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ; 4. დანარჩენ ნაწილში ვ. ჩ-

ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ჩ-ეის მშობლები იყვნენ: დედა – გე. ლ-ე (ჩ-ე) და მამა – რ. ჩ-ე, რომლებიც იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ამჟამად გარდაცვლილები არიან. რ. ჩ-ეის გარდაცვალებით, 2014 წლის 20 დეკემბერს გაიხსნა მისი სამკვიდრო, რაც ფაქტობრივი ფლობით მიიღო პირველი რიგის კანონის მიერმა მემკვიდრემ, შეიღმა ვ. ჩ-ემ. რ. ი-ს ძე ჩ-ე ნარმოადგენდა ონის რაიონის სოფელ ...ში მცხოვრები ი. ჩ-ეისა და ო. ჩ-ეის შვილს. რ. ი-ს ძე ჩ-ე და რ. ი-ს ძე ჩ-ე არის ერთი და იგივე პიროვნება. აღნიშნულის შესაბამისად, საარქივო დოკუმენტები, გაცემული რ. ი-ს ძე ჩ-ეზე, ნარმოადგენს ვ. ჩ-ეის მამის – რ. ი-ს ძე ჩ-ეის კუთვნილებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელ რ. ჩ-ეს ონის რაიონის ...ის საკრებულოს სოფე ...ში, როგორც კომლის უფროსს და ერთადერთ წევრს, მულობელობაში გააჩნდა 1 508.60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს, რაც თავის მხრივ, საკუთრებაში ერიცხებოდა რ. ჩ-ეის მშობლების: მამა – ი. ს-ს ძე ჩ-ეის (ჩ-ეის) და დედა – ო. შ-ს ასულ ჩ-ეის (ჩ-ეის) კომლს, მოსარჩელე ვ. ჩ-ეის ბაბუას და ბებიას. თავდაპირველად მათ კომლში ირიცხებოდნენ მათივე შევილები – რ. და გუ. ჩ-ეები (ჩ-ეები), ამ უკანასკნელის მეუღლე და შვილები – გრ. და თ. ჩ-ეები. ი. ჩ-ეე (ჩ-ე) გარდაიცვალა 26.05.1971 წელს, ხოლოო. შ-ს ასული ჩ-ე (ჩ-ე) – 31.10.1975 წელს. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, კომლის წევრი გახდა და მათ უძრავ-მოძრავ ქონებას ფაქტობრივად დაეუფლა შვილი – რ. ჩ-ე, რასაც მოწმობს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ქუთაისის ცენტრალური არქივის მიერ გაცემულ №AA2019018124-05 საარქივო ცნობაში გუ. ჩ-ესთან და მისი ოჯახის წევრებთან მიმართებაში მონაცემები აღარ ფიქსირდება, განსხვავებით მისი ძმის – რ-ისაგან, რომელიც ფიქსირდება ონის რაიონის, ...ის საკრებულოს, სოფე ...ს კომლის წევრად და უფროსად. კერძოდ, ქუთაისის ცენტრალურ არქივში ონის რაიონის, ...ის საკრებულოს, სოფე ...ს საკომლო წიგნები 1992-1996 წლის მდგომარეობით დაცული და შენახული არ არის, ხოლო 1997-2001 წლების საკომლო წიგნში, კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად აღრიცხულია რ. ი-ს ძე ჩ-ე (დაბ. ... წელს), 2001-2005 წლებიდან კი, ანუ იმ პერიოდიდან, რაც 2000 წლიდან რ. ჩ-ეის (ჩ-ეის) კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა გ. ლ-ეზე, საკომლო წიგნიდან რ. ჩ-ე ამოღებულია ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მამა-შვილი რ. და ვ. ჩ-ეები საქართველოში ხშირად არ

იმყოფებოდნენ, მუშაობდნენ საზღვარგარეთ და რ. ჩ-ე ცხოვრობდა ყაზახეთში, ხოლო ვ. ჩ-ე – გერმანიაში, სოფ....ში არსებულ რ. ჩ-ეის საც-ხოვრებელ სახლსა და შესაბამის მიწის ნაკვეთს არაუფლებამოსილ პირ-თან, რ. ჩ-ეის ძმისშვილ – თ. ჩ-ესთან ფორმადაუცველი ზეპირი გარიგე-ბის (ბათილი გარიგება) საფუძველზე, ამ უკანასკნელზე 700 აშშ დოლა-რის გადაცემის სანაცვლოდ, დაეუფლა ქ. თბილისში მცხოვრები გ. ლ-ე. კერძოდ, სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემული ფაქტობრი-ვი გარემოება დგინდება საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს შსს ონის რაიონული სამმართველოს უფროსის ვ. ჩ-ეის წარმომადგენლი-სადმი გაგზავნილი 2019 წლის 26 სექტემბრით დათარიღებული №MIA71902557706 პასუხით, რომლითაც დადგენილია, რომ როგორც მოკვლეული მასალებით ირკვევა, ონის რაიონის სოფ....ში ან გარდაც-ვლილ ძმებს – რ. ჩ-ეს, გუ. ჩ-ეს და გა. ჩ-ეს ჰქონდათ მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც 2000 წელს გაყიდა გუ. ჩ-ეის შვილმა თ. ჩ-ემ 700 დოლარად და მიჰყიდა ქ. თბილისში მცხოვ-რებ გ. ლ-ეს, რომელსაც გააჩნია მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №.... ამავე წერილში განმარტებულ იქნა, რომ მოცემული ფაქტი არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშ-ნებს და წარმოადგენს სამოქალაქო დავის საგანს. ასევე, მოწმის სახით დაკითხული პირის, ...ს საკრებულოში ონის მუნიციპალიტეტის წარმო-მადგენლის – პ. ჯ-ეის განმარტებით დადგენილია, რომ იგი არ იცნობს რ. და ვ. ჩ-ებს, სადაცო სახლში დადიოდა ამბროლაურში მცხოვრები თ. ჩ-ე, რომელმაც აღნიშნული სახლი მეოცე საუკუნის ბოლოს მიჰყიდა ქ. თბილისში მცხოვრებ გ. ლ-ეს, რომლის დედამ-ი წარმოშობით არის სოფელ ...იდან. მისივე განმარტებით, ვინაიდან მან რ. ჩ-ე მიიჩნია სო-ფელთან კავშირგანწყვეტილ კომლად, იგი ამოიღო 2001-2005 წლების სოფლის კომლთა წევრთა სიიდან. ამასთან, სააპელაციო პალატამ აღ-ნიშნა, რომ გ. ლ-ეის მიერ სააპელაციო სასამართლო სხდომის დროს მოსამართლის შეკითხვაზე დადასტურებული იქნა ის ფაქტობრივი გა-რემოება, რომ მან სადაცო უძრავი ქონება ზეპირი ნასყიდობის ხელ-შეკრულებით „შეიძინა“ გუ. ჩ-ეის შვილის – თ. ჩ-ეისგან. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გუ. ჩ-ეისა და თ. ჩ-ეის სახელზე ონის რაიონის სოფ....ში რაიმე უძრავი ქონების მფლობელო-ბის ან საკუთრების უფლებით არსებობა არ დასტურდება, საცხოვრე-ბელი სახლის ან მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ გუ. ჩ-ეის შვილს – თ. ჩ-ესა და გ. ლ-ეს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა, ასეთი ხელშეკრულება საჯარო რეესტრში წარდგენილი არ ყოფილა და შესაბამისი მტკიცებულება არც მოპასუხე გ. ლ-ეს წარ-მოუდგენია აღმინისტრაციულ საქმეში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის

18 ოქტომბერს რ. ჩ-ეის მემკვიდრე ვ. ჩ-ეის მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იქნა საკუთრების უფლებას დაქვემდებარებული უძრავი ნივთის (მინის ნაკვეთი) სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და მოთხოვნილ იქნა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია, რაც ვერ განხორციელდა, რადგან დაფიქსირდა ზედდება საკუთრების უფლებით აღრიცხულ უძრავ ნივთთან. კერძოდ, საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე, რ. ჩ-ეის მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე (ს/კ №...) დაუზუსტებელი სახით, საკუთრების უფლება დარეგისტრირებული აღმოაჩნდა გ. ლ-ეს, რომლის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იქნა მინის მიღება-ჩაბარების აქტი №158, რაც საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არ ინახება. ამასთან, ასეთი არ ინახება არც გ. ლ-ეს-თან, არც ონის რაიონის მერიაში და არც საქართველოს ცენტრალურ არქივში. უფრო მეტიც, მოწმის სახით დაკითხული პირის -პ. ჯ-ეის განმარტებით, რომელიც 1989 წლიდან მუშაობდა ონის რაიონის სოფელ ...ში, სადაც იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე, გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას წარმოადგენდა ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში, დადგენილა, რომ გ. ლ-ეს სოფელ ...ში კომლის წევრი არ ყოფილა, მის მიმართ პრივატიზაციის პერიოდში (1992-1998 წლები) მინის ნაკვეთი საკუთრებაში არ გამოყოფილა, სარეფორმო კომისიას გ. ლ-ეის სახელზე მინის მიღება-ჩაბარების № 158 აქტი არ გაუცია და ასეთის არსებობის შესახებ მან არაფერი იცის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მიღება-ჩაბარების აქტის № 158 არარსებობისა და მხოლოდ უძრავ ნივთზე სააღრიცხვო (სარეგისტრაციო) ბარათის საფუძველზე, ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში -პ. ჯ-ემ, რომლის სოფისაც კარგად იყო ცნობილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სარეფორმო კომისიას გ. ლ-ეის სახელზე მინის მიღება-ჩაბარების № 158 აქტი არ გაუცია, 2019 წლის 31 ოქტომბერს შედგენილი, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №03986 ოქმით, ხოლო ამავე ოქმის საფუძველზე გამოცემული 2019 წლის 26 ნოემბრის №2578 ბრძანებით, ონის მუნიციპალიტეტის მერმა ე. ს-ეემ დაადასტურეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათის ს/კ №...) გათვალისწინებული მინის ნაკვეთისა და შპს „მ...“ -ის მიერ 18.09.2019 წელს (ფართობი - 1 560 კვ.მ.) შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მინის ნაკვეთის იდენტურობა, რომელიც

ზემოხსენებული სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტების შედგენის დროისათვის, მართალია, იმყოფებოდა გ. ლ-ეის მფლობელობაში, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა რ. ჩ-ეის მემკვიდრე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლებას განკუთვნილ უძრავ ქონებას. აღნიშნულ საკითხზე მერიის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე განმარტებულ იქნა, რომ მათვის ცნობილი იყო, რომ უძრავი ქონება ადრე ეკუთვნიდა ჩ-ეებს, რაც შემდგომ შეძენილ იქნა გ. ლ-ეის მიერ და რომ მათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ვის-თან იყო ეს გარიგება დადებული, გარიგების ფორმა დაცული იყო თუ არა, რადგან მხარეთა სამოქალაქო ურთიერთობაში ჩარევა არ განეკუთვნებოდა მათ კომპეტენციას და იმდენად, რამდენადაც 2000 წლის სარეგისტრაციო ბარათით მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო გ. ლ-ეის საკუთრებად, მერია დაეყრდნო სწორედ სარეგისტრაციო ბარათს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 31.10.2019წ. №03986 უკანონო ოქმის საფუძველზე, 29.11.2019წ. №.... უკანონო გა-დაწყვეტილებით გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა ონის მუნიციპალიტეტის სოფ....ში მდგრაжე, დაზუსტებული ფარ-თობის 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავ-სებული, ვ. ჩ-ეის საკხოვრებელი სახლით (შენობა-ნაგებობა №1) და უძ-რავ ნივთს მიანიჭა ახალი საკადასტრო კოდი №.... მოცემული რეგისტრაციის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მიეთითა შემ-დეგი დოკუმენტები: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მი-ღება-ჩაბარების აქტი №158; ქუთაისის ცენტრალური არქივის 16.10.2019წ. №13/115725 საარქივო ცნობა; სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი №03986, დამონმების თარიღი 31.10.2019წ., ონის მუნიციპალიტეტის მერია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ეროვნული არქივის ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის დი-რექტორის მიერ გაცემული 16.10.2019წ. №13/115725 პასუხით, რომე-ლიც უფლების დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად მითითებულია გ. ლ-ეის სახელზე გაცემულ 2019 წლის 29 ნოემბრის ამონანერში საჯარო რეესტრიდან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეცნობა იმს შესახებ, რომ არქივში დაცულ, ონის რაიონის ...ის საკრებულოს სოფ....ს 1997-2001, 2001-2005 წლების საკომლო წიგნებში გ. გი-ს ძე ლ-ე/ლო-ე (დაბ. ... წელს) რეგისტრირებული არ არის. ამავე ცნობის თანახმად, ...ის საკრებულოს 1992-1996, 2006-2007 წლების საკომლო წიგნები, მიწის მიღება-ჩაბარების აქტები, მიწის განაწილების (იგივე სარეფორმო) და საგადასახადო სიები, ქუთაისის ცენტრალურ არქივში

შესანახად არ მიღებულა. ამდენად, დადგენილია, რომ 2019 წლის 19 ნოემბერს გ. ლ-ეის სახელზე განხორციელებული უფლების რეგისტრა-ციის საფუძვლად მითითებული საარქივო ცნობა №13/115725 კი არადას-ტურებს, პირიქით უარყოფს უფლების არსებობის ფაქტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის წარმომადგენ-ლის 09.12.2019 წ. განცხადების მიღების ბარათით და განცხადებით სა-ჯარი რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა №... განცხადებაზე სა-აგენტოს მიერ 2000 წლის მიღებული გადაწყვეტილების გადაცემა, ონის რაიონის სოფ. ...ში მდებარე, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ. სა-სოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთზე გ. ლ-ეის (მისი ოჯახის) საკუთრე-ბის უფლების პირველადი რეგისტრაციის შესახებ (ს/კ №...), ასევე, №... განცხადებაზე მიღებული 29.11.2019 წ. გადაწყვეტილების გადაცემა, უძრავ წიგნზე გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ (ს/კ №..., ნაკვეთის ნინა №...). აღნიშნულის პასუხად, რეესტრის ხელმი-საწვდომობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 09.12.2019 წ. №... გადაწყვეტილებით, გადაცემულ იქნა მხოლოდ 29.11.2019 წ. №... გადაწყვეტილება, ხოლო №... განცხადებაზე 2000 წლის მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ იმ დროს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა უფლების რეგის-ტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოცემას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთზე დაზუსტებული ელ.ვერსიით გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ 29.11.2019 წ. №... გადაწყვეტილების მიღებამდე 4 დღით ადრე, საჯარო რეესტრის ეროვ-ნულმა სააგენტომ მიიღო 25.11.2019 წ. №... გადაწყვეტილება სარეგის-ტრაციის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვ. ჩ-ეის 18.10.2019 წ. №... გან-ცხადებაზე, რომლითაც მოთხოვნილი იყო საკუთრების უფლების რე-გისტრაცია ხსენებული 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვე-თიდან 1 508.60 კვ.მ. მინის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ მამისეულ სამკიდრო საცხოვრებელ სახლზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მო-სარჩელის წარმომადგენლის 06.12.2019 წ. განცხადებით საჯარო რეეს-ტრის ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა განმცხადებლისთვის ეცნობებინა გ. ლ-ეის №... განცხადებაზე თანდართულ, 2019 წლის საკადასტრო აგეგ-მვით/აზომვით ნახაზზე ასახული 1 560 კვ.მ. და 2000 წლის საკადას-ტრო რუკაზე ასახული 1 560 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მინის ნაკ-ვეთები არის თუ არა იდენტური (ერთი და იგივე), აგრეთვე, რა მიზეზის გამო არ ინახება (იძებნება) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ს/კ №... უძრავ ქონებაზე გ. ლ-ეის ოჯახის სახელზე საკუთრების უფ-ლების პირველადი რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული მინის მი-

ღება-ჩაბარების აქტი № 158 და სავალდებულოა თუ არა, რომ აღნიშნული აქტი, როგორც უფლების დამდგენი საბუთი, დაცული იყოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.12.2019წ. №... პასუხით კითხვის პირველ ნაწილზე მოსარჩელეს ეცნობა, რომ დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით ს/კ №... უძრავი ნივთის რეგისტრაცია გულისხმობს, რომ საჯარო რეესტრში მისი საკადასტრო მონაცემები (მინის ნაკვეთის საზღვრები და ადგილმდებარეობა სახელმწიფო კოორდინატთა სისტემის მიხედვით, ფართობი, კონფიგურაცია და სხვ.) რეგისტრირებული არ არის, შესაბამისად, აღნიშნული მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობა დაუდგენელია და აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეცა ინფორმაცია მითითებული მინის ნაკვეთების ადგილმდებარეობის იდენტურობის შესახებ. კითხვის მეორე ნაწილს კი საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სრულყოფილი პასუხი არ გასცა და კვლავ გაიმეორა, რომ მინის მიღება-ჩაბარების აქტი № 158 მასთან არ იძებნება, მასთან მომზადებული და დაცულია მხოლოდ სააღრიცხვო ბარათი და საკადასტრო რუკა, რომელზეც საცხოვრებელი სახლი ფიქ-სირებული არ არის. კითხვაზე კი, თუ რატომ არ იძებნება და არ ინახება № 158 აქტი, სააგენტომ პასუხს თავი აარიდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელმობის საასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 29.01.2020წ. – 18.02.2020წ. №000955820 დასკვნით დადგენილია, რომ 2000 წლის 20 ივნისს მომზადებულ ს/კ №... მინის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე, რომელიც შედგენილია გ. ღ.ღ-ეის სახელზე გაცემული მინის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და მინის მიღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე, ასახული მინის ნაკვეთის კონფიგურაცია და საზღვრების ზომები არ შეესაბამება ექსპერტიზისათვის წარდგენილ იმ ნახაზებზე ასახულ მინის ნაკვეთის კონფიგურაციას და საზღვრების ზომებს, რომელთა გამოყენებით, უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 31.10.2019წ. №03986 ოქმის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.11.2019წ. გადაწყვეტილებით, გ. ღ.ღ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა და ზუსტებული ფართობის 1560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთი, მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლით, მენობა-ნაგებობა №01-ით და მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი №.... საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №000955820 დასკვნით დასტურდება, რომ ექსპერტიზისათვის წარდგენილ ორ ნახაზზე (დანართი №2 და №3) დატანილი შენობა-ნაგებობა 01/2, ე.ი. საცხოვრებელი სახლი, 20.06.2000

ნლის ს/კ №... მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე მითითებული არ არის. ამდენად, მოცემული დასკვნით, ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ მხოლოდ უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათზე დაყრდნობით, რომელიც საჯარო რეესტრის თანაბრძოელთა მიერ შედგენილი, უძრავ ნივთზე სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი საბუთია და არა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ...ის აღმინისტრაციულ ერთულში პ. ჯ-ემ, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.1. „ა“ მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, 13.10.2019წ. შედგენილი უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №03986 ოქმით, ხოლო ამავე ოქმის საფუძველზე გამოცემული 26.11.2019წ. №2578 ბრძანებით ონის მუნიციპალიტეტის მერია ე. ს-ეემ, უკანონოდ დაადასტურეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და შპს „მ...“ -ის მიერ 19.09.2019წ. შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, რასაც კატეგორიულად გამორიცხავს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №000955820 დასკვნა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.12.2019წ. №429832 წერილი, რომლითაც, როგორც ზემოთ აღნიშნა, განიმარტა, რომ მათთან დაცული მონაცემებით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მდგომარეობა დაუდგენელია.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის, მოწმე გ. მ-ის განმარტებებით და ადმინისტრაციულ საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათებით დადგენილია, რომ ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში არსებული, სადაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (ეზო) არის ნაწილობრივ ხის, ნაწილობრივ მავთულბადის ღობით შემოკავებული და საცხოვრებელი სახლი დახურულია თუნექის სახურავით, როგორც ეს იყორ. და ვ. ჩ-ეის ხელში. სახლს არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილება, მეორე სართული კელავ ხის ოდა სახლია, მხოლოდ ქვედა სართულის ნაწილია გამოშენებული ქვიშა-ბლოკით და ჩასმულია მეტალობლასტმასის ფანჯრები. კერძოდ, მოწმის სახით დაკითხული პირის – გ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი დაახლოებით 20 წელია მუშაობს საკადასტრო-აზომვით საკითხებზე და არის ამ საქმის სპეციალისტი, კარგად იცნობს ჩ-ეების ოჯახს, როგორც ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მცხოვრებთ, რომლებიც მისი მეზობლები არიან. თავადაც წარმოშობით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ... და იცის, რომ მოსარჩელე ვ. ჩ-ეის ან გარდაცვლილი ბებია – თ. ჩ-ე, რომლის ქალიშვილობის გვარია მ-ი და ვ. ჩ-ეის ან გარდაცვლილი მამა – რ. ჩ-ე, იყვნენ

კომლის წევრები ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში. ბავშვობიდან მოყოლებული რამდენჯერმე არის ნამყოფი მათთან ოჯახში და იცის, რომ მათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი გააჩნდათ ამავე სოფელში, მდინარე ...ის პირას. სახლი არის იმავე მდგომარეობაში, როგორც იყო მისი ბავშვობისას, იგივე აქვს კედლები, როგორც ოდა სახლს, სახურავი და შესასვლელი კიბე, გამოშენებულია მხოლოდ ქვედა სართული, იგივეა მავთულბადის ღობე, რომლითაც ეზო ადრე იყო შემორაგვული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, სადაც მიწის ნაკვეთზე გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაცია არარსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე განხორციელებული იქნა 2000 წელს, თუმცა საქმეზე არ არის ნარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რაც ამავე პერიოდიდან მის მიერ აღნიშნული ქონების ფაქტობრივ მფლობელობას დაადასტურებდა. პირიქით, საქმეზე ნარმოდგენილ მტკიცებულებათა (მოსარჩევე ვ. ჩ-ეის ახსნა-განმარტება, მოწმე გ. მ-ის ჩვენება, რ. ჩ-ეის კომლის არსებობის შესახებ საარქივო ცნობა, სს „ე...ს“ ცნობა, საარჩევნო ადმინისტრაციის ამომრჩეველთა სიიდან ამონანერი, საინფორმაციო (სამისამართო) ბარათი გ. ლ-ეის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ა.შ.) ურთიერთშეჯერებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს თვემდე რ. და ვ. ჩ-ები ახორციელებდნენ მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლის და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მოვლა-პატრონობას. ამავე თვეში რ. ჩ-ეის თხოვნით გ. მ-ის, როგორც სპეციალისტს, ადგილზე უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი უძრავი ქონების საკადასტრო-აზომვითი სამუშაოები, რასაც ხელი შეუშალა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამ. სს „ე...ს“ 19.02.2020 წ. № 5110734 წერილით კი დადგენილია, რომ სს „ე...“ ფუნქციონირებს 2007 წლის ივნისიდან. შესაბამისად, წინა პერიოდის ინფორმაცია არ მოეპოვებათ, ხოლო გ. ლ-ე (პ/ზ ...) მათ აბონენტად რეგისტრირებულია 2012 წლის 26 მარტიდან. აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ 2012 წლამდე გ. ლ-ე ვ. ჩ-ეის საცხოვრებელ სახლში ელ-ენერგიას არ მოიხმარდა და შესაბამისად, იქ ფაქტიურად არ ცხოვრობდა. ამასთან, გ. ლ-ეის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციითა და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ამომრჩეველთა სიიდან ამონანერის თანახმად დადგენილია, რომ მოპასუხე გ. ლ-ე დაბადებულია ქ. თბილისში და ამომრჩევლად რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ..., მკრ., კორპუსი ..., ბინა ..., მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დადგენილია ის ფაქტობ-

როგორც გარემოება, რომ 2000 წლის საკადასტრო გეგმით და სააღრიცხვო ბარათით (ს/კ №...) გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე რამე შენობა-ნაგებობის, მათ შორის, საცხოვრებელი სახლის არსებობა არ ფქსირდება, ასეთის ფიქსაცია განხორციელდა მხოლოდ შპს „მ...“ -ის მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია ასევე ის გარემოებაც, რომ 2000 წლის 20 ივნისს მომზადებულ №... საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე ასახული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია არ შეესაბამება შპს „მ...“ -ის მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს შედგენილ საკადასტრო აგეეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციას და ასევე, მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება ნარდგენილ ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სა-სამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია ვ. ჩ-ეის განმარტება და მოწმე გ. მ-ის ჩვენება იმის თაობაზე, რომ ვ. ჩ-ემ სადავო ქონებაზე გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და უძრავი ქონების გადაფარვის შესახებ მისგან შეიტყო 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ჩ-ეის წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე 2020 წლის 06 იანვრიდან საქართველოს შსს ონის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანა-შემწე-გამომძიებლის გ. მ-ეის წარმოებაშია სისხლის სამართლის №059060120001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში არსებული, ან გარდაცვლილ რ. ჩ-ეის კუთვნილი და ამჟამად მისი შვილის, ვ. ჩ-ეის სამკვიდრო საცხოვრებელი სახლის თაღლითობის გზით დაუფლების ფაქტზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის იუ-რიდიული ინტერესი სადავო ინდიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტების ბათილად ცნობისადმი მდგომარეობს იმაში, რომ როგორც მამკვიდრებელ რ. ჩ-ეის კანონის მიერმა პირველი რიგის მემ-კვიდრებ მოახდინოს მამკვიდრებლის სამკვიდრო აქტივს განკუთვნი-ლი საკუთრების უფლების რეალიზაცია, კერძოდ, მოახდინოს საკუთ-რების უფლებას დაქვემდებარებულ, ონის რაიონის სოფელ ...ში მდება-რე მამაპაპისეულ სახლსა და საკარმილამ მიწის ნაკვეთზე საკუთრე-ბის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამასთან, აღსანიშნა-ვია ის გარემოებაც, რომ დავა ეხება სამკვიდრო ქონებას და მისი მიღე-ბის წესს კომლში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამქალაქო კოდექ-სის 1336-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში უდავო ფაქტობრივი გარე-

მოებაა, რომ მოსარჩელე ვ. ჩ-ე არის 2014 წლის 20 დეკემბერს გარდაცვლილი. ჩ-ეის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, შვილი, რომელმაც გარდაცვლილი მამის სამკვიდრო მიიღო როგორც ფაქტობრივი ფლობისა და მართვის, ისე სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით, სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. კერძოდ, 2019 წლის 22 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად დადგენილია, რომ „ვ. ჩ-ე (პ/ნ ...) არის 2014 წლის 20 დეკემბერს გარდაცვლილი. ჩ-ეის (პ/ნ ...) პირველი რიგის მემკვიდრე შვილი. მან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი მთელი ქონება სრულად, მათ შორის, უძრავ-მოძრავი სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებით, პასივებით, ვალდებულებებით და უფლებებით, ასევე მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ, მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარეთა (მოპასუხეთა) პოზიცია მიმის შესახებ, რომ რადგან რ. ჩ-ეის მემკვიდრე ვ. ჩ-ემ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო ბალდათის რაიონის სოფელ ...ში, იგი პრეტენზიას ვერ განაცხადება ანის რაიონის სოფელ ...შირ. ჩ-ეის დანაშთ ქონებაზე და ამასთან, რადგან ვ. ჩ-ეის სამკვიდრო მოწმობა ზოგადი ხასიათისაა და მასში მითითებული არ არის კონკრეტული უძრავი ქონება, ასეთი არ ადასტურებს მის უფლებას ონის რაიონის სოფელ ...ში არსებულ საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1320-ე მუხლებზე, 1421-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 1433-ე მუხლზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ჩ-ეს მამკვიდრებლისგან სამკვიდრო აქტივის სახით მთლიანად აქვს მიღებული ნებისმიერი სახის ქონება, მათ შორის უფლებები, რომელსაც უპირველესად განეკუთვნება საკუთრების უფლება. მამკვიდრებელი რ. ჩ-ე გარდაიცვალა 2014 წლის 20 დეკემბერს. შესაბამისად, რ. ჩ-ეის სამკვიდრო გაიხსნა მითითებული თარიღით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 06 თებერვლის №128 დადგენილების პირველ პუნქტზე, „მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №128 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 10 მარ-

ტის №290 დადგენილების მე-6 პუნქტზე და დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ჩ-ენარმოადგენდა ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში არსებული კომ-ლის უკანასკნელ და ერთადერთ წევრს, კომლის უფროსს, რაც დას-ტურდება საქართველოს ეროვნული არქივის ქ. ქუთაისის ცენტრალუ-რი არქივის 2019 წლის 09 სექტემბრის №AA2019018124-05 საარქივო ცნობით. აღნიშნული ცნობის თანახმად, ქუთაისის ცენტრალურარქივ-ში დაცულ, ონის რაიონის, ...ის საკრებულოს, სოფ.ს 1997-2001 წლების საკომლო წიგნში, კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ჩაწე-რილია რ. ი-ს (ასეა დოკუმენტში) ძე ჩ-ე, რომელიც იყო ვ. ჩ-ეის მამა. მომდევნო პერიოდის, ამავე სოფლის 2001-2005 წლების საკომლო წიგ-ნიდან რ. ჩ-ე ამოღებულია, ხოლო უკანა პერიოდის 1992-1996 წლების საკომლო წიგნები არ არსებობს და განადგურებულია. სააპელაციო პა-ლატის განმარტებით, 1997-2001 წლების საკომლო წიგნშირ. ჩ-ეის და-ფიქსირების მიუხედავად, საკომლო წიგნის ჩანაწერებში, მართალია, შეტანილი არ არის ინფორმაცია კომლის საკუთრებაში/მფლობელობა-ში არსებული საცხოვრებელი სახლისა და მინის ნაკვეთის შესახებ (ქო-ნებრივი მონაცემები), თუმცა ერთმნიშვნელოვნად ნათელია, რომ მი-ნის ნაკვეთზე მდებარეობდა საცხოვრებელი სახლი, რაც არაუფლება-მოსილ პირთან ფორმადაუცველი გარიგებით შეიძინა ქ. თბილისში და-ბადებულმა და მცხოვრებმა გ. ლ-ემ. ამასთან, სააპელაციო სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ უმინო და უსახლკარო კომლი ყოვლად წარმოუდ-გენელია და როგორც ზემოთ მოხმობილი ნორმებიც ცხადჰყოფს, რ. ჩ-ეს, როგორც „სეზონურ“ „სოფელთან კავშირგანწყვეტილ კომლს“, რო-გორადაც ის პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოხსენიე-ბულ იქნა სოფ.ს ყოფილი გამგებლის, შემდგომში, ...ის ადმინისტრა-ციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის პ. ჯ-ეის მიერ, კანონისმიერი საფუძვლით საკარმიდამო მინის ნაკვეთის სახით მინიმუმ 0.15 ჰა მინის ნაკვეთი გააჩნდა, ხოლო რაც შეეხება ინ-ფორმაციას საცხოვრებელი სახლის შესახებ, ასეთი მოცემულია რ. ჩ-ეის დედისა და მამის კომლის მონაცემებში. ამდენად, სააპელაციო სა-სამართლომ გაიზიარა მოსარჩევე (აპელანტი) ვ. ჩ-ეის ახსნა-განმარ-ტება ონის რაიონის სოფელ ...ში მდებარე საცხოვრებელ სახლსა და იმ საკარმიდამო მინის ნაკვეთზე, (1508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მი-ნის ნაკვეთი), რომელზედაც საცხოვრებელი სახლია განთავსებული, მისიან გარდაცვლილი მამის – რ. ჩ-ეის საკუთრების უფლების არსებო-ბაზე და აღნიშნა, რომ ეს საკუთრების უფლება უთუოდ შედის სამ-კვიდრო მასაში.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქართველოს 2019 წლის 25 ივ-ნისის №4851 კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამო-ლებული იქნა 1323-ე მუხლი (სამკვიდროს გახსნა კომლში), რომლის თა-

ნახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო იხსებოდა კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. 2019 წლის 01 აგვისტოდან ამიქედებული 1513¹ მუხლის (კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდროს გახსნა) თანახმად: 1. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანანერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია. 2. თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საკომლო წიგნის საარქივო ჩანანერებში მითითებული კომლის წევრის 2019 წლის 1 აგვისტოს შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო მის წილ ქონებაზე გაიხსნება, მიუხედავად იმისა, იგი კომლის ბოლო წევრი იყო თუ არა. 3. კომლის ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ ეს ქონება კომლის წევრების თანასაკუთრებაა და მასზე ვრცელდება თანასაკუთრებისთვის დადგენილი საერთო წესები.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მოცემულ შემთხვევაში არაფერს ცვლის, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში რ. ჩ-ეს კომლი შედგებოდა მხოლოდ ერთი წევრისაგან, თავადრ. ჩ-ესაგან და მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის შემდეგ იგი თვითნებურად ამოღებული იქნა საკომლო წიგნიდან ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის პ. ჯ-ეს მიერ და კომლის უძრავი ქონება – საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ამ უძრავ ქონებებზე არანაირი უფლებები არ არსებობს და ისინი გადაცემადი არ არის. სამკვიდრო აქტივად წოდებული ქონებრივი უფლება მოიაზრებს პირის ყველა სამოქალაქო უფლებას, მათ შორის მფლობელობის, სარგებლობის, საკუთრების უფლებას. ამდენად, 2014 წლის 20 დეკემბერს რ. ჩ-ეს გარდაცვალებით, მისი სამკვიდრო გაიხსნა კომლის უძრავ ქონებაზე, რომელიც ამ დროისათვის არაუფლებამოსილ პირთან ფორმადა-უცველი გარიგების გზით დარეგისტრირებული ჰქონდა გ. ლ-ეს.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ საქართველოში მიწის რეფორმა განხორციელდა 1992-1998 წლებში და ამ პერიოდში, როგორც აწ გარდაცვლილი რ. ჩ-ე სიცოცხლეში აცხადებდა, მას ადგილობრივი კომისიიდან მიღებული ჰქონდა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების სახელმწიფო აქტი, მაგრამ იგი ვ. ჩ-ეს მიერ ოჯახში ვერ იქნა მოძიებული, ხოლო იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებსაც ამგვარი აქტების შენახვა და დაცვა სამსახურებრივად ევალებოდათ, სოფ. ...ს მიწებზე

აქტები საერთოდ არ აღმოჩნდა, თუმცა უდავო ფაქტია, რომ შესაბამის საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლი რ. ჩ-ეის საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომელზედაც რ. ჩ-ეის მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი იყო განთავსებული, კანონის ძალით ჩაითვალა მის საკუთრებად, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონება არ ყოფილა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე და დადგენილი ფაქ-ტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე აღნიშნა, რომ თუკი სოფ. ... ს საკომლო წიგნში რ. ჩ-ე და მის შესახებ ქონებრივი ინფორმა-ცია სწორად იქნებოდა რეგისტრირებული და ეს დაცული იქნებოდა სა-თანადო წესით უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებში და არა იმგვარად, როგორც მოწმე პ. ჯ-ეის მიერ განიმარტა (მხოლოდ ინი-თად, მოზამთრე კომლებზე ივსებოდა სრულყოფილად მონაცემები მა-თი ქონებების შესახებ, ხოლო სეზონურად მაცხოვრებელ კომლებზე კი ასეთის აღრიცხვას არ ანარმოებდნენ, რადგან სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა, ამასთან, ყველა მონაცემი შესანახად გადაცემული იქნე-ბოდა სახელმწიფო არქივში, ცხადია, რ. ჩ-ეის პირველი რიგის მემკვიდ-რე, შეილი ვ. ჩ-ე, როგორც საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთ-ხოვნის უფლების მქონე პირი, საკუთრების უფლების დამადასტურე-ბელი დოკუმენტის (სანოტარო სამკვიდრო მოწმობა) და მიწის მარ-თლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დო-კუმენტის (საკომლო წიგნიდან ამონანერი) საფუძველზე, თავისუფლად დაირეგისტრირებდა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებას სოფ. ... შიარსებულ სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე („სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემურ და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნ-ქტის „თ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები). სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, ვ. ჩ-ეის სახელზე წიგნიდან ამონანერთან და საქმეზე წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, იგი სავსებით საკმარის სამართლებრივ საფუძველს იძლევა სამკვიდრო უძრავ ქონებაზე მემკვიდრის საკუთ-რების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად.

ასევე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ვ. ჩ-ეის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის მიერ დადგენილი პრაქტიკით, „საკუთრების

აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, მესაკუთრის უფლება, მოთხოვნის ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვებაც და დაკარგვაც დაკავშირებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. აღნიშნულის გამო, მესაკუთრის სტატუსის დარღვეულად მიჩნევის საფუძველს საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იძლეოდეს, ანუ მესაკუთრედ სხვა პირი უნდა იყოს დარეგისტრირებული. ნინაალმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლება შელახულად არ ჩაივლება. ამასთან, საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების, მიმართ ხანდაზმულობის გავრცელება არ დაიშვება” (საქმე №ას-395-374-2013, 23.09.2013).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვ. ჩ-ე 2014 წლის 20 დეკემბერს გარდაცვლილ მამასთან, მამკვიდრებელ რ. ჩ-ესთან (რომელიც იყო კომლის უფროსი და ერთადერთი წევრი) და ოჯახის წევრებთან ერთად ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში 2008 წლამდე ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული საცხოვრებელი (ხის ოდა) სახლით. მოპასუხე გ. ლ-ემ, რომელიც ოჯახთან ერთად მუდმივად და უწყვეტად ცხოვრობს და მუშაობს ქ. თბილისში, 2000 წლის საჯარო რეესტრში პირველადი რეგისტრაციის ფორმით, დაუზუსტებელი სახით, არარსებული დოკუმენტის (მიწის მიღება-ჩაბარების აქტი № 158), შესაბამისად სათანადო საფუძვლის გარეშე შექმნილი სარეგისტრაციო ბარათის და რეალურ ფაქტობრივ გარემოებას (სინამდვილე) შეუსაბამო ნახაზის საფუძველზე, საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ამავე ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის დაფიქსირების გარეშე. აღნიშნულ 1 560 კვ.მ. მიწის ნაკვეთში შედის თუ არა და იგი მოიცავს (ფარავს) თუ არა რ. ჩ-ეის 1 508.60 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, რომელზეც დგას საცხოვრებელი სახლი, სადავო გახდა 2019 წლის 23 ოქტომბრიდან, ანუ მას შემდეგ, როდესაც ვ. ჩ-ემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებიდან შეიტყო, რომ მის განცხადებაზე წარმოება შეჩერდა გ. ლ-ეს მიერ წარდგენილი ახალი საკადასტრო აზომვითი ნახაზისა და ელექტრონული ვერსიის მიხედვით, ზედდების გამო. აღნიშნული ზედდება არსებობს მას შემდეგ, რაც გ. ლ-ემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებიდან შეიტყო, რომ მის განცხადებაზე წარმოება შეჩერდა გ. ლ-ეს მიერ წარდგენილი ახალი საკადასტრო აზომვითი ნახაზისა და ელექტრონული ვერსიის მიხედვით, ზედდების გამო. აღნიშნული ზედდება არსებობს მას შემდეგ, რაც გ. ლ-ემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაზუსტებული მონაცემებით, უკანონოდ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთზე, უფრო ზუსტად, ამ მიწის ძირითად ნაწილზე და მასზე განთავსებულ, ან გარდაცვლილ მამკვიდრებელ რ. ჩ-ეის საცხოვრებელ (ხის ოდა) სახლზე. 2019 წლის 23 ოქტომბრამდე პე-

რიოდში კი არსებობდა თუ არა ზედდება 1 508.60 კვ.მ. და 1 560 კვ.მ. მიწის ნაკვეთებს შორის, დაუდგენელია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის (აპელანტი) – ვ. ჩ-ეის განმარტება იმის შესახებ, რომ 2000 წელს პირველადი რეგისტრაციის დროს, ვისი უძრავი ქონება აღირიცხა გ. ლ-ეის სახელზე და ეს ქონება ნამდვილად წარმოადგენდა თუ არა ან გარდაცვლილ რ. ჩ-ეის და ამჟამად მისი მეტკვიდრის (შვილის) ვ. ჩ-ეის კუთვნილებას, არც რ. ჩ-ემ (გარდაცვალებამდე) და არც ვ. ჩ-ემ 2019 წლის ოქტომბრის თვემდე არ იცოდნენ და არც შეიძლება სცოდნოდათ იმდენად, რამდენადაც საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია უძრავ ნივთზე პირველადი, დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრაციის შესახებ, არ იძლეოდა ამავე უძრავი ნივთის იდენტიფიცირების და შესაბამისად, ჩ-ების საკუთრების უფლების დარღვეულად მიჩნევის შესაძლებლობას, მით უმეტეს, რომ დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლი აღნიშნული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 129-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 130-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვ. ჩ-ეის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2019 წლის 23 ოქტომბრიდან, როცა მან შეიტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ, აღნიშნულ პერიოდამდე კი იგი ობიექტურად მოკლებული იყო შესაძლებლობას მიელო ინფორმაცია დარღვეული უფლების შესახებ, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკუთრების, როგორც აბსოლუტური უფლების მიმართ ხანდაზმულობის გავრცელება არ დაიშვება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მონინაალმდეგე მხარეები აპელირებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძნია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას მათზე, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემული შემთხვევა სახეზე არ არის, რადგან გ. ლ-ეის მიერ ან გარდაცვლილ რ. ჩ-ეის საცხოვრებელ (ხის ოდა) სახლზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა არა 2000 წელს, არამედ 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით. მოცემულ საკითხთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ მინაზე, ან სხვა უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობით საკუთრების შეძენისათვის გარდა იმისა, რომ აუცილებელია საკუთრად მფლობელი რეგისტრირებუ-

ლი იყოს საჯარო რეესტრში, ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეგისტრაცია სამართლებრივად ცხადი იყოს. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეზე წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 29.01.2020წ-18.02.2020წ. №000955820 დასკვნით დადგენილია, რომ 2000 წლის 20 ივნისს მომზადებულ ს/კ №... მინის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე, რომელიც შედგენილია გ. ლეის სახელზე გაცემული მინის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობის და მინის მიღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე, ასახული მინის ნაკვეთის კონფიგურაცია და საზღვრების ზომები არ შეესაბამება ექსპერტიზისათვის წარდგენილ მინის ნახაზებზე ასახულ მინის ნაკვეთის კონფიგურაციას და საზღვრების ზომებს, რომელთა გამოყენებით, უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 31.10.2019წ. №03986 ოქმის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.11.2019წ. გადაწყვეტილებით, გ. ლეის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა დაზუსტებული ფართობის 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთი, მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლით, შენობა-ნაგებობა №01-ით და მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი №.... საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №000955820 დასკვნით ასევე დასტურდება, რომ ექსპერტიზისათვის წარდგენილ ორ ნახაზზე (დანართი №2 და №3) დატანილი შენობა-ნაგებობა 01/2, ე.ი. საცხოვრებელი სახლი, 20.06.2000 წლის ს/კ №... მინის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე მითითებული არ არის.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დოქტრინით და სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია, რომ რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე უძრავ ნივთს უნდა ფლობდეს, როგორც საკუთარის. მხოლოდ ასეთი მფლობელის სასარგებლოდ მოქმედებს უწყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია. ამასთან, უძრავი ნივთის მფლობელობა და მფლობელის მესაკუთრედ რეგისტრაცია უნდა არ სებობდეს უწყვეტად 15 წლის განმავლობაში. მფლობელობის ვადის დენის შეჩერება კანონით რეგულირებული არ არის. მფლობელობის მოკლე დროით შეწყვეტაც კი საგენებით საკმარისია სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის სამართლებრივი შედეგების უარსაყოფად. იმისათვის, რომ ხანდაზმულობის საფუძველზე საკუთრების შეძენა მოხდეს, საჭიროა ნივთის მფლობელმა ამტკიცოს, რომ იგი ნივთს ფლობდა უწყვეტად. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ლეის მხრიდან უძრავი ნივთის მფლობელობა უწყვეტად არ სებობს 2012 წლიდან, რაც ასევე გამორიცხავს სამოქალაქო კოდექ-

სის 167-ე მუხლით დადგენილი 15 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გა-
მოყენების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის მითითებით, ყველა სადავო აქტი (უძრავი ქო-
ნების სააღრიცხვო ბარათი, მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრე-
ბის სარეგისტრაციო მოწმობა, იდენტურობის დადგენის ოქმი, ონის მუ-
ნიციპალიტეტის მერის ბრძანება თუ საჯარო რეესტრის ეროვნული სა-
აგენტოს გადაწყვეტილება), რომელთა არარად ან მთლიანად თუ ნაწი-
ლობრივ ბათილად (კნობა მოთხოვნილია ვ. ჩ-ეს სარჩელით, წარმოად-
გენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ასეთი
აქტის, როგორც ტერმინის (ცნების) განმარტება კი მოცემულია საქარ-
თველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ“ მუხლში, რომ-
ლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტი, ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული
კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამარ-
თლებრივი აქტი, რომელიც ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს
პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინ-
დივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგ-
რეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება
მის უფლებამოსილებას მიუკონებული საკითხის დაკმაყოფილებაზე
განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რო-
მელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვე-
ვაში უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ 2000 წელს გ. ლ-ეს სახელ-
ზე 1 560 კვ. მ. დაუზუსტებელი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის
ნაკვეთი, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის ზონალურ
რეგისტრაციურამი საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მიწის მი-
ღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე, რომელიც რეალურად არ
არსებობს და ვერც იარსებებდა, რადგან გ. ლ-ეარ ყოფილა ონის რაიო-
ნის სოფელ ...ს მკვიდრი, მას 1992-1998 წლებში განხორციელებულ მი-
წის რეფორმაში მონაწილეობა არ მიუღია და ამასთან, როგორც თავად-
ვე განმარტავს და საგამოძიებო ორგანოების მიერ მოკვლეული მასა-
ლებითაც დასტურდება, უძრავ ნივთს (სახლი, მიწის ნაკვეთი) დაეუფ-
ლა არაუფლებამოსილ პირთან ზეპირსიტყვიერი, ფორმადაუცველი გა-
რიგების დადების გზით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასე-
ბით, არ არსებობდა გ. ლ-ესთან მიმართებით მიწის სააღრიცხვო ბარა-
თის შედგენის უფლებადამდგენი დოკუმენტი და შესაბამისად, 2000
წლის 20 ივნისს გ. ლ-ეზე უკანონოდ გაიცა მიწის (უძრავი ქონების) სა-
კუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №....

სააპელაციო პალატამ მიუთითა „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-7, მე-17 და მე-19 მუხლების პირველ პუნქტებზე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების მე-3 პუნქტზე, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, ამავე ბრძანებულების მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მიწის რეფორმის კომისიის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენას და გაცემას აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 23 ივნისის №503 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“. მითითებული დადგენილებით დამტკიცდა მოქალაქეთათვის სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა, შესაბამისი დანართის თანახმად. მიღება-ჩაბარების აქტის ზოგადი ფორმის თანახმად, მიწის მიღება-ჩაბარების აქტს ადგენდნენ კომისიის წევრები, კომისიას კი თავმჯდომარეობდა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენდა მონმის სახით დაკითხული პირი პ. ჯ-ე. აღნიშნული პირის განმარტებით, დადგენილია, რომ გ. ლ-ე სოფელ ...ში კომლის წევრი არ ყოფილა, მის მიმართ პრივატიზაციის პერიოდში (1992-1998 წლები) მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ გამოყოფილა, სარეფორმო კომისიას გ. ლ-ეის სახელზე მიწის მიღება-ჩაბარების № 158 აქტი არ გაუცია და ასეთის არსებობის შესახებ მან არაფერი იცის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 აგვისტოს № 153 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის“ № 1 დანართის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უტყუარად დადგენილია რა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. ლ-ეის საკუთრების უფლების დამდგენი (დამადასტურებელი) ძირითადი დოკუმენტი – მიწის მიღება-ჩაბარების აქტი არ არსებობს და ასეთის გამოცემას უარყოფს თავად უფლებამოსილი პირი, მის საფუძველზე შედგენილი სააღრიცხვო ბარათიც და გაცემული სარეგისტრაციო მოწმობაც იურიდიული ძალის არმქონება. შესაბამისად, ყოველი მომდევნო სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც ეყრდნობა ზემოხსენებულ დოკუმენტებს და ადასტურებს იმავე უძრავ ნივთზე გ. ლ-ეის საკუთრების უფლებას, ერთმნიშ-

ვნელოვნად კანონსაწინააღმდეგოა და ბათილია.

ზემოხსენებულთან ერთად, სააპელაციო პალატამ სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩევე (აპელანტი) ვ. ჩ.-ეს მოთხოვნა მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათსა და საჯარო რეესტრის ამონაწერებში მითითებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაპარების აქტის № 158 (ს/კ..., ნაკვეთის წინა №...) არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: а) შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლისამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართლდარღვევას. ამდენად, როგორც მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადჰყოფს, იმისათვის, რომ აქტი არარად იქნეს ცნობილი, პირველ რიგში უნდა დგინდებოდეს ასეთის გამოცემა, მისი არსებობა, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არაა.

საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათზე დაყრდნობით, რომელიც საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მიერაა შედგენილი, უძრავ ნივთზე სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი საბუთია და არა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში პ. ჯ-ეემ, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.1. „ა“ მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, 13.10.2019წ. შედგენილი უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №03986 ოქმით, ხოლო ამავე ოქმის საფუძველზე გამოცემული 26.11.2019წ. №2578 ბრძანებით ონის მუნიციპალიტეტის მერმა ე. ს-ეემ, უკანონოდ დაადასტურეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და შპს „მ...“ -ის მიერ 19.09.2019წ. შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, რასაც კატეგორიულად გამორიცხავს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტის №000955820 დასკვნა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.12.2019წ. №429832 წერილი, რომლითაც განიმარტა, რომ მათთან დაცული მონაცემებით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მდგომარეობა დაუდ-

გენელია.

სააპელაციო პალატის მითითებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.11.2019-წელის 26 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რა გ. ლ-ეის 2019 წლის 26 სექტემბრის №... განცხადება, მის სახელზე, საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა დაზუსტებული ფართობის 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული №01 შენობა-ნაგებობით, მდგრად აღნიშვნის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში (ნაკვეთის წინ №...). 2019 წლის 29 ნოემბრით დათარილებულ შესაბამის ამონაწერში საჯარო რეესტრიდან უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად კი მიეთითა, ფაქტობრივად არარსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების აქტი №158, საარქივო ცნობა №13/115725, დამოწმების თარიღი: 16.10.2019, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოს ეცნობა იმის შესახებ, რომ არქივში დაცულ, აღნის რაიონის ...ის საკრებულოს სოფ.ს 1997-2001, 2001-2005 წლების საკომლო წიგნებში გ. გი-ს ძე ლ-ე/ლო-ე (დაბ.წელს) რეგისტრირებული არ არის (ამდენად, აღნიშნული კი არ ადასტურებს, პირი ქით - უარყოფს უფლების არსებობის ფაქტს) და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 კანონსაწინააღმდეგო ოქმი, დამოწმების თარიღი: 31.10.2019, აღნის მუნიციპალიტეტის მერია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეზე ნარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სადაცვო უძრავ ნივთზე მოპასუხე გ. ლ-ეის საკუთრების უფლება მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაარეგისტრირა არა საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად შედგენილი, არამედ არარსებული, უფლების არდამდგენი და უკანონო სარეგისტრაციო დოკუმენტების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-5 მუხლზე, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მე-2 მუხლებზე, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „თ“, „ნ“ ქვეპუნქტებზე, მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-16 მუხ-

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილ, სასამართლოსათვის შინაგანი რწმენის შემქმნელ ფაქტობრივ გარემოებათა და ასეთის სამტკიცებლად მოსარჩელე ვ. ჩ-ეის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასებით, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბათილად იქნება ცნობილი სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მოსარჩელე ვ. ჩ-ე შეძლებს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება დაირეგისტრიროს სადაცო საკარმიდამო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე. კერძოდ, საქმეში არსებული საარქივო ცნობები, საკომლო წიგნიდან ამონანერები ან გარდაცვლილ რ. ჩ-ეის და მისი მშობლების მიმართ, ვ. ჩ-ეის სანოტარო სამკვიდრო მოწმობასთან ერთად, წარმოადგენს საკამარის და ლეგიტიმურ საფუძველს ხსენებულ უძრავ ქონებაზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების დასაარეგისტრირებლად, ცხადია, იმ პირობით, რომ ახალი საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი ნახაზით უნდა აღმოითხვრას ზედდება ამჟამად მოპასუხე გ. ლ-ეის საკუთრებაში რიცხული 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან 1 508.60 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილში, სადაც დგას ჩ-ეების მამაპაპისეული საგვარეულო ხის ოდა სახლი.

სააპელაციოსასამართლომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის №ბს-367-363(კ-12) გადაწყვეტილებაზე მითითებით, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არასწორად ეთქვა უარი საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. ნორმის ეს დებულება გამომდინარეობს კანონის მიერ დათქმის პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით განისაზღვრება. აღმჭურველი ხასიათის მმართველობითი ღონისძიება, რომელიც არ ზღუდავს, როგორც ადრესატს, ასევე მესამე პირების უფლებებს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას

და მისი განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოა უნდა გასცდეს თავისი უფლებამოსილების საზღვრებს, თუმცა მან წარმოების პროცესში კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს არა ფორმალურად, არამედ მიზნობრივად, რათა არ მოახდინოს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ლ-ემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და იმავე სასამართლოსთვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ონის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კასატორი – გ. ლ-ე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1328-ე, 1513¹ მუხლებზე და აღნიშნავს, რომ მხოლოდ კომლის წევრად რეგისტრაციის ფაქტი ან კანონისმიერ მემკვიდრეობის არარის საკმარისის მემკვიდრეობის მისაღებად, მით უფრო, რომ 2000 წლიდან რ. ჩ-ე არ არის სოფელ ...ში კომლის წევრი. იგი გარდაიცვალა 2014 წელს, ხოლო სამკვიდრო გაიხსნა ასევე კომლში და ბალდათის მუნიციპალიტეტის (რაიონი) სოფელ ...ში მიიღო მისმა შეილმა – ვ. ჩ-ემ. კასატორის განმარტებით, შეუძლებელია ფიზიკური პირი კომლის წევრად რეგისტრირებული ყოფილიყოფირობის არის რაიონის სოფელ ...ში, ასევე, ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვ. ჩ-ემ სამკვიდრო ქონება მიიღო ფაქტობრივი ფლობით, რადგან ის და რ. ჩ-ე რეგისტრირებული იყვნენ ერთი და იგივე მისამართზე ბალდათის მუნიციპალიტეტში. ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ აწ გარდაცვლილ მამკვიდრებელ რ. ჩ-ეს რაიმე ქონება ეკუთვნოდა სოფელ ...ში. რ. და ვ. ჩ-ები მინიმუმ 20 წელია არ ჩასულან სოფელ ...ში და სადაც ქონებასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. შესაბამისად, გაუგებარია რა ქონების მემკვიდრეობით მიღება სურს ვ. ჩ-ეს, მაშინ როცა მამკვიდრებელს სოფელ ...ში ქონება არ გააჩნდა. მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით ბალდათის მუნიციპალიტეტში და დავობს იმ ქონებაზე, რომელიც სამკვიდრო აქტივში არ შედიოდა.

კასატორი – გ. ლ-ე ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიწის ნაკვეთი 2000 წლიდან სა-

ჯარორეესტრში რეგისტრირებულია გ. ლ-ეის სახელზე და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის რეგისტრაცია განხორციელდა 2019 წელს, თუმცა აქვე აღნიშნულის საპირისპიროდ განმარტავს, რომ გ. ლ-ეს უძრავი ნივთის უწყვეტად ფლობა წარმოება 2012 წლიდან, რითაც უგულებელყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლს. კასატორის მითითებით, საგულისხმოა, რომ აღნიშნული წორმა არ მიუთითობს საკუთრების უწყვეტობაზე. რაც შეეხება მფლობელობის უწყვეტობას, ეს წინაპირობა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე, 166-ე და 167-ე მუხლებიდან, რომელთა თანახმად, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც. თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძნია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ სწის მანილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.

კასატორი – გ. ლ-ე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ თუ პირი კომლში იყო რეგისტრირებული, მასზე უპირობოდ უნდა იყოს ქონება აღრიცხული. კასატორის განმარტებით, თუ მაგალითად კარმიდამო დაიმენტრა და განადგურდა, აღნიშნულით იკარგება ქონება და კომლი რჩება ქონების გარეშე, მაგრამ მისი რეგისტრაცია არ უქმდება და კომლს (კომლის წევრს) ეძლევა უფლება მიმართოს თემს, რათა გამოუყონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნობ. ჯ-ეისა და გ. ლ-ეის ჩვენებებს იმის თაობაზე, რომ გ. ლ-ემთ. ჩ-ეისგან (რომელიც ვ. ჩ-ეისგან განსხვავებით, იყო კომლის წევრი) შეიძინა სახლი 700 დოლარად, მაგრამ მას არ შეუძნია მიწის ნაკვეთი, როგორც უძრავი ქონება, ხოლო სახლი იყო ხის, რომელიც სავსებით შესაძლებელია დაიშალოს და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მოხდეს მისი გადატანა. ასეთ შემთხვევაში კი არ არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება.

კასატორი – ონის მუნიციპალიტეტის მერია არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ გ. ლ-ეის სახელზე გაცემული სააღრიცხულო ბარათი არ წარმოადგენს უფლების დამდგენ დოკუმენტს. კასატორის განმარტებით, ონის მუნიციპალიტეტის მერიამ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაადასტურა იდენტურობა და უფლებამოსილმა პირმა შეადგინა ადგილზე დათვალიერების ოქმი

(რომელსაც ასევე ხელს აწერს 3 მოწე), რის საფუძველზეც გამოიცა ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 26 ნოემბრის №257 ბრძანება. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სს „...ს“ მიერ გაცემული დოკუ-მენტი ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად, ვინაიდან გამრიცხველია ანება ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში 2012 წლამდე არ არსებობდა, შესა-ბამისად, მანამდე გ. ლ-ე აბონენტად ვერ იქნებოდა აყვანილი. კასატო-რი აქვე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გათ-ვალისწინებული ის გარემოება, რომ ვ. ჩ-ე ის სახელზე გაცემულია ზო-გადი სამკვიდრო მოწმობა და მას უფლების დამდგენი არანაირი დოკუ-მენტი არ წარმოუდგენია. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავში-რებით კი, კასატორი განმარტავს, რომ იგი წარმოადგენს კერძოსამარ-თლებრივი დავის საგანს და მასში ონის მუნიციპალიტეტის მერია, რო-გორც მხარე, ვერ იქნება წარმოდგენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბა-მისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და გ. ლ-ე ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 დეკემბრის განჩინებით, ონის მუნიციპალიტე-ტის მერიისა და გ. ლ-ე ის საკასაციო საჩივრები, მიჩნეულ იქნა დასაშვე-ბად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ლ-ე ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმა-ყოფილდეს, ხოლო ონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივა-რი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს ქუთაისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1, 3.2, 3.3 და 3.4 ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი გ. ლ-ე ის სახელზე 2000 წლის 20 ივნისს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის რაიონის ზონის რეგისტრატორის 6. ს-ის მიერ გაცემული №...0 მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბა-რათი. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნობილი ონის რაიონის სოფელ ...ში არსებული, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ სასოფლო-სამეურ-ნეო მიწის ნაკვეთიდან 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკ-ვეთის გ. ლ-ე ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილ-ში (ს/კ №..., ნაკვეთის წინა № ...); ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი

...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელ პ. ჯ-ეის მიერ შედგენილი 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 ოქტომბრის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების შესახებ და ონის მუნიციპალიტეტის მერის – ე. ს-ეის 2019 წლის 26 ნოემბრის №257 პრძანება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი, ს/კ №...) გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის და შპს „მ...“ – ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთის 1 560 კვ. მეტრიდან 1 508.60 კვ.მ მეტრის იდენტურობის ნაწილში; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნობილი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ...ში არსებული დაზუსტებული ფართობის 1 560.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში (ს/კ №..., ნაკვეთის წინა №...); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ონის მუნიციპალიტეტის სოფელ...ში მდებარე 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს გ. ლ-ეის სახელზე 2000 წლის 20 ივნისს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის რაიონის ზონის რეგისტრაციონის ნ. ს-ის მიერ გაცემული №... მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათის ნაწილობრივ (ონის რაიონის სოფელ ...ში არსებული, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ ..., ნაკვეთის წინა №...) 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში); ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის – პ. ჯ-ეის მიერ შედგენილი, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 ოქტომისა და ონის მუნიციპალიტეტის მერის – ე. ს-ეის 2019 წლის 26 ნოემბრის №2578 პრძანების ნაწილობრივ (საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი, ს/კ ...)) გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და შპს „მ...“ – ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახუ-

ლი მიწის ნაკვეთის (1 560 კვ.მ-დან 1 508.60 კვ.მ.) იდენტურობის დადგენის ნაწილში) და რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ნაწილობრივ (ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში არსებული 1 560 კვ.მ. დაზუსტებული ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ ..., ნაკვეთის წინა №...) 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახლზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში) კანონიერება; ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 1 508.60 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, კანონით დადგენილი წესით, ახალი გადაწყვეტილების გამოცემის დაგალება. ამასთან, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩევეს არ გაუსაჩივრებია და იგი საკასაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ მოპასუხეების: გ. ლ-ეის და ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ვ. ჩ-ეის მშობლები იყვნენ: დედა – გ. ჩ-ე (ლ-ე) და მამა – რ. ჩ-ე, რომელებიც იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ამჟამად გარდაცვლილები არიან.

დადგენილია, რომ რ. ჩ-ე გარდაიცვალა 2014 წლის 20 დეკემბერს. 2019 წლის 22 ოქტომბრის სანოტარო წესით დამოწმებული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, რ. ჩ-ეის გარდაცვალებით, 2014 წლის 20 დეკემბერს გაიხსნა სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის ადგილია მაიაკოვსკი, ს. ამავე სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, ვ. ჩ-ე არის რ. ჩ-ეის პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი. მან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი მთელი ქონება სრულად, მათ შორის უძრავ-მოძრავი სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებით, პასივებით, ვალდებულებებით და უფლებებით, ასევე, მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ, მიღებული სამკვიდროს ლირებულების ფარგლებში. ამავე სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო ფაქტიური ფლობით, რაც დასტურდება N... საინფორმაციო ბარა-

თით, გაცემული სსგს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 15.10.2019 წელს და №AA2019020773-03 საარქივო ცნობით, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის მიერ 16.10.2019 წელს. მემკვიდრე და მამკვიდრებელი რეგისტრირებული არიან ერთ კომლში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 24 ოქტომბრის №AA2019021105-04 საარქივო ცნობის თანახმად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ, ონის რაიონის, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1954-1956 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილია ი. ს-ს ძე ჩ-ე. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ი. ს-ს ძე ჩ-ე – ოჯახის უფროსი, ო. შ-ს ასული ჩ-ე – ცოლი, გუ. ი-ს ძე ჩ-ე – შვილი, პ. ფ-ს ასული ჩ-ე – რძალი, რ. ი-ს ძე ჩ-ე – შვილი, გრ. გუ-ის ძე ჩ-ე – შვილიშვილი, თ. გუ-ის ძე ჩ-ე – შვილიშვილი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს (საერთო სასარგებლო ფართი მითითებული არ არის) და მიწის ნაკვეთის ფართობი 6 390 (რთულად იკითხება), 1954 წლის ჩანაწერით. 1955-1956 წლებში მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ არის მითითებული.

ამავე საარქივო ცნობის თანახმად, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1958-1960 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილია ი. ს-ს ძე ჩ-ე. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ი. ს-ს ძე ჩ-ე – ოჯახის უფროსი, ო. შ-ს ასული ჩ-ე – ცოლი, გრ. გუ-ის ძე ჩ-ე – შვილიშვილი, თ. გუ-ის ძე ჩ-ე – შვილიშვილი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს (საერთო სასარგებლო ფართი მითითებული არ არის) და მიწის ნაკვეთის ფართობი 0.56 ჰა, 1958 და 1960 წლების ჩანაწერით. 1959 წელს მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ არის ჩაწერილი.

ასევე, მითითებული საარქივო ცნობის თანახმად, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1967-1969 წლების (ცვლილებები ნანარმოებია 1970 წლის ჩათვლით) საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილია ი. ს-ს ძე ჩ-ე. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ი. ს-ს ძე ჩ-ე – ოჯახის უფროსი, ო. შ-ს ასული ჩ-ე – ცოლი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს და მიწის ნაკვეთის ფართობი 0.41 ჰა, 1967-1970 წლების ჩანაწერების მიხედვით (1970 წლის ჩანაწერი რთულად იკითხება).

ამასთან, აღნიშნული საარქივო ცნობის თანახმად, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1971-1973 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილი ი. ს-ს ძე ჩ-ე გადახაზულია და მითითებულია ო. შ-ს ასული ჩ-ე. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ი. ს-ს ძე ჩ-ე – ოჯახის

უფროსი, გადახაზულია, გარდაიცვალა 26/V 1971 წელს, ო. შ-ს ასული ჩ-ე - ცოლი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს და მინის ნაკვეთის ფართობი 0.41 ჰა, 1971 წლის ჩანაწერით და 0.4 ჰა 1972 წლის მიხედვით. 1973 წელს მინის ნაკვეთის შესახებ ინფორმაცია არ არის ჩაწერილი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 25 ოქტომბრის №AA2019020759-04 საარქივო ცნობის თანახმად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ, ონის რაიონის, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1973-1975 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ჩაწერილი ო. შ-ს ასული ჩ-ე გადახაზულია, გარდაიცვალა 1975 წლის 31/X (რთულად იკითხება). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს (საერთო სასარგებლო ფართი მითითებული არ არის) და მინის ნაკვეთის ფართობი 0.4 ჰა, 1973-1975 წლების ჩანაწერით. ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1976-1979 წლების საკომლო წიგნებში კომლი, რომლის უფროსია ი- (ი.) ს-ს ძე ჩ-ე/ჩ-ე და ო. შ-ს ასული ჩ-ე, რეგისტრირებული არ არის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 9 სექტემბრის №AA2019018124-05 საარქივო ცნობის თანახმად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ, ონის რაიონის, ...ის საკრებულოს, სოფელ ...ს 1997-2001 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ჩაწერილია რ. ი-ს (ასეა დოკუმენტში) ძე ჩ-ე. ...ის საკრებულოს, სოფელ ...ს 2001-2005 წლების საკომლო წიგნებში კომლი, რომლის უფროსა რ. ი.ის ძე ჩ-ე/ჩ-ე (დაბ. ... წელს), ჩაწერილი არ არის. ...ის საკრებულოს, სოფელ ...ს 1992-1996 წლების საკომლო წიგნები ქუთაისის ცენტრალურ არქივში შესანახად არ შემოსულა.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის 2019 წლის 31 დეკემბრის №AA2019025941-03 საარქივო ცნობის თანახმად, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ, ონის რაიონის, ...ის საკრებულოს, სოფელ ...ს 1997-2001 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ჩაწერილია რ. ი-ს ძე ჩ-ე. კომლზე რიცხული ქონება ჩაწერილი არ არის. ...ის სასოფლო საბჭოს და საკრებულოს, სოფელ ...ს 1986-1990, 2001-2005 წლების საკომლო წიგნებში კომლი, რომლის უფროსია რ. ი-ს ძე ჩ-ე/ჩ-ე, ჩაწერილი არ არის. ...ის სასოფლო საბჭოს და საკრებულოს მინის განაწილების (იგივე სარეფორმო) და საგადასახადო სიები, მინის მიღება-ჩაბარების აქტები და სარეგისტრაციო მოწმობები ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული არ არის.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს იმურეთის, რაჭა-ლეჩიხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს უფროსის 2019 წლის 26 სექტემბრის MIA 7 19 02557706 წერილის თანახმად, ონის რაიონული სამმართველოს მიერ მოკვლეული მასალებით ირკვევა, რომ ონის რაიონის სოფელ ...ში ან გარდაცვლილ ძმებს: რ. ჩ-ეს, გუ. ჩ-ეს და გა. ჩ-ეს ჰქონდათ მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც 2000 წელს გაყიდა გუ. ჩ-ეს შვილმა – თ. ჩ-ემ 700 დოლარად და მიყიდა ქალაქ თბილისში მცხოვრებ გ. ლ-ეს, რომელსაც გააჩნია მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №.... მოკვლეული მასალებიდან დგინდება, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის დავის საგანს.

დადგენილია, რომ 2000 წლის 20 ივნისს გ. ლ-ეის (ოჯახის) სახელზე გაიცა ონის რაიონის, სოფელ ...ში მდებარე 0.156 ჱა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №.... ამავე დღეს შედგა მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი №..., სადაც ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთზე გ. ლ-ეის (ოჯახის) საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიეთითა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების აქტი № 158. ამასთან, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 2000 წლის 20 ივნისს განხორციელდა უძრავ ნივთზე, მდებარე: ონის რაიონი, ..., დაუზუსტებელი ფართობი 1 560 კვ.მ. (ს/კ ...), გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრისას.

2019 წლის 26 სექტემბერს, გ. ლ-ემ №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წარუდგინა შპს „მ...“ -ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შედგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავ ნივთზე, მდებარე: ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... (1 560 კვ.მ.) ცვლილების რეგისტრაცია. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო სარეგისტრაციო წარმოება, რომლის ფარგლებშიც, 2019 წლის 31 ოქტომბერს, ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა განახორციელა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის, მდებარე: ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... (უძრავი ნივთის მესაკუთრე/მოსარგებლე: გ. ლ-ე) ადგილზე დათვალიერება (სამი მოწმის (მეზობლის) თანდასწრებით) და შეადგინა ადგილზე დათვალიერების ოქმი №03986. ოქმში მითითებულია, რომ დასტურდება იდენტობა უფლების დამდგენი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი) წარმოდგენილ მიწის ნაკვეთსა და საკადასტრო აზომვითი ნახაზით (შესრულებული შპს „მ...“ -ის მიერ, 18.09.2019 წელს) წარმოდგენილ მიწის ნაკვეთს შორის, 1 560 მ²-ის ოდენობით. ამასთან, ონის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის

26 ნოემბრის №2578 ბრძანებით, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისთვის თანახმად, დადასტურდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი ს/კ ...) გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და შეს „მ...“ -ის მიერ 18.09.2019 წელს (ფართობი – 1 560 მ²) შესრულებულ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა.

ასევე დადგენილია, რომ ამავე სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2019 წლის 16 ოქტომბრის №13/115725 წერილით ეცნობა, რომ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ, ონის რაიონის, ...ის საკურებულოს, სოფელ ...ს 1997-2001, 2001-2005 წლების საკომლონი წიგნებში გ. გი-ს ძელ-ე/ლო-ე (დაბ. ... წელს), რეგისტრირებული არ არის. ...ის საკურებულოს 1992-1996, 2006-2007 წლების საკომლონი წიგნები, მიწის მიღება-ჩაბარების აქტები, მიწის განაწილების (იგივე სარეფორმო) და საგადასახადო სიები, ქუთაისის ცენტრალურ არქივში შესანახად არ შემოსულა.

რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით, გ. ლ-ეის 2019 წლის 26 სექტემბრის განცხადება და კმაყოფილდა და გაიცა ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად, უძრავ ნივთზე, მდებარე: ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ..., დაზუსტებული ფართობი: 1 560 კვ.მ., ს/კ ..., დარეგისტრირდა გ. ლ-ეის საკუთრების უფლება. ამონანერში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მიეთითა: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების აქტი №158; საარქივო ცნობა №13/115725, დამოწმების თარიღი: 16.10.2019 წელი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივი; სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი №03986, დამოწმების თარიღი: 31.10.2019 წელი, ონის მუნიციპალიტეტის მერია.

საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 10 დეკემბრის №429832 წერილის თანახმად, №... განცხადებაზე თანდართული აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიის მიხედვით წარმოდგენილ ტერიტორიაზე, სისტემური აღწერების შედეგად მიღებული დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების კომპიუტერული დამუშავების შედეგად მიღებული ინტეგრირებული გრაფიკულ მონაცემთა ბაზის მონაცემები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული არ არის. ამასთან, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის

ელექტრონული წიგნის მონაცემებით, უძრავი ნივთი, მდებარე: ონის რაიონი,..., საკადასტრო კოდით №..., რეგისტრირებულია დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით, რაც გულისხმობს, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები (მიწის ნაკვეთის საზღვრები და ადგილმდებარეობა სახელმწიფო კოორდინატთა სისტემის მიხედვით, ფართობი, კონფიგურაცია და სხვა) რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ამდენად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ინფორმაცია №... განცხადებაზე თანდართული აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიის მიხედვით წარმოდგენილი უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთისა) და №... საკადასტრო კოდით სისტემურად, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის იდენტურობის შესახებ. ამავე წერილში მითითებულია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგნენტოს არქივის სამსახურში დაცულ მიღება-ჩაბარების აქტების მასალებში ონის რაიონის სიფლე ...ში გ. ლ-ეის სახელზე გაცემული მიწის მიღება-ჩაბარების აქტი № 158 არ იქცნება. ამასთან, წერილში განმარტებულია, რომ უძრავ ნივთზე, საკადასტრო კოდით №..., გ. ლ-ეის იჯახის თანასაკუთრების უფლება დარეგისტრირდა სისტემურად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრირო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, მომზადებული და დაცულია მხოლოდ სააღრიცხვო პარათი და საკადასტრო რუკა.

საქმის მასალებში წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 18 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსპერტიზისათვის წარმოდგენილ, 2000 წლის 20 ივნისს მომზადებულ ს/კ №... მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე ასახული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია არ შეესაბამება მომდევნო ორ ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთების კონფიგურაციას. ექსპერტიზისათვის წარმოდგენილ, 2000 წლის 20 ივნისს მომზადებულ ს/კ №... მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე ასახული მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომები არ შეესაბამება წარმოდგენილ ნახაზზე (დანართი №2) ასახული მიწის ნაკვეთის საზღვრების ზომებს. წარმოდგენილ ნახაზზე (დანართები №2 და №3) არ არის მითითებული მიწის ნაკვეთების ფართობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ს/კ №... მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე მითითებული ფართობის შედარება, წარმოდგენილ ორ ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთის ფართობებთან ტექნიკურად შეუძლებელია. ექსპერტიზისათვის წარმოდგენილ ორ ნა-

ხაზზე (დანართები №2 და №3) დატანილი შენობა-ნაგებობა 01/2, 20.06.2000 წლის ს/კ №... მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკაზე მითითებული არ არის.

ასევე, საქმის მასალებში წარმოდგენილია სს „ე...ს“ 2020 წლის 19 თებერვლის წერილი, რომლის თანახმად, სს „ე...“ ფუნქციონირებს 2007 წლის ივნისიდან. შესაბამისად, წინა პერიოდის ინფორმაცია კომპანიას არ მოეპოვება. რაც შეეხება 2007 წლის შემდეგ პერიოდს, როგორც გ.ჩ-ე, ასევე რ.ჩ-ე, ონის რაიონის ...ის საკრებულოს სოფელ ...ში აბონენტად ფიქსირებული არ არის, ხოლო გ.ლ-ე რეგისტრირებულია 2012 წლის 26 მარტიდან. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გ.ლ-ეის დაბადების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო რეგისტრაციის მისამართი (რეგისტრაციის თარიღი: 28.10.1999წ.) – ქ. თბილისი, ..., მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებითად სადავო საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, თუ ვის ეკუთვნის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, მდებარე: ონის რაიონი, სოფელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ აღნიშნულ უძრავ ნივთზე გ.ლ-ეის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები და შესაბამისად, რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება იყო უკანონო და სააგენტოს დაავალა ახალი გადაწყვეტილების მიღება, მითითებულ უძრავ ნივთზე ვ.ჩ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არსებითად დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ მისივე განმარტებით, სადავო ქონებაზე დასტურდებოდა ვ.ჩ-ეის საკუთრების უფლება, გ.ლ-ე კი აღნიშნულ ქონებას ფლობდა არაუფლებამოსილ პირთან დადებული ფორმადაცველი (ზეპირი) გარიგების, ნასყიდობისა საფუძველზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ეკუთვნოდა არა გ.ლ-ეს, არა მე- ვ.ჩ-ეს, როგორც კომლის უფროსის და ერთადერთი წევრის – რ.ჩ-ეის პირველი რიგის მეტყვიდრეს, შვილს. აღნიშნული დასკვნა კი საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმარისად დასაბუთებული არ არის, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებული არ არის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ემყარება შესაბამის მტკიცებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სასამართლოს მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობაც ვერ იქნება მიჩნეული სათანადოდ და და-

საპუთებულად.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეგისტრში რეგისტრირებული არ არის, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან, თუკი საკომლო წიგნის საარქივო ჩანაწერებში მითითებული კომლის ყველა წევრი, 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გარდაცვლილია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მშობლების (იო. და ო. ჩ-ეების) გარდაცვალების შემდეგ, კომლის წევრი გახდა და მათ უძრავ-მოძრავ ქონებას ფაქტობრივად დაეუფლა შვილი – ჩ. ჩ-ე. რ. ჩ-ეს ონის რაიონის ...ის საკრებულოს სოფ. ...ში, როგორც კომლის უფროსს და ერთადერთ წევრს, მფლობელობაში გააჩნდა 1 508.60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამი) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული მამაპაპი-სეული საცხოვრებელი სახლი, აგებული 1918 წელს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ საარქივო (ცნობებზე, რომლითაც დგინდება, რომ კომლი, რომლის შემადგენლობაშიც (კომლის უფროსი) ბოლო მონაცემებით (1971-1975 წლების ჩანაწერით) შედიოდანენ მხოლოდ რ. ჩ-ეის მშობლები (ი. და ო. ჩ-ეები) და რომელსაც საკუთრებაში ერიცხებოდა უძრავი ქონება, ი. და ო. ჩ-ეების გარდაცვალების შემდეგ, 1976-1979 წლების საკომლო წიგნებში რეგისტრირებული არ არის. ამასთან, ...ის სასოფლო საბჭოს და საკრებულოს სოფელ ...ს 1986-1990 საკომლო წიგნებში კომლი, რომლის უფროსია რ. ი-ს ძე ჩ-ე/ჩ-ე, ჩანერილი არ არის, 1992-1996 წლების საკომლო წიგნები ქუთაისის ცენტრალურ არქივში შესანახად არ შესულა, 1997-2001 წლების საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ჩანერილია რ. ი-ს ძე ჩ-ე, 2001-2005 წლების საკომლო წიგნებში კი კომლი, რომლის უფროსია რ. ი-ს/ი-ს ძე ჩ-ე/ჩ-ე (დაბ. ... წელს), ჩანერილი არ არის. ამდენად, რ. ჩ-ე კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად დაფიქსირებულია მხოლოდ 1997-2001 წლების საკომლო წიგნში, თუმცა კომლს ქონება არ ერიცხება.

საკასაციო სასამართლო აქვე ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ 2019 წლის 22 ოქტომბრის სანოტარო წესით დამოწმებულ სამკვიდრო მოწმობაზე, რომლის თანახმად, რ. ჩ-ეის გარდაცვალებით, 2014 წლის 20 დეკემბერს გაიხსნა სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის ადგილია მაიაკოვსკი, ს. ამავე სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, ვ. ჩ-ე არის რ. ჩ-ეის პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი. მან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებ-

ლის კუთვნილი მთელი ქონება სრულად, მათ შორის უძრავ-მოძრავი სამკვიდრო ქონება, მასში შემავალი აქტივებით, პასივებით, ვალდებულებებით და უფლებებით, ასევე, მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ, მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში. ამავე სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია, რომ მემკვიდრემსამკვიდრო მიიღო ფაქტიური ფლობით, რაც დასტურდება №... საინფორმაციო ბარათით, გაცემული სსგს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 15.10.2019 წელს და №AA2019020773-03 საარქივო ცნობით, გაცემული საქართველოს იუსტიციისამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის მიერ 16.10.2019 წელს. მემკვიდრე და მამკვიდრებელი რეგისტრირებული არიან ერთ კომლში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ სამკვიდრო მოწმობის გამცემში ნოტარიუსმა სსგს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 15.10.2019 წლის №... საინფორმაციო ბარათისა და საქართველოს იუსტიციისამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის 16.10.2019 წლის №AA2019020773-03 საარქივო ცნობის (საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის) საფუძველზე დაადგინა, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო ფაქტიური ფლობით და მემკვიდრე და მამკვიდრებელი – რ. და ვ. ჩ-ები რეგისტრირებულნი იყვნენ ერთ კომლში. ამასთან, სამკვიდრო გაიხსნა სოფელ ...ში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეუძლებელია ერთი და იგივე პიროვნება ერთდორულად ირიცხებოდეს ორ კომლში და მით უფრო, ორივე კომლში ფლობდეს საკუთრებას. შესპაბამისად, თუკი რ. და ვ. ჩ-ები რეგისტრირებულნი იყვნენ ერთ კომლში, სოფელ ...ში, გაურკვეველია როგორ იყო რეგისტრირებული რ. ჩ-ე კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად სოფელ ...ში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და დაედგინა თუ რომელ წლებში და რომელ კომლში იყო რეგისტრირებული რ. ჩ-ე, ვინაიდან მემკვიდრეს ვერ წარმოეშობა უფლება იმ ქონებაზე, რომელიც მის მამკვიდრებელს სიცოცხლეში არ ეკუთვნოდა. ამასთან, უსაფუძვლოა სასამართლოს მიერ იმ ფაქტის უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიჩნევა, რომ ან გარდაცვლილი რ. ჩ-ე სიცოცხლეში აცხადებდა, რომ მას ადგილობრივი კომისიიდან მიღებული ჰქონდა მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების სახელმწიფო აქტი, მაგრამ იგი ვ. ჩ-ეის მიერ ოჯახში ვერ იქნა მოძიებული. საკასაციო პალატის განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ ონის რაიონის, ...ის სასოფლო საბჭოს, სოფელ ...ს 1954-1956 წლების საკომლო წიგნში რ. ჩ-ე (ჩ-ე) მშობლებთან, ძმასთან, რძალთან და ძმისშვილებთან ერთად ირიცხებოდა კომლის წევრად და კომლს საკუთრებაში ჰქონდა უძრავი ქონე-

ბა, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, რ. ჩ-ეს ამ ქონების მესაკუთრედ ავტომატურად არ აქცევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რ. ჩ-ე მშობლების სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ 1958-1960 წლებში უკვე ალარ ფიქსირდება ამ კომლის ზევრად, ოჯახის სხვა წევრები კი ამ პერიოდში კვლავ ფიქსირდებიან კომლის წევრებად. მეტიც, კომლს, რომლის უფროსად და ერთადერთ წევრად 1997-2001 წლების საკომლო ნიგნში დაფიქსირებულია რ. ჩ-ე, ქონება არ ერიცხება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რაც შეეხება სადავო უძრავ ქონებაზე გ. ლ-ეს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საქითხს, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მის სახელზე უძრავი ნივთის პირველადი რეგისტრაციის (2000 წელს) განხორციელების საფუძველი გახდა მიწის მიღება-ჩაბარების აქტი № 158, რაც მოძიებული ვერ იქნა, ხოლო დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაცია განხორციელებულია 2019 წელს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ მიწის წაკვეთების იდენტურობის დადასტურების საფუძველზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელიც მომზადებული იქნა სადავო უძრავ ნივთზე გ. ლ-ეს პირველადი და დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრაციისას წარდგენილი/მომზადებული საკადასტრო რუკების შედარების საფუძველზე და მათზე ასახული მიწის წაკვეთების კონფიგურაცია და საზღვრების ზომები არ დაემთხვა ერთმანეთს. მითითებულ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 10 დეკემბრის № 429832 წერილი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული ნიგნის მონაცემებით, უძრავი ნივთი, მდებარე: ონის რაიონი,..., საკადასტრო კოდით №..., რეგისტრირებულია დაზუსტებული საკადასტრო მონაცემებით, რაც გულისხმობს, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები (მიწის წაკვეთის საზღვრები და ადგილმდებარეობა სახელმწიფო კოორდინატთა სისტემის მიხედვით, ფართობი, კონფიგურაცია და სხვა) რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, აღნიშნული მიწის წაკვეთის ადგილმდებარეობა დაუდგენელია.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ თავად განმარტა დაუზუსტებელი რეგისტრაციის მნიშვნელობა და ამგვარი რეგისტრაციისას კონკრეტული მონაცემების (მიწის წაკვეთის საზღვრები და ადგილმდებარეობა სახელმწიფო კოორდინატთა სისტემის მიხედვით, ფართობი, კონფიგურაცია და სხვა) დაზუსტებული სახით რეგისტრაციის არარსებობის, შესაბამისად, მათი ცდომილების აღბათობის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, „სახელმწიფო

პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის (სადაც სამართალურო თერიტორიას დროს მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაედგინა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდებოდა მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა. აღნიშნულ უფლებამოსილებას კი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ახორციელებდა უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების საფუძველზე, მოწმეთა, მეზობელთა თანდასწრებით და მესაკუთრის მიერ უძრავი ნივთის ფაქტობრივი ფლობის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სადაც მიწის ნაკვეთზე გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე განხორციელებული იქნა 2000 წელს, თუმცა საქმეზე არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რაც ამავე პერიოდიდან მის მიერ აღნიშნული ქონების ფაქტობრივ მფლობელობას დაადასტურებდა. პირიქით, საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა (მოსარჩევე ვ. ჩ-ეის ახსნა-განმარტება, მოწმე გ. მ-ის ჩვენება, რ. ჩ-ეის კომლის არსებობის შესახებ საარქივო ცნობა, სს „ე...ს“ ცნობა, საარჩევნო ადმინისტრაციის ამომრჩეველთა სიიდან ამონანერი, საინფორმაციო (სამისამართო) პარათი გ. ლ-ეის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ა.შ.) ურთიერთშეჯერებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოს თვემდე რ. და ვ. ჩ-ები ახორციელებდნენ მამაპაპისეული საცხოვრებელი სახლის და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მოვლა-პატრონობას. ამავე თვეში რ. ჩ-ეის თხოვნით გ. მ-ის, როგორც სპეციალისტს, ადგილზე უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი უძრავი ქონების საკადასტრო-აზომვითი სამუშაოები, რასაც ხელი შეუშალა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია სს „ე...ს“ 2020 წლის 19 თებერვლის წერილი, რომლის თანახ-

მად, სს „ე...“ ფუნქციონირებს 2007 წლის ივნისიდან. შესაბამისად, წინა პერიოდის ინფორმაცია კომპანიას არ მოეპოვება. რაც შეეხება 2007 წლის შემდეგ პერიოდს, როგორც გ. ჩ-ე, ასევე რ. ჩ-ე, ონის რაიონის ...ის საკრებულოს სოფელ ...ში აბონენტად ფიქსირებული არ არის, ხოლო გ. ლ-ე რეგისტრირებულია 2012 წლის 26 მარტიდან. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გ. ლ-ე ის დაბადების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო რეგისტრაციის მისამართი (რეგისტრაციის თარიღი: 28.10.1999წ.) – ქ. თბილისი, ..., მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა

ამდენად, მითითებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ლ-ე სადაც უძრავ ნივთს ფაქტობრივად ფლობდა სს „ე...ს“ აბონენტად რეგისტრაციის დღიდან, ანუ 2012 წლის 26 მარტიდან. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ გ. ლ-ე დაბადებული და რეგისტრირებულია ქალაქ თბილისში, რაც მის მიერ სადაც უძრავი ნივთის ფაქტობრივი ფლობის დამაბრკოლებელ გარემოებად იქნა მიჩნეული. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მოწმის ჩვენების საფუძველზე, უდავოდ დადგენილად მიიჩნია სადაც უძრავი ნივთის კონკრეტულ დრომდე, 2008 წლის აგვისტომდე რ. და გ. ჩ-ების მიერ ფაქტობრივად ფლობის ფაქტი, იმ პირობებში, როდესაც არც ალნიშნული პირების რეგისტრაციის მისამართს წარმოადგენდა ონის რაიონი, სოფელი ... და ისინი სს „ე...ს“ აბონენტებად არასოდეს ყოფილან რეგისტრირებულები. აქვე აღსანიშნავია, რომ კასატორის – ონის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, გამრიცხველიანება ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში 2012 წლამდე არ არსებობდა, შესაბამისად, მანამდე გ. ლ-ე აბონენტად ვერ იქნებოდა აყვანილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, არ გამომდინარეობს საქმეში არასებული ფაქტობრივი გარემოებებიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ალნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სადაც მიწის ნაკვეთზე გ. ლ-ე ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელებულია არარსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღება-ჩაბარების № 158 აქტის საფუძველზე, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ სადაც აქტების ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძვლად არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი ვ. ჩ-ე-ის მიერ გასაჩივრებული იყო მოცემული დავის ფარგლებში, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული მოთხოვნა არ დაემაყოფილდა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში აღარ გასაჩივრებულა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ის ფაქტი, რომ მიღება-ჩაბარების აქტი № 158 ვერ იქნა მოძიებული, ამ აქტის საფუძ-

ველზე განხორციელებული – გ. ლ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის უპირობო საფუძველს არ წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება მარეგისტრირებელი ორგანოსთვის სადაცო უძრავ ნივთზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, რომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ დაადგინა არსებობდა თუ არა აღნიშნულ უძრავ ნივთზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოშობს შესაბამისი უფლების დამდგრენი დოკუმენტი, მოცემულ შემთხვევაში კი, საქმის მასალებში მოსარჩელის ან მისი მამკვიდრებლის სახელზე გაცემული ონის რაიონის სოფელ ...ში მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ მოიპოვება, ამავე სოფლის საკომლო წიგნის ჩანაწერებით ვარსაგადა ან რ. ჩ-ეს ონის რაიონის სოფელ ...ში უძრავი ქოჩება არ ერიცხება, მეტიც, საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობის თანახმად, რ. და ვ. ჩ-ები რეგისტრირებული არიან ერთ კომლში, ბალდათის რაიონის სოფელ ...ში, რის გამოც რ. ჩ-ეის სამკვიდრო გაიხსნა ამავე სოფელში და მეტკვიდრე – ვ. ჩ-ემ იგი ფაქტობრივი ფლობით მიიღო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და გამოიკვლიოს სადაცო უძრავ წიგთზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების დამდგრენი დოკუმენტის არსებობის საკითხი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, ს 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება

საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine გვ. 55-62). სასამართლოს აქვთ ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაყეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic § 59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ საქმეზე № 985(კ-20), 2021 წლის 24.11.2021 წ.).

საკასაციო პალატა აქვე საკასაციო საჩივრიზე კასატორის – გ. ლეის მიერ დართულ ფოტოსურათებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საკალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამდენად, საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს დაუშვებელია ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქ-

ტოპრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებების მიღების შე-საძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება (გასაჩივრებულ ნაწილში) არ არის დასაბუთებული, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამდღვრებს, სახეზე 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება, მითითებულ ნაწილში, იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც თავის მხრივ, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილში საქმის საპელაციო სასამართლოსათვის ხელალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ეის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1, 3.2, 3.3 და 3.4 ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი გ. ლ-ეის სახელზე 2000 წლის 20 ივნისს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ონის რაიონის ზონის რეგისტრატორის 6.ს-ის მიერ გაცემული №...0 მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნო-

ბილი ონის რაიონის სოფელ ...ში არსებული, დაუზუსტებელი ფართობის 1 560 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში (ს/კ №..., ნაკვეთის ნინა № ...); ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ...ის ადმინისტრაციულ ერთეულში ონის მუნიციპალიტეტის მერის ნარმომადგენელ პ. ჯ-ეის მიერ შედგენილი 2019 წლის 31 ოქტომბრის №03986 ოქმი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების შესახებ და ონის მუნიციპალიტეტის მერის – ე. ს-ეის 2019 წლის 26 ნოემბრის №257 ბრძანება საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (სააღრიცხვო ბარათი, ს/კ №...) გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის და შპს „მ...“-ის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს შესრულებულ საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთის 1 560 კვ. მეტ-რიდან 1508.60 კვ.მ მეტრის იდენტურობის ნაწილში; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 ნოემბრის № ... გადაწყვეტილება სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ. კერძოდ, იგი ბათილად იქნა ცნობილი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში არსებული დაზუსტებული ფართობის 1 560.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთიდან 1508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გ. ლ-ეის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში (ს/კ №..., ნაკვეთის ნინა №...); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 1 508.60 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე ვ. ჩ-ეის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. სასამართლოს ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უძრავ ქონებაზე სახელმიწოდო პროექტის ფარგლებში
ცვლილების რეგისტრაციის საფუძველი; სასაჩივალო
მოთხოვნის ტრანზონების აუცილებლობის საკითხი**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ ბს- 171(კ-22)

23 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღნილობითი ნაწილი:

მ. გ-ემ 2017 წლის 27 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოპასუხე-
თა წრისა და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა
სარეგისტრაციი წარმოების მიმდინარეობის შესახებ სისპ საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენ-
ტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპ-
რილის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილ-
ვაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილე-
ბის, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის
19 ივნისის №... გადაწყვეტილებისა და რეგისტრაციის შესახებ საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსა-
ხურის 2012 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.
მოსარჩელემ ასევე მოითხოვა გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკურე-
ბულოს მიერ გ. გ-ას სახელზე გაცემული 1999 წლის 1 მაისის №24² მი-
ღება-ჩაბარების აქტის და ც. ნ-ის სახელზე გაცემული 1999 წლის 1 მა-
ისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის კომ-
ლის წევრია, ისევე როგორც მისი ან გარდაცვლილი მშობლები იყვნენ.
იგი დაიბადა და გაიზარდა გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში, მე-7 ქუჩა,
№8 სახლში, რომელიც მეკვიდრეობით ერგო საკუთრებად. მოსარჩე-

ლე ალნიშნავს, რომ საქართველოში მიმდინარე მიწის რეფორმის დროს 1993 წლის 25 ოქტომბრის სოფელ ...ის საკრებულოს №47 გადაწყვეტილებით გამოეყო 3500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაზედაც გაფორმდა 1994 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი №25, შედგა შესაბამისი ნახაზი და ცნობა №114 (10.04.2006), რომლის პირველადი რეგისტრაცია განხორციელდა 2007 წლის 12 ოქტომბერს და გაიცა ამონაწერი საკადასტრო კოდით

მოსარჩელის მითითებით, მიწის დაზუსტებული აზომვითი ნახაზის საჯარო რეესტრში წარდგენისას გახდა მისთვის ცნობილი, რომ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილი იყო გასხვისებული. მოსარჩელის მოსაზრებით, არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი მიწის სადაცო მიღება-ჩაბარების აქტების სიყვალეზე. გასაჩივრებულ აქტებზე დატანილი მიწის ნაკვეთები, თავის საზღვრებიდან გამომდინარე, შემსებლობაში არ არის მ. გ-ის ნაკვეთის საზღვრებთან, კერძოდ, მოსარჩელეს ესაზღვრება №28 და №26 მიწის ნაკვეთები, გზა და ქარსაცავი ზოლი, ხოლო გ. გ-ას კუთვნილ მიწის ნაკვეთს ესაზღვრება №26¹, №27, №32 ნაკვეთები და გზა. მისი განმარტებით, ნაკვეთი გაიცა 1994 წელს და იმავე საზღვრებში დაუშვებელი იყო სხვა მიწის ნაკვეთის გაცემა. მოსარჩელე დღემდე ფლობს თავის ნაკვეთს და აღნიშნავს, რომ სადაცო ტერიტორიაზე არავინ უნახავს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უნევს ისრაელის რესპუბლიკაში ყოფნა, საქართველოში აქვს სახლი და განმარტავს, რომ არავის აქვს უფლება ხელყოს მისი საკუთრება.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოში მიწის რეფორმის დროს, კერძოდ, მაშინ, როცა საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მებალეობების გაუქმების შემდეგ მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის მოწესრიგების მიზნით შეიქმნა შესაბამისი საჯარო სამსახურები, მიწის მართვის დეპარტამენტები, სამინისტროები, საკადასტრო განყოფილებები და ა.შ., რომელთაც დაეკისრათ პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც მიწა უნდა მიეღო, ისინი დაიყვნენ სამი ტიპის კატეგორიად: პირველი კატეგორია – მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულები სოფლის მეურნეობაში – 1 კომლზე 1.25 ჰა, მეორე კატეგორია – კომლი, ვინც არ იყო ჩართული სოფლის მეურნეობაში, მაგრამ იყო კომლის ნევრი – 0,75 ჰა, მესამე კატეგორიას მიეკუთვნა მოქალაქეები, ვინც ცხოვრიბდა ქალაქში – 0,25 ჰა ოდენობით. მიწები, რომლებიც კერძო კომლთა მფლობელობაში იყო, ჩაითვალა საერთო ფართის შემადგენელ ნაწილად. მოსარჩელის მითითებით, ამ კანონში შევიდა არაერთი ცვლილება და გაიზარდა ფართობები და ცხადია მიწის მიღება-ჩაბარების აქტები ფაქტობრივად წარმოადგენდა პირველად დოკუმენტებს, რომლითაც იწყებოდა მიწის რეფორმისა და განაწილების საწყისი ეტაპი. შემდგომი ეტაპი იყო მიღება-ჩაბარების

აქტიებით გადაცემულ მინის კონკრეტულ ნაკვეთებზე საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა. მ. გ-ის მითითებით, საქმეში არ მოიპოვება ზემოთ მითითებულ პირთა სახელზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობები, რომელშიც მიწის ნაკვეთის ფართობი, მდებარეობა ან თუნდაც კონფიგურაცია დაემთხვეოდა მათ მიერ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მიწის ნაკვეთების შესაბამის მონაცემებს. ასევე, დადასტურებულია, რომ არც გ. გ-ა და არც ც. ნ-ე სოფელ ...ის კომლის წევრები არ არიან. ამასთან, მოსარჩელეს მიწის ნაკვეთი გადაეცა 1994 წელს, ხოლო გ. გ-ას და ც. ნ-ეს – 1999 წელს. მოსარჩელის განმარტებით, მისი მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია არ შეცვლილა. შესაბამისად, საჯარო რეესტრს სადაც ნაკვეთების რეგისტრაციის დროს უნდა ემსჯელა ამ საკითხებზე და დაედგინა სადაც ნაკვეთების ადგილმდებარება, რაც არ განუხორციელებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივნისის განჩინებით, მ. გ-ის სარჩელი, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მექანიზმების პირებად ჩატარებული ც. ნ-ე და გ. გ-ა, ხოლო 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით – ე. გ-ა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით, საქმეში მოპასუხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს 1993 წლის 25 ოქტომბრის №47 გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. გ-ეს 1994 წლის 2 მაისს №25 მიღება-ჩაბარების აქტით გამოეყო მიწის ნაკვეთი 0,60 ჰექტარი ორ ნაკვეთად, 0,25 და 0,35 ჰა. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება №28 მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – №26 მიწის ნაკვეთი, აღმოსავლეთით – გზა და დასავლეთით – ქარსაფარი. საკრებულოს ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე, ც. ნ-ეს 1999 წლის 1 მაისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტით გამოეყო 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება №26 მიწის ნაკვეთი, სამხრეთით – №25 მიწის ნაკვეთი, აღმოსავლეთით – გზა და დასავლეთით – №32 მიწის ნაკვეთი, ხოლო გ. გ-ას 1999 წლის 1

მაისის №24² მიღება-ჩაბარების აქტით გამოყოფილი 0,15 პა მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება №27 მიწის ნაკვეთი, სამხრეთით №26 მიწის ნაკვეთი, აღმოსავლეთით – გზა და დასავლეთით – №32 მიწის ნაკვეთი. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 26 სექტემბერს გარდაპირის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი) დარეგისტრირდა საკუთრების უფლება ც. ნ-ის სახელზე. უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს 1999 წლის 1 მაისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტი. 2007 წლის 26 სექტემბერს გარდაპირის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი) საკუთრების უფლება ასევე დარეგისტრირდა გ. გ-ას სახელზე. უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს 1999 წლის 1 მაისის №24² მიღება-ჩაბარების აქტი. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 12 ოქტომბერს, გარდაპირის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 3500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი) დარეგისტრირდა საკუთრების უფლება მ. გ-ის სახელზე. უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს 1994 წლის 2 მაისის №25 მიღება-ჩაბარების აქტი და 2006 წლის 10 აპრილის №114 ცნობა. 2012 წლის 18 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გ. გ-ამ, გარდაპირის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ ...) მიყიდა ც. ნ-ეს. რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 ივნისს №... გადაწყვეტილებით, უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა ც. ნ-ის საკუთრების უფლება.

საქმეზე ასევე დადგენილია, რომ 2016 წლის 1 დეკემბერს საჯარო რეგისტრის ეროვნული

სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს №... სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა მ. გ-ის წარმომადგენელმა – მ. ლ-მა და მოითხოვა გარდაპირის რაიონში, სოფელ ...ში ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაცია. საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2016 წლის 7 დეკემბრის №... სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და საჯარო რეგისტრში ... (მესაკუთრე ი. მ-ე), ... (მესაკუთრე ც. ნ-ე) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, კერძოდ, განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამებოდა მომიჯნავე უძრავი ნივ-

თის საკადასტრო მონაცემებს და მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. შესაბამისად, წარსადგენი იყო კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი. დაინტერესებულ პირს აღნიშნულის თაობაზე ასევე ეცნობა 2017 წლის 6 იანვრის №... გადაწყვეტილებით. ამასთან განემარტა, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა არ დაადასტურა უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა.

მ. გ-ის წარმომადგენელმა 2017 წლის 6 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა №... ადმინისტრაციული საჩივარი და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 7 თებერვლის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი წანილობრივ და კამაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ №... გადაწყვეტილება და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით დაევალა სარეგისტრაციო წარმოების განახლება და სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ ახალი გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებების შესაბამისად. გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 აგვისტოს №153 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესი“ მხარეთა შორის დავის გამოვლენის შემთხვევაში ითვალისწინებს ამ დავის გადასაწყვეტად სააგენტოს მიერ სავალდებულო წესით სანოტარო მედიაციისთვის მიმართვას, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარდგენასთან ერთად (ვინაიდან არ არსებოდა მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობა), სარეგისტრაციო მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებით დაინტერესებული პირისათვის ასევე უნდა შეეთავაზებინა 3 სამუშაო დღის ვადაში მედიატორების/მედიატორი ნოტარიუსების სიიდან მედიატორი/მედიატორი ნოტარიუსის შერჩევა, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდება მხარეთა მიერ მედიატორის/მედიატორ ნოტარიუსის შერჩევა მედიატორს/მედიატორ ნოტარიუსს ირჩევს სააგენტო.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 8 თებერვლის №... სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციი-

ის სამსახურის 2016 წლის 7 დეკემბრის №... სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილება და განახლდა სარეგისტრაციო წარმოება. სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალური ზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 8 თებერვლის №... გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ სარეგისტრაციო წარმოების შესახებ განვითარება, რომ თუ იგი ეთანხმებოდა იმ მინის ნაკვეთების (ს/კ..., მესაკუთრე ი. მ-ე და ს/კ..., მესაკუთრე ც. ნ-ე) კონფიგურაციას და მდებარეობას, რომლებთანაც ფიქსირდებოდა სარეგისტრაციო წარმოების შედეგების მონაცემების ზედდება. დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ თუ იგი ეთანხმებოდა იმ მინის ნაკვეთების (ს/კ..., მესაკუთრე ი. მ-ე და ს/კ..., მესაკუთრე ც. ნ-ე) კონფიგურაციას და მდებარეობას, რომლებთანაც ფიქსირდებოდა სარეგისტრაციო წარმოების შედეგების მონაცემების ზედდება, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო კორექტირებული აზომვითი/გეგმვითი ნახაზი. იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეთანხმებოდა რეგისტრირებული მინის ნაკვეთების მდებარეობას და კონფიგურაციას, სარეგისტრაციო წარმოების ვადაში უფლებამოსილი იყო წარედგინა ინფორმაცია დავის არსებობის შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალური ზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებით, დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ №... განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოებილი ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. 2017 წლის 19 მაისს, მ. გ-ის წარმომადგენელმა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა №... ადმინისტრაციული საჩივარი 2007 წლის 26 სექტემბრის №..., 2007 წლის 26 სექტემბრის №... და 2012 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილებებისა და სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ 2017 წლის 18 აპრილის №... გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილებით მ. გ-ეს უარი ეთქვა 2017 წლის 19 მაისის №... ადმინისტრაციული საჩივარის განხილვაზე, 2007 წლის 26 სექტემბრის №... და 2012 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში იმ საფუძვლით, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებზე (№... (26.09.2007), №... (26.09.2007) და №... (25.07.2012) „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მოქმედებს უტყუარობის პრეზუმაცია, ვიდრე საქართველოს კანონმდებ-

ლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. ამასთან, განიმარტა, რომ დასახელებული კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. დადგენილია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილებით, მ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... სარეგისტრაციო ნარმობრის მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილ და სააგენტოში რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედდება.

ასევე დადგენილია, რომ რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრაციის შესახებ 2017 წლის 8 ნოემბრის №... და 9 ნოემბრის №... გადაწყვეტილებებით, გარდაბნის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე ს/კ ... და ს/კ ... უძრავ ნივთებზე, 2017 წლის 6 ნოემბრის ნაცემდობის ხელშეკრულებების საფუძვლზე დარეგისტრირდა ე. გ-ას საკუთრების უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მინის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ გადასცა, ხოლო პირმა ჩაბარა მინის ნაკვეთი, რითაც ორივე მხარის ნება გამოვლინდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა მოწესრიგებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, კერძოდ, გ. გ-ას სახელზე 1999 წლის 1 მაისის №24' მიღება-ჩაბარების აქტით და ც. ნ-ის სახელზე 1999 წლის 1 მაისის №24' მიღება-ჩაბარების აქტით, რომლებიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქმის განმხილველმა სასამართლომ, მოსარჩელის მსჯელობაზე მიღება-ჩაბარების აქტების სიყალბესთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარდგენილა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის №503 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მინის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა მინათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითად საფუძველის დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითად საფუძ-

ველს. სადავო საკითხზე მსჯელობის ფარგლებში, ასევე ყურადღება გამახვილდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქისათვის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულებაზე, კერძოდ, იმ ჩანაწერზე, სადაც მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი საკმარისი იყო მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია გ. გ-ას და ც. ნ-ის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტების უკანონობასთან დაკავშირებით იმ საფუძველზე მითითებით, რომ ისინი არც კომლის წევრებიდა არც ...ის თანამშრომლები ყოფილან. სასამართლომ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის № 148 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლით განერილრეგულაციაზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია დასახელებული დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება რაც მათ უკანონობას დაადასტურებდა, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა. შესაბამისად, მოსარჩელის წარმომადგენელთა მითითება გ. გ-ას და ც. ნ-ის სახელზე მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების კანონიერი საფუძვლის არარსებობის შესახებ, სასამართლოს მოსაზრებით, წინააღმდეგობაშია „საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში/დაბებში/ მცხოვრებთათვის მინის ნაკვეთების გამოყოფის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის № 148 დადგენილების მიზანთან რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობისაგან განტვირთვისა და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების გაუმჯობესების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დაინტერესებულ პირს – მოსარჩელეს ეცნობა, რომ №... განცხადებაზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი და ... და ... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა დროის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოშობილი სხვადასხვა პირის საკუთრების უფლება. ერთ-ერთი მათგანის დაზუსტებული მონაცემების რეგისტრირებამ გამორიცხა შემდგომში მეორე პირის მიერ წარდგენილი მონაცემების დარეგისტრირე-

ბა. პირველი ინსტანციის სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით განმარტა, რომ ურთიერთდაპირის პირებული ჩანაწერების არსებობასთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინამდებარების რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას. ამავე დროს, აღნიშნა, რომ რეესტრითა ჩანაწერების კონკურენციისას რეესტრის სანდოობა ვერ იმოქმედებს.

სასამართლომ, მხარეთა ახსნა-განმარტებების და საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულების ერთობლივიანალიზის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 26 სექტემბერს, 1999 წლის 1 მაისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი) დარეგისტრირდა საკუთრების უფლება (ც. ნ-ის სახელზე). ხოლო 2007 წლის 26 სექტემბერს, გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (დაუზუსტებელი) 1999 წლის 1 მაისის №24² მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დარეგისტრირდა საკუთრების უფლება გ. გ-ას სახელზე. სასამართლომ მიუთითა, რომ 2012 წლის 18 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. გ-ამ 1488 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე გარდაბნი, სოფელი ...ის /კ ... 3300 ლარად გადასცა (ც. ნ-ეს, ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 25 ივლისს №... გადაწყვეტილებით აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა (ც. ნ-ის საკუთრების უფლება. მოგვიანებით, რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალური რეგისტრაციის სამსახურის რეგისტრაციის შესახებ 2017 წლის 8 ნოემბრის №... და 2017 წლის 9 ნოემბრის №... გადაწყვეტილებებით, გარდაბნის რაიონში, სოფელ ...ში მდებარე ს/კ ... და ს/კ ... უძრავ ნივთებზე, 2017 წლის 6 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე დარეგისტრირდა ე. გ-ას საკუთრების უფლება. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსარჩელის უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებულია 2007 წლის 12 ოქტომბერს, ე.ი. მესამე პირთა საკუთრების რეგისტრაციის შემდგომ. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონიერად იქნა მიჩნეული რეგისტრაციის შესახებ 2012 წლის 25 ივლისის №... გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ამასთან, დასახელებული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია გარიგების საფუძველზე, ხოლო ე. გ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი ძალაშია, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან, მოსარჩელის უფლების დამდგენი დოკუმენტები, მათ შორის, 2017 წლის 6 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებები და რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 8 ნოემბრის №... და 2017 წლის 9 ნოემბრის №... გადაწყვეტილები სადაციდა არ გაუხდია, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მათი კანონიერების შესახებ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილებაზე და განმარტა, რომ მ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი სარეგისტრაციის წარმოების მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციო წარდგენილ და სააგენტოში რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედამდებარება. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიღებულ იქნა სადაც გადაწყვეტილება და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს მსჯელობით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილება მიჩნეულ იქნა კანონიერად, არ არსებობდა საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილების გაუქმების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილებით მ. გ-ეს უარი ეთქვა 2017 წლის 19 მაისის №... ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე რეგისტრაციის შესახებ 2007 წლის 26 სექტემბრის №..., 2007 წლის 26 სექტემბრის №... და 2012 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში იმ საფუძვლით, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მოქმედებს უტყუარობის პრეზუმეცია, ვიდრე სა-

ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, მესამე პირის – გ. გ-ას გარდაცვალების გამო, სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 22 სექტემბრის განჩინებით, გ. გ-ას უფლებამონაცვლედ დაფინდა ც. ნ-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილებულად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სადაც საკითხზე მსჯელობის ფარგლებში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მ. გ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი სარჩელით დაფიქსირებულ სასარჩელო მოთხოვნებზე და გასაჩივრებული აქტების, მათი საფუძვლების შესწავლის, ასევე მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არაჯეროვნად იქნაშესრულებული ადმინისტრაციული სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპი ინკვიზიციურობის თაობაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ ფორმულირებულ სასარჩელო მოთხოვნათა (გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს მიერ გ. გ-ას სახელზე 1999 წლის 1 მაისის №24² მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად (ცნობა, გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს მიერ ც. ნ-ის სახელზე 1999 წლის 1 მაისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად (ცნობა) საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული მიღება-ჩაბარების აქტების გამოცემის საფუძველი – გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს 1993 წლის 25 ოქტომბრის №47 გადაწყვეტილების კანონიერება სადაცოდ არ არის გამხდარი მოსარჩელე მხარის მიერ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ საკითხზე განვითარებული მსჯელობა მასზედ, რომ მიღება-ჩაბარების აქტების საფუძვლის – გარდაბნის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს

1993 წლის 25 ოქტომბრის №47 გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობა წარმოადგენს სადაც მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობაზე უარის თქმის საფუძველს და მიიჩნია, რომ სასამარჩელო მოთხოვნა მსგავსი ფორმულირებით არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი და ხანდაზმულობის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე მითითებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ, ვინაიდან რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 25 ივლისის №... გასაჩივრებული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით ძალადაკარგულია გარიგების საფუძველზე, ხოლო ე. გ-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი ძალაშია, არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ, საკუთრების უფლების რეგისტრაციის ცნებაში მოიაზრება ნივთზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიცირებით მონაცემების შესაბამის რეგისტრში აღრიცხვა რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ხოლო თუ რა მოიაზრება თავად სარეგისტრაციო დოკუმენტში, განმარტავს მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, იგი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით, პალატამ აღნიშნა, რომ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მის საფუძვლად არსებული დოკუმენტების შესწავლის გზით, თუმცა იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მას სადაც დადგის, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე, ვინაიდან სასამართლო არ არის უფლება-

მოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. იმ პირობებში კი, როდესაც რეგისტრაციის საფუძველი სადაც არ არის გამხდარი, იგი მიიჩნევა კანონშესაბამის აქტად, მის საფუძველზე გამოცემული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ასევე ითვლება კანონშესაბამის სამართლებრივ აქტად, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი უფლების რეგისტრაციის დროს ადგილი აქვს პროცედურულ დარღვევებს.

სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე ყურადღების გამახვილებით აღნიშნავს, რომ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, თუკი სასარჩელო მოთხოვნა ფორმულირებული სახით არ ასახავს მოსარჩელის ნებას, მის იურიდიულ ინტერესს, სასამართლო უნდა დაეხმაროს მას მოთხოვნის ფორმულირებაში, თუმცა აღნიშნული, სასამართლოს მითოების შემდგომ, უნდა განახორციელოს თავად მოსარჩელე მხარემ. განსხილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ისე ითხოვს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომ ის სამართლებრივი დოკუმენტი – მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედო უფლების რეგისტრაციას, სადაც უნდა არ აქვს გამხდარი. ხსენებული რეგისტრაციის კანონიერების შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მის საფუძვლად მითითებული დოკუმენტის კანონიერების შეფასებით. აღნიშნული კი ვერ განხორციელდება მასზე სარჩელის წარუდგენლობის პირობებში. მაშინ, როდესაც არ არის დადასტურებული დოკუმენტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია ყოველთვის ჩაითვლება არსებითად კანონშესაბამის აქტად, თუკი ადგილი არ აქვს აქტის გამოცემისათვის კანონით დადგენილ პროცედურულ დარღვევებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალი ზებული რეგისტრაციის სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილების და 2017 წლის 19 ივნისის №... (საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) გადაწყვეტილების ბეჭი დამოკიდებულია წინამორბედ სასარჩელო მოთხოვნებზე დამდგარ შედეგზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სწრაფი, ჯეროვანი და შედეგზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით არსებითად მნიშვნელოვანია, თუ რა ფორმის სარჩელს წარადგენს მოსარჩელე. სარჩელის ფორმა კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მას. სწორედ მოსარჩელის მიზანი განსაზღვრავს თუ რა სახის სარჩელი და მოთხოვნები იქნება წარდგენილი სა-

სამართლოში. მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხსიათისა და სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებელობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეებს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოთხოვდა. მაშინ, როდესაც მხარე პროცესუალურად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას, პროცესის ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსამარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების დასაცავად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი იმის გამო, რომ სასამარჩელო მოთხოვნა ვერ იქნა ჩამოყალიბებული, შესპამისად, მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა შესთავაზოს მოსამარჩელეს, მოახდინოს მოთხოვნის ტრანსფორმირება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად უნდა მოიპოვოს გ. გ-ას, ც. ნ-ისა და მ. გ-ის უფლების დამდგენი დოკუმენტები, ერთმანეთს უნდა შეადაროს ისინი, რა დროსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლების დამდგენ წინმსწრებ დოკუმენტს.

სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ ყოველთვის არა შესაძლებელი საკითხის გადაწყვეტა; მითითებული ნორმის ჩანაწერი – სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი – არ გულისხმობს იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ვალდებულება საქმის სრულყოფილად გამოკვლევისა და გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების თაობაზე, შესაძლოა სრულად ჩანაცვლდეს სააპელაციო სასამართლოს, როგორც ფაქტების დადგენაზე პროცესუალურად ასევე უფლებამოსილი სასამართლოს მიერ; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი გაგება ენინააღმდეგება ნორმის მიზანს, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ვალდებულებასა და ინსტანციურობის პრინციპს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2022 წლის 18 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. გ-ას საკასაციო საჩივარი.

კასატორის განმარტებით, იგი უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძებია, მისთვის უცნობი იყო ქონების ირგვლივ რაიმე სახის დავა თუ არსებობდა. კასატორი მიიჩნევს, რომ სარეგისტრაციო ჩანაწერი მის ნაწილში სწორია და დავას არ ექვემდებარება. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მოსარჩელისათვის სასამარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირებაში დახმარების გაუქვასთან დაკავშირებით, კერძოდ, კასატორისათვის გაუგებარია აღნიშნული, ვინაიდან რეგისტრაციის საფუძველს – მხარეთა შორის დადგებულ ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას მოსარჩელე ვერ მოითხოვდა ადმინისტრაციული წესით. სასამართლოს მხოლოდ უნდა გამოერკვია რამდენად სწორად არის შესრულებული სადაც აღნიშნული რეგისტრაციები. კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად შეისწავლა საქმის მასალები, ხოლო სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ და უსაფუძვლოდ დააბრუნა ხელახლა განსახილველად და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდება მ. გ-ის სარჩელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ივნისის მიზნებით განჩინებით გ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადაც ხდის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალური ინსტანციის მიზნების სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის №... გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდი-

ული დეპარტამენტის 2017 წლის 25 მაისის №... გადაწყვეტილების, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის 2017 წლის 19 ივნისის №... გადაწყვეტილებისა და რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 25 ივნისის №... გადაწყვეტილების, ასევე, გარდაბნის რაიონის სოფელი ...ის საკრებულოს მიერგ. გა-ას სახელზე გაცემული 1999 წლის 1 მაისის №24² მიღება-ჩაბარების აქტის და ც. ნ-ის სახელზე გაცემული 1999 წლის 1 მაისის №24¹ მიღება-ჩაბარების აქტის კანონიერებას. საჯარო რეგისტრის სადაცვო აქტების თანახმად, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა გარდაბნის რაიონში, სოფელ ...ში მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სარეგისტრაციოდ ნარდგენილ და სააგენტოში რეგისტრირებული უძრავი ნივთების საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ზედდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინებით კი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მთავარ შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს, რამდენად არსებობდა ხსენებულ საქმეზე, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ხელახლა განსახილველად საქმის პირველი ინსტანციისათვის დარუნების საფუძვლები.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მითითებებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად დაედო უფლების რეგისტრაციას, სადაცვოდ არ არის გამხდარი. ხსენებული რეგისტრაციის კანონიერების შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მის საფუძვლად მითითებული დოკუმენტის კანონიერების შეფასებით. აღნიშნული კი ვერ განხორციელდება მასზე სარჩელის წარუდგენლობის პირობებში. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველს სადაცვოდ არ ხდის, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს რეგისტრაციის სა-

ფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებაზე, ვინაიდან სასამართლო არ არის უფლებამოსილი გას-ცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად უნდა მოიპოვოს გ. გ-ას, ც. ნ-ისა და მ. გ-ის უფლების დამდგენი დოკუმენტები და ერთმანეთს უნდა შეადაროს ისინი, რა დროსაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლების დამდგენ წინმდებრებ დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში, მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებით განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალნარმოების თავისებურებები და განსხვავებები სამოქალაქო სამართალნარმოებისგან. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სასამართლო აღჭურვილია ფართო ოურისდიქციით, რაც უფლებამოსილს ხდის მას, გადაწყვიტოს ხებისმიერი კონფლიქტი საჯაროდანესებულებებთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში. ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალნარმოებისგან, მოსამართლე აღჭურვილია უფლებამოსილებით, თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, ჩართოს საქმეში მესამე პირები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისას, რამეთუ პირი უპირისპირდება ადმინისტრაციულ ორგანოს და გარკვეულწილად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება. ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქცია ხელს უწყობს სასამართლოში მხარეთა შესაძლებლობების პროცესუალურ გათანაბრებას. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებებითუ მტკიცებულებები. ისინი თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). ხოლო სასამართლოს აქტიური როლი არ ეწინააღმდეგება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან სასამართლოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილება განპირობებულია საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, კანონიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობით, მხარეთა საპროცესო უფლებების ჯეროვანი განხორციელების წინაპირობების შექმნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსარჩელის მხრიდან ეფექტური შედეგის მიღწევისათვის მოთხოვნის ტრანსფორმირების ინსტიტუტს, რაც წინშავს იმას, რომ სასამართლო, პროცესის დაჩქარების მიზნით, მხარეს

ეხმარება მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში, რათა უფექტურად და-იცვას უფლება. სასამართლო, დაჩქარებული საქმისწარმოების მიზნით იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო მიუხედავად მისი აქტიური როლისა უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, უფრო კონკრეტულად, აღნიშნული ნორმის რეალიზებისას, სასამართლომ უნდა დაიცვას ორი პირობა: 1. სარჩელის ტრანსფორმირება უნდა ემსახურებოდეს პროცესის დაჩქარებას და 2. სარჩელის ტრანსფორმირებისას მოსამართლე არ უნდა გასცდეს სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს. ამრიგად, მიუხედავად ადმინისტრაციულ პროცესში გათვალისწინებული სარჩელის ტრანსფორმირების შესახებ ჩანაწერისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოქმედებით, რომლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლომ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი.

ნიშანდობლივია, რომ კანონმდებლის მიზანი – სარჩელის ტრანსფორმირება უნდა ემსახურებოდეს პროცესის დაჩქარებას, გამომდინარეობს საპროცესო ეკონომიკის პრინციპიდან, და უზრუნველყოფს სასამართლო წესით უფლების დაცვას გონივრულ ვადაში. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების შეცვლისას სავალდებულოა, ეს განახორციელოს მოსარჩელემ სასამართლოს დახმარებით; სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მოსარჩელის წების გარეშე თვითონ შეასრულოს სასარჩელო მოთხოვნის ახალი ფორმულირება და იმსჯელოს მასზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელის მხრიდან ასეთი თანხმობა ვერ იქნება მიღებული, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნაზე პირვანდელი სახით.

საკასაციონ პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომლის მიხედვით, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ჩამოყალიბებაში. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი დავების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, პროცესის ეკონომისის და დაჩქარების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, რაც ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოვლინებაა (სუსე საქმე №სს-294-294 (კ-18), 09.12.2019წ.).

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი კი ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ აბსოლუტურ საფუძვლებს: გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპრი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე') გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. ამასთან, 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თა-

ნახმად სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სასამართლებრივი შეფასება. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიკის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი (სუსგ საქმე №ბს-1224(კ-19), 25.11.2021წ.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელაცია მიზნად ისახავს პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების გზით მხარეთა უფლებების დაცვას. საკასაციო ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელიც საკასაციო საჩივარს ამოწმებს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს. ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, იმთავითვე არ ქმნის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის გადასინჯვის დროს განიხილავს როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს, თუმცა არ ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს სრულ ჩანაცვლებას. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება რამე სახის ფაქტობრივი გარემოებების კვლევა, ხოლო დავის გადაწყვეტის მიმართ არსებული მიდგომა წმინდად ფორმალურია, გამოზაკლის შემთხვევებში სააპელაციო პალატას არ ეზღუდება დავის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების

შესაძლებლობა, უკეთუ აღნიშნული დავის ობიექტურად სწორად გა-დაწყვეტის, დავის მონაწილე ყველა პირის ინტერესების უკეთ გათვა-ლისნიერის, ფაქტორივი გარემოებებისა და მტკიცებულებების უკეთ გამოკვლევის საჭიროებით არის განპირობებული. ამასთანავე, დავის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული, პირველი ინსტან-ციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა არასათანადოდ გამოკ-ვლევა ან მიღებული გადაწყვეტილების უსწორობა, იმთავითვე არ ქმნის დავის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სააპელა-ციონ პალატა იმ შემთხვევაშია საქმის საქალაქო (რაიონული) სასამარ-თლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებაზე უფლებამოსილი, უკეთუ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის განხილვის მკვეთ-რად ფორმალური ხასიათის გამო, მხარეს ფაქტორივად ერთმევა პირ-ველი ინსტანციის სასამართლო წარმოება (სუსგ საქმე №ბს-925(კ-19), 15.11.2016).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევა-ში, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო-ში საქმის ხელახლა განხილვის აუცილებლობა დასაბუთებულია სასამ-ჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების აუცილებლობისა და საქმის გან-ხილვისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვების საჭიროებით.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობასა და მისი დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევს, რომ სა-სამართლოს დასკვნები ამ პრინციპის დარღვევის თაობაზე არ გამომ-დინარებას საქმის ფაქტორივი გარემოებების სწორი შეფასებიდან, კერძოდ, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქ-მის დაბრუნების საფუძვლელი შესაძლოა იყოს საქართველოს სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვე-ტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლელ(ების არსებობა. მოცემულ მუხლი ჩამოთვლილი საფუძვლები ეხება საქმის განხილვისა და გა-დაწყვეტილების გამოტანის მიმართ დაწესებულ პროცესუალურ საკით-ხებს, რომელთა დარღვევა გამოიწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას, თუმცა „ე“ და „ე“¹ ქვეპუნქტები ადგენენ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებად ნაწილობრივ პროცესუალურ და ამავდრო-ულად მატერიალურ მოთხოვნებს, როგორებიცა: ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე¹) გადაწყვეტი-ლების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 394-ე მუხლის „ე“ და „ე“¹ ქვეპუნქტები სახეზეა, რო-დესაც გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება სამართლებრივი ნორმები,

საქმის გარემოებები და ფაქტები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და შესაბამისად, მისი სისწორის შემოწმება შეუძლებელი ხდება. აღნიშნული არ გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ზედა ინსტანციის სასამართლო არ ეთანხმება და არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კანონის გამოყენება-არგამოყენებას, ნორმის განმარტებას თუ ფაქტობრივი გარემოების შეფასებას, რამდენადაც ასეთ დროს სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას ან ცვლის მის დასაბუთებას, თუმცა არ უბრუნებს საქმეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას საქმის პირველი ინსტანციისთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების საფუძვლით, რამეთუ სადაცო რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ადმინისტრაციული წესით სადაცობა სცილდება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარჩელის ტრანსფორმირებისათვის დადგენილ წესს, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერების შემონმება, თავისი ბუნებით, კერძოსამართლებრივი ხასიათისაა და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით. განსახილველ შემთხვევაში, სარეგისტრაციო ჩანაწერების გარდა, სადაცოდ არის გამხდარი მიღება-ჩაბარების აქტები, რომლის საფუძველზეც განხილვით დაგვის გადაწყვეტის მიზნებისათვის, არ სებული ადმინისტრაციული დაგვის გადაწყვეტის მიზნებისათვის, არ იქმნება მხარეთა შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების სადაცობის საჭიროება.

ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის (სსსკ-ის 372-ე მუხ.). სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს მეორე ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ამონტებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელმეორედ, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით (სსსკ-ის 377-ე მუხ.). სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, მაგრამ თუ ეს ფაქტები და მტკიცებულებები შეიძლებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში ყოფილიყო წარდგენილი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, ისინი არ მიიღოს, თუ მხარეს შეეძლო მათი წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წა-

რადგინა ისინი (სსსკ-ის 380-ე მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, საქმის მასა-ლების ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების გათვა-ლისწინებით, ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წინამ-დებარე დავაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობ-რივი გარემოებები პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან გა-მოკვლეული და დადგენილია, ხოლო საქმეზე სრულყოფილად წარმოდ-გენილია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მტკიცე-ბულებები. შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული სამოქალაქო სამარ-თალწარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალწარ-მოება სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის მე-4 და მე-19 მუხლებით დადგენილ ინკვიზიციურობის პრინციპს ეფუძნება. აღნიშნული განაპირობებს ადმინისტრაციული წესით გან-მხილველი სასამართლოს არა მხოლოდ უფლებამოსილებას, არამედ იმავდროულად ვალდებულებასაც, მოკველიოს საგნობრივად მისი გან-სჯადი საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკი-ცებულებები (სუსგ №ბს-420-420(კ-18), 28.03.2019წ.). ამდენად, საკა-საციო პალატის მოსაზრებით, მოკემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების სა-ფუძვლად მიიჩნია, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპე-ლაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასა-მართლოსათვის ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება/შესაძლებლობა ჰქონდა თა-ვად გადაწყვიტა წინამდებარე დავა და მოსარჩელის მოთხოვნის ფარ-გლებში შეემონმებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერება. ხოლო თუ დავის გადაწყვიტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლო-ბა ჰქონდა, ესარგებლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპე-ტენციით და თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩ-ნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია საპ-როცესო ნორმების უხეში დარღვევით, ხოლო საკასაციო საჩივარი და-საბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არიზი-არებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის გამოყენების მართებულობას, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება ვერ გამოდგება კომპარატორად არსებულ ვითარებასთან მიმართებაში და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასბუთებული და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემონმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, არის სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. გ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სევადასევა ტიპის უძრავი ქონების რეგისტრაცია მესაკუთრის საკუთრებაში არსებული პინის მოსარგებლები რეგისტრაციის პანონირება

გადაცემის მიზანი საქართველოს სახელი

№ ბს-338(კ-22)

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღნიშვნის ნაწილი:

მ. ხ-მა 2017 წლის 13 ოქტომბერს სარჩელით მიმართა ბათუმის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე-
ების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე საა-
გენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიმართ, მესამე პირის – მ. კ-ის
მონაწილეობით. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №..., ამავე სააგენტოს აჭარის
რეგიონული ოფისის 2017 წლის 21 აგვისტოს №... და „ადმინისტრაციუ-
ლი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვე-
ტილებების ბათილად ცნობა, ასევე ქალაქ ბათუმში, ...ის ქ. №34ა-ში
მდებარე №3 ბინაზე მ. კ-ისათვის მოსარგებლის უფლებით რეგისტრა-
ციაზე უარის თქმა.

სარჩელის თანახმად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს
1975 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა ან გარდაცვლილი
ც. კ-ას შესახლება მის მცირენლოვან შვილთან – მ. კ-თან ერთად ან
გარდაცვლილი ყოფილი მეუღლებისა და მამის – რ. კ-ის საკუთრებაში არ-
სებულ ბინაში. აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდა 1977 წელს,
რაც დასტურდება მითითებული გადაწყვეტილებით და მიღება-ჩაბა-
რების აქტით. აღსანიშნავია, რომ რ. კ-მა თავის საკუთრებაში არსებუ-
ლი ბინა გაყიდა და ამ ბინაზე მესაკუთრე არაერთხელ შეიცვალა, ხოლო
1981 წლის 6 აგვისტოდან დღემდე მისი მესაკუთრეა მოსარჩელე მ. ხ-ი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მ. კ-ი 1992 წლიდან აღარ იყო სადაც ბინის მოსარგებლე. იგი საცხოვრებლად წავიდა რუსეთის ფედერაციაში, გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან და მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. იგი დღემდე რუსეთის მოქალაქეა და საქართველოში ცხოვრობს მუდმივი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ცოლ-შვილთან ერთად ქალაქ ბათუმში ...ის ქ. №15-ში მდებარე ბინა №39-ში, სადაც ასევე რეგისტრირებულია. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია მ. კ-ის მიერ გაცემულ მინდობილობაში არსებული მონაცემებით, საჯარო რეესტრში მის მიერ წარდგენილი განცხადების მონაცემებითა და მხარეთა განმარტებებით. 2009 წლის 30 ივნისს სახელმწიფო სერვისების განვითარების სამსახურის გადაწყვეტილებით მ. კ-ს სადაც ბინაზე რეგისტრაცია შეუწყდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, რაც ასევე დადასტურებულია სისიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გაცემული ცნობით.

2017 წლის 30 აგვისტოს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. კ-ის 2017 წლის 15 მაისის განცხადების მოთხოვნა დაკმაყოფილდა და იგი მ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში დარეგისტრირდა მოსარგებლის უფლებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით კი, მას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციაზე, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო დაუსაბუთებელი, უკანონდა არსებოდა მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის წარმომადგენლის შუამდგომლობა; მ. ხ-ის სარჩელზე, სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წანილში, შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2020 წლის 29 იანვრის განჩინებით მ. ხ-ის კერძო საჩივარი დაკ-მაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და საქმე სარჩელის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუპ-რუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2021 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

— აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1975 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ან გარდაცვლილი (ც. კ-ა მცირენ-ლოვან შევილთან – მ. კ-თან ერთად უნდა შესახლებულიყო ან გარდაც-ვლილი მამის – რ. კ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში. აღნიშნული გა-დაწყვეტილება აღსრულდა 1977 წელს და მოპასუხე დედასთან ერთად შესახლდა სადავო ბინაში, რაც დასტურდება მითითებული გადაწყვე-ტილებით და მიღება-ჩაბარების აქტით. აღსანიშნავია, რომრ. კ-მა თა-ვის საკუთრებაში არსებული ბინა გაყიდა და ამ ბინაზე მესაკუთრე არა-ერთხელ შეიცვალა, ხოლო 1981 წლის 6 აგვისტოდან დღემდე მისი მე-საკუთრეა მოსარჩელე მ. ხ-ი. საქმის მასალების მიხედვით დადასტუ-რებულია, რომ 1992 წლიდან მოპასუხე მ. კ-ი სადავო ბინის მოსარგებ-ლეალარარის, იგი საცხოვრებლად წავიდა რუსეთის ფედერაციაში, გა-ვიდა საქართველოს მოქალაქეობიდან და მიიღო რუსეთის მოქალაქეო-ბა. იგი ამჟამადაც რუსეთის მოქალაქეა და საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ბათუმში ...ის ქ. №15-ში მდებარე ბინა №39-ში ცხოვრობს მუდ-მივი ბინადრობის უფლებით ცოლ-შვილთან ერთად. მ. კ-ი რეგისტრი-რებულია ამავე მისამართზე. აღნიშნული გარემოება დასტურდება მის მიერ გაცემულ მინდობილობაში არსებული მონაცემებით, საჯარო რე-ესტროში მის მიერ წარდგენილი განცხადების მონაცემებით და მხარეთა განმარტებებით.

— 2009 წლის 30 ივნისს სახელმწიფო სერვისების განვითარების სამ-სახურის გადაწყვეტილებით მ. კ-ს სადავო ბინაზე რეგისტრაცია შეუწ-ყდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო, რაც დასტურდება სერვისების განვითარების სააგენტოდან გაცემული ცნობით. დედის – ც. კ-ას გარდაცვალების შემდეგ მ. კ-მა განცხადებით არაერთხელ მი-მართა საჯარო რეესტრის აჭარის რეგიონულ ოფისს და მ. ხ-ის საკუთ-რებაში არსებულ, ქალაქ ბათუმში, ...ის ქ. №34ა-ში, ...ის ქ. №10-ში მდე-ბარე ბინა №3-ზე უფლებრივ რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა მო-ითხოვა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით მ. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა,

იგი მ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში დარეგისტრირებულ იქნა მო-
სარგებლედ. 2017 წლის 4 მაისს მ. კ-ის წარმომადგენელმა განცხადე-
ბით მიმართა საჯარო რეესტრის სამსახურს და მოითხოვა მისი უფლე-
ბის რეგისტრაცია სადავო ფართზე, მდებარე ქალაქ ბათუმში, ...ის ქ.
№34ა ბინა №3, რაზედაც რეგიონული სამსახურის 2017 წლის 19 მაისის
№... გადაწყვეტილებით უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მ. კ-
ის აღმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილებით გაუქ-
მდა და საქმის ხელახლა განხილვა დაევალა რეგიონულ ოფისს, რაზე-
დაც დღემდე რაიმე გადაწყვეტილება არ მიღებულა. გასაჩივრებული
გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა სსიპ საჯარო
რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილე-
ბით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შე-
ფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართვე-
ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი, რომლითაც დად-
გენილია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტი-
ლებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამო-
სილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვ-
ნები და განკარგულებები სავალდებულო საქართველოს მთელ ტერი-
ტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმო-
სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის
პირისა თუ მოქალაქეისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. საქალაქო სა-
სამართლომ მიუთითა იმის შესახებ, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულია უძრავ ნივთებ-
ზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფ-
ლებები და ვალდებულებები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის
მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრდება: ა)
საკუთრება; ბ) აღნავობა, აღნავობის უფლების იპოთეკით დატვირთვა;
გ) უზუფრუქტი; დ) სერვიცუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავ-
ნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამარ-
თლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან და-
კავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას-
თან დაკავშირებული ვალდებულებები. საქალაქო სასამართლომ კვლავ
მიუთითა საქმეზე წარმოდგენილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვე-
ტილებაზე, რომლითაც ც. გ-ის ასულ კ-ას შვილთან ერთად საცხოვრებ-
ლად გადაეცა 27 კვ. მ. ფართობის №1 ოთახი, ხოლო დამატებითი სათავ-
სოები დარჩა საერთო სარგებლობაში და მიუთითა, რომ სასამართლოს
გადაწყვეტილებით განსაზღვრული სარგებლობის უფლება (ცხოვრე-

ბის უფლება) მესაკუთრისათვის წარმოადგენდა ვალდებულებას – აღნიშნული ფართი გადაეცა სარგებლობაში მოსარგებლეპირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1975 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი უფლება წარმოადგენდა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას და ვინაიდან მისი შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი არ იყო, ამასთან, დაინტერესებული მხარე ითხოვდა მის რეგისტრაციას, აღნიშნული უფლება ექვემდებარებოდა რეგისტრაციას უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელეს სადაც არ გაუხდია ის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რაც საფუძვლად დაედო უძრავ ნივთზე მ. კ-ის სარგებლობის უფლების რეგისტრაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 21 აგვისტოს №... და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივლისის №... გადაწყვეტილებები გამომდინარებოდა კანონის მოთხოვნებიდან და არ შეიცავდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის დადგენილ რომელიმე წინაპირობას, რადგან არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და მათი მიღების დროს არ იყო დარღვეული ადმინისტრაციული წარმოების წესები. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოებისას სრულად იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების უსაფუძვლობიდან გამომდინარე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო ასევე მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებითაც და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, მე-80 მუხლის მე-4 ნაწილსა და 188-ე მუხლზე და განმარტა, რომ რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმო-

ებისას გამოიყენება ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი, თუ ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ ნორმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ისეთ შემთხვევაში კი, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება მ. ხ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინებით მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა და წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯვერების საფუძველზე სრულად გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს შეფასება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის თაობაზე და აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიერ სრულყოფილად იქნა შესრულებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლებით დაკისრებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯვერების ვალდებულება, დაცული იქნა მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის სადაცოურთიერთობის დროს მოქმედი 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები. ამდენად, სადაცო აქტები არ შეიცავდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისათვის დადგენილ რომელიმე წინაპირობას, შესაბამისად, არ არსებობდა არც მათი ბათილად ცნობისა და არც ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მის მოპასუხის დავალდებულების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინება მ. ხ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მითითებით, მას სადაცოდ არ გაუხდია სასამართლოს 1975 წლის გადაწყვეტილება, რომელიც 1977 წელს აღსრულდა და რომ 1992 წლამდე მ. კ-ი დედასთან – ან გარდაცვლილ ც. კასთან ერთად შესახლებული იქნა იმ დროისათვის მამისა და ყოფილი მეუღლის რ. კ-

ის საკუთრებაში არსებული ბინის ერთ ოთახში, ცხოვრებისა და სარგებლობის უფლებით. სადაცო არ არის ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ც. კ-ა 1992 წლიდან გარდაცვალებამდე – 2017 წლის 22 იანვრამდე, კანონიერად, მარტო აგრძელებდა სადაცო ბინის ფართის ნაწილის ფლობას და სარგებლობას. სადაცო არ არის ის ფაქტიც, რომ მ. კ-ი 1992 წლიდან ნებაყოფლობით, მუდმივად საცხოვრებლად და სამუშაოდ წავიდა სხვა ქვეყანაში, სადაც მიიღო უცხო ქვეყნის მოქალაქეობა. დაახლოებით, 15 წელზე მეტხანს ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მცდელობაც არ ჰქონია სადაცო ბინაში დაბრუნებისა. მან საცხოვრებლად აირჩია სხვა საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი ბათუმი, ...ის ქ. № 15, ბინა № 39), სადაც დარეგისტრირდა, დღემდეცხოვრობს და აღნიშნული გარემოებები მას სადაცოდ არ გაუხდია. პირიქით, მან საკუთარი ნებით გააუქმა სადაცო ბინაზე რეგისტრაცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეეფასებინა ის გარემოება, დაკარგა თუ არა მ. კ-მა სადაცო ბინაზე სასამართლო გადაწყვეტილებით მოპოვებული ფლობისა და სარგებლობის უფლება, რომელიც აღსრულებულ იქნა 45 წლის წინ. ბინაზე, სადაც მისივე ნებით 30 წელია არ ცხოვრობს და მუდმივ საცხოვრებლად ჯერ უცხო ქვეყანა, ხოლო საქართველოში დაბრუნების შემდეგ, სხვა საცხოვრებელი ადგილი აირჩია და დღემდე იქ ცხოვრობს. სააპელაციო პალატას ასევე უნდა განემარტა საკითხი, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოპოვებული ფლობისა და სარგებლობის უფლება, მიუხედავად მუდმივ საცხოვრებლად ნებაყოფლობით სხვაგან გადასვლისა, ამ უფლების ნებაყოფლობით მიტოვებისა, ინარჩუნებს თუ არა იგი ძალას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ წარმოშობილი დავის გადაწყვეტის დროს არ იხელმძღვანელა 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედი საბინაო (მუხ. 100) და სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, არ იხელმძღვანელა აგრეთვე დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსით (მუხ. 156, 160), არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. ამ და სხვა გარემოებებზე მითითებით, კასატორი ითხოვს სადაცო აქტების ბათილად ცნობას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 3 აპრილის განჩინებით მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივ-

რის საფუძვლების ზეპირი მოსმენის გარეშე შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილება; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევა-ში მთავარ სადაცისაკითხს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება, რომლებითაც მ. კ-ი მოსარჩელე მ. ხ-ის საკუთრებაში არსებული ბინის მოსარგებლედ იქნარეგისტრირებული.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– 1975 წელს (ც. კ-ა და რ. კ-ი განქორწინდნენ. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1975 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლოს 1975 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება შეიცვალა და აწ გარდაცვლილი ც. კ-ას შვილთან ერთად საცხოვრებლად გადაეცა საცხოვრებლად ვარგისი, ქალაქ ბათუმში, ...ის ქუჩის №36-ში (ამჟამად, ...ის/...ის №10/34ა) მდებარე 27 კვ.მ ფართობის №1 ოთახი, ხოლო დამატებითი სათავსოები დარჩა საერთო სარგებლობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდა 1977 წლის 22 ნოემბერს და მოპასუხე დედასთან ერთად შესახლებულ იქნა სადაცო ბინაში, რაც დასტურდება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს 1975 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით და მიღება-ჩაბარების აქტით;

– საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ რ. კ-მა თავის საკუთრებაში არსებული ბინა გაყიდა და მასზე მესაკუთრე არაერთხელ შეიცვალა, ხოლო 1981 წლის 6 აგვისტოდან დღემდე სადაცო ბინის მესაკუთრეა მოსარჩელე მ. ხ-ი;

– 1992 წლიდან მ. კ-ი სასწავლებლად და საცხოვრებლად წავიდა რუსეთის ფედერაციაში, გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან და მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. იგი ამჟამადაც რუსეთის მოქალაქეა. საქართველოში კი, მუდმივ ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, ...ის ქუჩის №15-ში მდებარე №39 ბინაში ოჯახთან ერთად. მ. კ-ი მითითებულ მისამართზე რეგისტრირებულია, რაც დასტურდება მის მიერ გაცემულ მინდობილობაში არსებული მონაცემებით, საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების რეკვიზიტებით და მხარეთა განმარტებებით;

– 2009 წლის 30 ივლისს სახელმწიფო სერვისების განვითარების სამსახურის გადაწყვეტილებით მ. კ-ს სადაცო ბინაზე რეგისტრაცია შეუწყდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო. ამასთანავე, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2018

წლის 27 დეკემბრის №552 ბრძანებულებით მას კვლავ მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა;

– ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის რეგიონულ სამსახურს 2017 წლის 4 მაისს განცხადებით მიმართა მ. კ-ის წარმომადგენელმა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ სადაცო ბინაზე ამ უკანასკნელის უფლების რეგისტრაცია მოითხოვა, რაზეც უარი ეთქვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 19 მაისის №... გადაწყვეტილებით. დასახელებული გადაწყვეტილება მ. კ-მა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივრა, რომელმაც 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. კ-ისა და მისი წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი; ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება და რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონულ ოფისს სარეგისტრაციო წარმოების განახლება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება დაევალა;

– ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივნისის №... გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 1 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო წარმოება განახლდა; 2017 წლის 8 აგვისტოს აჭარის რეგიონულ ოფისში დამატებით წარდგენილ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე №2/1194-2015წ.), ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინებისა (საქმე №2/ბ-60-16წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინების (საქმე №ას-460-442-2016) ასლი;

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიერ 2017 წლის 21 აგვისტოს მიღებულ იქნა რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ №... გადაწყვეტილება და ... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე (27 კვ. მ ფართზე) აღირიცხა მ. კ-ის სარგებლობის უფლება (საფუძველი: აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეების სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება (საქმე №33/240);

– 2017 წლის 30 აგვისტოს მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. კ-ის მოთხოვნა

და იგი მ. ხ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში დარეგისტრირდა მოსარგებლის უფლებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით კი, მ. ხ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული სარჩელის განხილვაზე იმ მოტივით, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციაზე, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, საჩივრდებოდა სასამართლო წესით.

საკასაციო პალატა იზიარებს კასასტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სადაც საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ძველი და ახალი რეგულაციის შედარებას და თავდაპირველად მიუთითებს 1997 წლამდე მოქმედ კანონმდებლობაზე, რომლის მიხედვით, ფართზე უფლების დაკარგვა მხოლოდ სასამართლო წესით უნდა მომხდარიყო. კერძოდ, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 მუხლისა და სსრ საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, დამქირავებლისა ან მისი ოჯახის წევრთა დროებით სხვაგან ყოფნის შემთხვევაში მათ ენახებოდათ საცხოვრებელი სადგომი ექვსითვის განმავლობაში. დადგენილი ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებადაკარგულად პირის ცნობა ხდებოდა სასამართლო წესით. ამასთანავე, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322-ე მუხლისა და 1983 წლის საბინაო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრების მუდმივ საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში ან იმავე დასახლებული პუნქტის სხვა საცხოვრებელ სადგომში გადასვლის შემთხვევაში, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება სხვაგან ნასვლის ან გადასვლის დღიდან მოშლილად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში ნასული პირი ავტომატურად კარგავდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას გადასვლის დღიდან, მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფილი იყო თუ არა იგი საცხოვრებელი სადგომით ახალ საცხოვრებელ ადგილზე, რამდენადაც იგულისხმებოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ხდებოდა თავად დამქირავებლის მოთხოვნით.

რაც შეეხება სადაც აქტების გამოცემის დროს მოქმედ კანონმდებლობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით,

მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით, ხოლო ამავე კოდექსის 156-ე მუხლით მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობას. დასახელებული ნორმის ანალიზით ცხადად იკვეთება მფლობელობის შეწყვეტის ორი აღტერნატივი: ნივთის მფლობელის მიერ ნების გამოვლენის საფუძველზე მფლობელობის დათმობა სამუდამოდ, რასაც განსახილველ შემთხვევაში აქვს ადგილი და სხვა გზით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აგრეთვე სამქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

საქმის მასალების მიხედვით, უდავოდ დადგენილია, რომ მ. კ-ი 1992 წლიდან მუდმივად საცხოვრებლად და სამუშაოდ წავიდა რუსეთის ფედერაციაში (ალნიშნული ფაქტი მას სადავოდ არ გაუხდია). იგი წება-ყოფლობით გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან და მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. საქართველოში დაბრუნდა, დაახლოებით, 15 წლის შემდეგ, 2007-2008 წლებში. დაბრუნების შემდეგ, 2009 წელს წებაყოფლობით გააუქმა სადავო ბინაზე რეგისტრაცია და მუდმივ საცხოვრებლად აირჩია სხვა მისამართი: ქალაქი ბათუმი, ...ის ქ. №15, ბინა №39. აიღო მუდმივი ბინადრობის წებართვა, დარეგისტრირდა დასახელებულ მისამართზე, სადაც დღემდე ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მას დედის გარდაცვალებამდე – 2017 წლამდე არ გამოუხატავს სურვილი, რომ სადავო ფართზე გაეგრძელებინა სარგებლობის უფლება. ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. მან მხოლოდ დედის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ მიმართა საჯარო რეგისტრს მოსარგებლის უფლების დარეგისტრირების მოთხოვნით. რაც შეეხება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითებას 1975 წლის 20 ივნისისა და იმავე წლის 21 მარტის გადაწყვეტილებზე, რომ ისინი არ გაუქმებულა და ძალაშია, საკასაციონ სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა, რადგანაც 1975 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება აღსრულებულ იქნა 1977 წელს, რის საფუძველზეც სადავო ფართზე მოსარჩელის, როგორც მესაკუთრის უფლება შეზღუდული იყო ც. კ-ას მიმართ 2017 წლის 22 ივნისამდე – გარდაცვალებამდე, ხოლო მ. კ-ის მიმართ 1992 წლამდე ე.ი. მანამ, სანამ მან წებაყოფლობით უარი არ განაცხადა სასამართლო გადაწყვეტილებით მოპოვებულ უფლებაზე და წებაყოფლობით არ მიატოვა იგი. სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიუთითა 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, სააპელაციოდა საკასაციო პალატების 2016 წლის 25 მარტის და 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინებებზე, რადგანაც ეს დავა მხარეებს შორის მიმდი-

ნარეობდა სულ სხვა საფუძვლით, სულ სხვა საგანზე, კერძოდ, გარკვეული საზღაურის გადახდით სადაც ფართის საკუთრებაში გადაცემაზე ან გამოთავისუფლებაზე და მას არავითარი სამართლებრივი კავშირი არ აქვს მხარეებს შორის დღეს მიმდინარე დავასთან, მით უფრო, რომ მითითებულ სასამართლო გადაწყვეტილებებით უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მ. კ-ი წარმოებული დავების დროს სადაც ფართში არ ცხოვრიბდა და არ სარგებლობდა.

საკასაციო სასამართლო დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შეფეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა რიგი ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე უტყუარად დადასტურებულ გარემოებებს კი მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს როგორც ზემოთ დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილებით, ისე 1992 წლიდან მ. კ-ის მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში გადასვლით, რაც მას დღემდე სადავოდ არ გაუხდია, რუსეთის მოქალაქეობის მიღებით, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით, იქიდან დაბრუნების შემდეგ სხვა მისამართზე რეგისტრაციის, სხვა საცხოვრებელი ადგილის მითითებით, ბინადრობის უფლების მოწმობის სხვა საცხოვრებელი ადგილის მითითებით, სადავო ფართზე მისი მოთხოვნით რეგისტრაციის გაუქმებით, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მ. კ-მა 1992 წლიდან ნებაყოფლობით მიატოვა 1975 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული სადავო ფართის ფლობისა და სარგებლობის უფლება, რასაც ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ მან სადავო ბინას-თან შეწყვიტა საყოფაცხოვრებო კავშირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დავა არ არის სწორად გადაწყვეტილი, ვინაიდან წარმოდგენილი სარჩელი არის საფუძვლი-ანი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივლი-სის №... (რომლითაც მ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაქმაყოფილ-და ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №... (19.05.2017) გადაწყვეტილება და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონულ ოფისს დაევალა №... სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით სარეგისტრაციო წარმოების განახლება და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილების მიღება), ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 21 აგვისტოს №... (რომლითაც ... საკადასტრო კოდის მქონე 27 კვ. მუძრავ ნივთზე აღირიცხა მ. კ-ის სარგებლობის უფ-

ლება) და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... (რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციაზე, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ საჩივრდებოდა სასამართლო წესით) გადაწყვეტილებები გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის გათვალისწინებით, არსებობს სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობის წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული უფლებები და ვალდებულებები. დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირება: ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი; დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობა-სა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობა, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობა არ ექვემდებარება რეგისტრაციას. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით უდავოდ დადასტურებულია სადაც ბინაზე სარგებლობის უფლების მ. კ-ის მიერ 1992 წელს ნებაყოფლობით მიტოვების ფაქტი. ამდენად, უნდა გაუქმდეს საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდება.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახ-

მად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუმცაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შექება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს მ. ხ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ც ვ ი ტ ა:

1. მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 ივლისის №..., ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 21 აგვისტოს №... და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებები;
5. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა (ს/ნ 202238621) და ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს მ. ხ-ის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ჩუქეპისა და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების
საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის
კანონიერება**

**გადაცემისთვის
საქართველოს საელით**

№ ბს-1053(2) - 19

29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა:** 6. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
6. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

10.01.2017 წ. ბ-მა და მ. ბ-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, სსიპ საჯარო
რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2016 წ. №... გადაწყვეტილებისა
და ამ გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების შესახებ
05.01.2017 წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ამავე
თარიღის განცხადებით მოსარჩელეებმა მოითხოვეს სარჩელის უზრუნ-
ველყოფა – მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო-
სათვის ქმედების განხორციელების აკრძალვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.01.2017 წ. განჩინებით 6. ბ-
ისა და მ. ბ-ის სარჩელი, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხა-
დებასთან ერთად, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის
რაიონულ სასამართლო.

გორის რაიონული სასამართლოს 23.01.2017 წ. განჩინებით დაკმაყო-
ფილდა მოსარჩელეთა შეუძლებელობა, საჯარო რეესტრის ეროვნულ
სააგენტოს აეკრძალა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძ-
რავ ქონებაზე საკუთრების უფლების, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვების,
ლიზინგის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღა, აკრძალვა,
იპოთეკა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული
ვალდებულების წარმოშობის და სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარ-
გებლობის (აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა,
უზუფრუქტი, სერვიტუტი) რეგისტრაციის განხორციელება, მოცემულ

საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამავე სასამართლოს 25.01.2017წ. განჩინებით ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი მიღებულ იქნა ნარმოებაში, ხოლო 07.09.2017წ. საოქმო განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნენ თ. ბ-ი, ქ. ლ-ე და დ. ბ-ი.

გორის რაიონული სასამართლოს 07.11.2017წ. გადაწყვეტილებით ნ. და მ. ბ-ების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის №... (მ. ბ-ის სახელზე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ) და 2016 წლის 10 მარტის №... (მ. ბ-ის სახელზე სამისადლეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ) გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში; ნ. და მ. ბ-ების სარჩელი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის – 2015 წლის 30 სექტემბრის №... (მ. ბ-ის სახელზე უძრავი ქონების №... საკადასტრო კოდით აღრიცხვის შესახებ) და 2015 წლის 13 ნოემბრის №... (მ. ბ-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რიცხული უძრავი ქონების ორ ნაკვეთად №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრაციის შესახებ) გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ნ. და მ. ბ-ების სარჩელი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი; ნ. და მ. ბ-ების სარჩელი სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 5 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

გორის რაიონული სასამართლოს 07.11.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ბ-მა, მ. ბ-მა და სისპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.01.2019წ. განჩინებით ნ. ბ-ის, მ. ბ-ის და სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 07.11.2017წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამარ-

თლომ სრულად, ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა გარემოება და სამართლებრივი თვალსაზრისითაც სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულად დასაბუთებულია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლზე, რომლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება უფლების რეგისტრაციის, ასევე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერებისა ან შეწყვეტის შესახებ საჩივრდება სასამართლო წესით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სუს 20.07.2017წ. №ბე-43-42(კ-17) განჩინებით გაკეთებული განმარტების მიხედვით, „აღმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლებამოსილებათა დისპალანსი, მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფუძნებული კონტროლს, რაც გამოვლენას პოვებს ერთი მხრივ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი და მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას, ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გამორიცხავს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებას, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი. “სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფლება ჰქონდა, თავისი ინიციატივით შეემოწმებინა მოსარჩევების სახელზე ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების კანონიერება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადაც 29.12.2016წ. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ნარმოების დაწყებამდე, ქ. ლ-ემ და დ. ბ-ის ნარმომადგენელმა 2016 წლის 3 ივნისს განცხადებით მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ნ. და მ. ბ-ების სახელზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციების გაუქმებისა და შეწყვეტილი სარეგისტრაციო ნარმოებების განახლების მოთხოვნით, თუმცა სადაც აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ნარმოების დაწყების უშუალო საფუძველი გახდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, ნ. ბ-ის სახელზე 2015 წლის 30 სექტემბერს საკუთრების უფლე-

ბის აღრიცხვის კანონიერებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. ამრიგად, სააგენტომ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და დადგენილი პროცედურების დაცვით, უზრუნველყო ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის განხორციელება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.1 მუხლით განსაზღვრულ რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლებზე და გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ 3000 მ^2 მიწისა და $169,36 \text{ მ}^2$ საცხოვრებელი სახლის ფართის ნაწილში ნ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უკანონოდ განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით. ამასთანავე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით უკანონოდ განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მიწის ნაკვეთის ორ ნაკვეთად დაყოფის შედეგად, ნ. ბ-ის განცხადების საფუძველზე (ს/კ ... და ...). ამავდროულად, მართალია, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ბათილად ცნობის ნაცვლად, ძალადაკარგულად გამოცხადა ნ. ბ-ის სახელზე სადავო ქონების აღრიცხვისა და ამ ქონების ორ ნაკვეთად დაყოფის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებები, თუმცა სასარჩევო მოთხოვნისა და მითითებული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების ფაქტობრივი საფუძვლების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად გამოცხადებითაც არსებითად სწორად გადაწყდა დაინტერესებულ პირთა შორის არსებული სადაცო საკითხი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების ფაქტობრივი საფუძვლები და მიუთითა, რომ სადაცო ქონება გ. და რ. ბ-ების კომლების კუთვნილი ქონება იყო და ეს ქონება არ უნდა აღრიცხულიყო ნ. ბ-ის სახელზე, მის სახელზე გაცემული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. საქმეში არსებული მასალებიდან და მხარეთა განმარტებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ ნ. ბ-ისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული მიწის ნაკვეთი და გ. და რ. ბ-ების კომლების კუთვნილი უძრავი ქონება ერთი და იგივეა, ნ. ბ-ს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა $0,32 \text{ ჰა}$ მიწის ნაკვეთი, ხოლო გ. და რ. ბ-ების კომლების კუთვნილი მიწის ნაკვეთების საერთო ფართია $-0,30 \text{ ჰა}$, ამასთანავე, საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, გ. (80 მ^2) და რ. (80 მ^2) ბ-ების თანასაკუთრებაში ($1/2 - 1/2 \text{ წილი}$) არსებული, 1965 წელს აგებული სახლის საერთო ფართი 160 მ^2 -ია, ხოლო საჯარო რეესტრში ნ. ბ-ის სახელზე აღრიცხულია 3228 მ^2 სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული $169,36 \text{ მ}^2$ საცხოვრებელი სახლი. გარდა ამისა, რაიონულმა სა-

სამართლომ სწორად მიუთითა, რომ იგი არ მსჯელობს მიღება-ჩაბარების აქტით ნ. ბ-ისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემის კანონიერებისა და ამ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ. უდავოა, რომ ნ. ბ-ი 1976 წლიდან ალარ არის გ. ბ-ის კომლის წევრი. გ. ბ-ის საკომლო წიგნის ჩანაწერის მიხედვითაც, დამატებითი ცნობების გრაფაში მითითებულია, რომ 25 მ² ქონება დაეწერათ შვილებს – მ.ს, დ. და ლ.. ამასთან, კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის მიხედვით, გ. ბ-ის მემკვიდრეებად ცნობილ იქნება მისი შვილები. გარდა ამისა, სოფელ ...ში, გასული კომლების სიაში, ნ. ბ-ი ცალკე კომლად ირიცხება მხოლოდ 1996 წლიდან. მას საცხოვრებელი სახლი არც საკომლო წიგნის ჩანაწერით და არც მიღება-ჩაბარების აქტით არ აწერია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კანონიერია რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილება მართებულად ჩაითვალა 2015 წლის 30 სექტემბრის №... და 2015 წლის 13 ნოემბრის №... გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სუს 02.07.2015წ. №ბს-30-30(კ-15) გადაწყვეტილებით გაკეთებულ განმარტებაზე, რომლის თანახმად, „უფლებას მხოლოდ რეგისტრაცია არ წარმოშობს. რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განეკუთვნება სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. მითითებული კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, დაუშვებელია რეგისტრაციის გაბათილება მისი საფუძვლის ძალაში არსებობის პირობებში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილად ცნობა იწვევს რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადებას“. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში არსებული 2015 წლის 19 ნოემბრისა და 2016 წლის 10 მარტის საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით, ასევე 2016 წლის 4 მარტის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ნ. ბ-ზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ჩუქების, ხოლო №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წლის 19 ნოემბერსა და 2016 წლის 10 მარტს საკუთრების უფლებით აღირიცხა მისი შვილის – მ. ბ-ის სახელზე. ამასთან, მ. ბ-ის სახელზე მითითებული რეგისტრაციების განხორციელების საფუძვლები – ჩუქების ხელშეკრულება და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულე-

ბა, ძალაში არსებული დოკუმენტებია და მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ძალაში არსებული დოკუმენტებით ეჭვქვეშ არ დგას სადაცო ფართზე მ. ბ-ის საკუთრების უფლება, რაიონულმა სასამართლომ სწორად გადაწყვიტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2016წ. გადაწყვეტილება უკანონოა იმ ნაწილში, რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვალა მ. ბ-ის სახელზე, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე მ. ბ-ის სახელზე, სამის-დღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციები. რაიონულმა სასამართლომ სწორად გადაწყვიტა, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2016წ. №... გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საჯარო რეესტრმა ძალადაკარგულად გამოაცხადა მ. ბ-ის სახელზე, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 19.11.2015წ. №... გადაწყვეტილება; ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საჯარო რეესტრმა ნაწილობრივ (1778 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ნაწილში) ძალადაკარგულად გამოაცხადა მ. ბ-ის სახელზე, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, №... საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ 10.03.2016წ. №... გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხისათვის №..., №..., №..., №..., №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებით ახალი გადაწყვეტილებების მიღების დავალების შესახებ მოთხოვნის ნაწილშიც არსებობდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. ახალი გადაწყვეტილებების მიღების დავალდებულებას, გ. და რ. ბ-ების მემკვიდრეთა წრისა და სამკვიდრო ქონების წილობრივ განაწილებას, მოცემულ დავასთან მიმართებაში მნიშვნელობა ეკარგება. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია. სასამართლო არ იმსჯელებს, რამდენად სწორად დადგინდა მემკვიდრეთა წრე და მათი კუთვნილი წილები სამკვიდროზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადაცო 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ლ-ისა და დ. ბ-ის მიერ წარდგენილი განცხადებების საფუძველზე მიღებული 2016 წლის 6 მაისის №... და 2016 წლის 24 მაისის ... გადაწყვეტილებები (რომლებითაც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, მ. ბ-ის სახელზე №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე გადაფარ-

ვის გამო). ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა 2016 წლის 7 ივნისის №... და 2016 წლის 24 ივნისის №... გადაწყვეტილებები, რომლებითაც შეჩერების საფუძვლის აღმოუფხვრელობის გამო, მითითებულ განცხადებებზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იყო ქ. ლ-ისა და დ. ბ-ის მიმართ, შესაბამისად, უშუალოდ მათ ინტერესებს შეეხო აღნიშნული გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში სადავო 29.12.2016 აქტი. ქ. ლ-ე და დ. ბ-ი სადავოდ არ ხდიან საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებას მითითებულ ნაწილში, შესაბამისად, მართებულია რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ ამ ნაწილში არ არსებობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო 29.12.2016 გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობის აუცილებლობა, მითითებული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებით (ან ძალაში დატოვებით) 6. და მ. ბ-ებთან მიმართებაში რაიმე სახის პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის არსებობა არ დასტურდება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო 2017 წლის 5 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, აღნიშნული გადაწყვეტილებით დაზუსტდა ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის სამკვიდრო ქონების წილობრივ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია გადაწყვეტილებაში არსებითი შესწორების შეტანას, 2017 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით არ ჩამოყალიბებულა 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებისაგან არსებითად განსხვავებული დებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.01.2019 განჩინებით 6. ბ-ის, მ. ბ-ის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 07.11.2017 გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივ-

რეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ნ. ბ-მა და მ. ბ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.2019წ. განჩინებით ნარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციოსაჩივარი. ამავე სასამართლოს 21.10.2019წ. განჩინებით, დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, განუხილველად დარჩა ნ. ბ-ის და მ. ბ-ის საკასაციოსაჩივარი.

კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული 2019 წლის 18 იანვრის განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და მიღებულია საქმეში არსებული დოკუმენტაციის არასწორად შეფასების შედეგად. სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევები, რასაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

კასატორის განმარტებით, მოცემული დავის გადაწყვეტილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე არასწორად დაადგინა სადაც ფაქტობრივი გარემოებები და არასათანადო შეფასება მისცა მათ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, გაეუქმებინა ჩუქებისა და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციები. ორივე ინსტანციის სასამართლომ დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა ნ. და მ. ბ-ების საკუთრების უფლებას, იმ პირობებში, როდესაც ამ პირებს ვერ ექნებოდათ კანონიერი ნდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ და საქმეში არსებობს ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ქვედა ინსტანციის სასამართლოები ეყრდნობიან კერძოსამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებებს და ფორმალური შეფასების შედეგად, მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ძალადაკარგულად გამოცხადებინა მის მიერვე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველიც კერძოსამართლებრივი გარიგებაა.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლებმა ნაწილობრივ კანონიერად მიიჩნიეს სააგენ-

ტოს 29.12.2016ნ. გადაწყვეტილება (იმ ნაწილში, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა კასპის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები 6. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის დაყოფის თაობაზე). ამავდროულად, სადავო განჩინებით სააპელაციო სასამართლომ შედეგის თვალსაზრისით გაიზიარა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა, არ მიიჩნია იგი სამართლებრივად დასაბუთებულად. კასატორი მიუჟითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო საჯარო მმართველობას ახორციელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ქმედების განხორციელებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ფორმით. ამასთან, ყველა შემთხვევაში, საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება კანონს ეფუძნება და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვას. აღნიშნული დებულებების დაუცველობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და რეალაქტის სამართლებრივი შედეგების გაუქმების საფუძველს. „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაცია წარმოებს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. სხვა სამართლებრივ შედეგებთან ერთად, უმთავრესი და აბსოლუტური ხასიათის სანივთო უფლების – საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა სწორედ საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება. შესაბამისად, სამართლებრივი შედეგის წარმომშობი ბუნების გათვალისწინებით, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. ადმინისტრაციული წარმოების უმთავრესი პრინციპია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით განსაზღვრულ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევა, ხოლო მიზანი – კანონიერი და დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სარეგისტრაციო წარმოების პროცესში მარეგისტრირებელი ორგანოს ეკისრება გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და სწორი სამართალშეფარდების ვალდებულება, რაც კანონიერი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა. მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულება – შეისწავლოს უფლების რეგისტრაციისათვის აუცილებელი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება,

გულისხმობს ორგორც ზოგადსამართლებრივ ჭრილში საკითხის შეფასებას, ისე კონკრეტული კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების გამოკვლევას/ შეფასებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს ორგორც მის ბათილად ცნობას, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს აქტის სამართლებრივ ბუნებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანული უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს თუ გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანო ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

კასატორი მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, ეს კანონიერი ძალა არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონმდებლობა უშევებს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აქტის საკუთარი ინიციატივით გაუქმების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს მმართველობითი საქმიანობის თავისებურებებიდან. ეფექტური მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით, ახლებურად მოაწესრიგოს კონკრეტული ურთიერთობა და მმართველობითი აქტები შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდე-

ბულია, დაიცვას კერძოდა საჯარო ინტერესების თანაზომიერების პრინციპი. მხოლოდ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოა უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით გადაამოწმოს მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, რაც, თავის მხრივ, მართველობის კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფას ემსახურება. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველო კანონიც. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დააზუსტოს, შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემები. მართალია, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით, თუმცა, გასათვალისწინებელია ის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლებამოსილებათა დისპალანსი, მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფუძნება კონტროლს, რაც გამოვლენას პოვებს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში, საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას, ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთი გადაწყვეტილებით, მათ შორის, 2017 წლის 2 ნოემბრის №ქს-231-227(ქ-15) გადაწყვეტილებით დასაშვებად მიიჩნია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ტერიტორიული სამსახურების გადაწყვეტილების (მათ შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების) კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა. ამდენად, როგორც სააგენტომ, ისე სასამართლომ დაადგინა, რომ 6. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა შესაბამისი საფუძვლების არსებობის გარეშე, სადაც მინის ნაკვეთი წარმოადგენდა გ. და რ. ბ-ების კომლის საკუთრებას. შესაბამისად, ქონებაზე უნდა განხორციელებულიყო მათი მემკვიდრეობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარეობს, რომ უძრავი ნივთი გაასხვისა საამისოდ არაუფლებამოსილმა პირმა. შესაბამისად, კერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, სააგენტო მიზანშეწონილად ვერ მიიჩნევდა მ. ბ-

ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების ძალაში დატოვებას.

კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სა-ერთოდ არ იმსჯელეს, არის თუ არა მ. ბ-ი კეთილსინდისიერი შემძენი. მ. ბ-ი წარმოადგენდა გ. ბ-ის ერთ-ერთ მემკვიდრეს. მისთვის ცნობილი იყო როგორც სადავო უძრავი ნივთის ნამდვილი მესაკუთრისა და კომლის წევრების ქონებრივი მდგომარეობის, ისე 10.12.1993წ. №6-1221 კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონმობის არსებობის თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რეესტრის სანდობის აღიარება არ არის საკმარისი შემძენის კეთილსინდისიერად მიჩნევისათვის, თუ შემძენმა იცოდა რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. „ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშავს იმ გარემოებათა (კოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო“ (სუს 25.12.2014წ. №ბს-339-335(2-კ-14) გადაწყვეტილება). „„უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შექმნის ნამდვილობას..“ (სუს 16.01.2014წ. №ას-189-182-2013) გადაწყვეტილება).

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების ნამდვილობისათვის განმსაზღვრელია არა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი, არამედ უფლების წარმოშობის საფუძვლის შინაარსი. გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების შეძენის შემთხვევაში ქონების შემ-

ძენის საკუთრების უფლება წარმოიშობა გარიგების საგანზე იმ ფარგლებში, რაც ქონების გამსხვისებელს ეკუთვნოდა. მ. ბ-მა გარიგების საფუძველზე შეძენილი ქონების საკადასტრო მონაცემები დაარეგისტრირა არასწორად. მინის ნაკვეთის საზღვრებში რეგისტრირებული იყო ის ფართი, რაც გამსხვისებელს – ნ. ბ-ს არ ეკუთვნოდა და არის მესამე პირის მართლზომიერ სარგებლობაში. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე რეგისტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი და არ დაუდგენია, იცოდათ არა მ. ბ-მა გამსხვისებლის რეგისტრირებული უფლების ნაკლის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, თავად გადაეწყვიტა სადაც საკითხი და არ დაეკმაყოფილებინა სარჩელი. მარეგისტრირებულმა ორგანომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სრულად შეისწავლა როგორც დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი, ისე სააგენტოში დაცული და მის მიერ დამატებით მოძიებული დოკუმენტაცია. მის ხელთ არსებული რესურსის ფარგლებში, სააგენტომ სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არ დაარღვია ნორმები, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გასაჩივრებულ განჩინებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.01.2021 განჩინებით დასაშვებად იქნა მინისტრული სსიპ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

06.08.2021 ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე, №ბს-1053(2-19) ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნით. განმცხადებელმა მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო დავა (მოსარჩელები – ქ. ლ-ე, თ. ბ-ი; მოპასუხები – ნ. ბ-ი, მ. ბ-ი; დავის საგანი – ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების: სამისიდღეშიო რჩენისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობა), რომლის შედეგსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება №ბს-1053(2-19) საქმეზე შედეგის დადგენისათვის – უფლების დამდგენი დოკუმენტების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მ. ბ-ი დაკარგავს უფლებას, რაიმე სახის პრეტენზია იქონიოს სადაც უძრავ ქონებაზე, დადგინდება საჯარო რეესტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორე, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილების სრული საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.09.2021წ. განჩინებით დაკმაყოფილდა ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის წარმომადგენლის – მ. შ-ის შუამდგომლობა; №2/16638-19 სამოქალაქო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, შეჩერდა №ბს-1053(2-19) ადმინისტრაციული საქმის წარმოება. საკა-საციო პალატამ ჩათვალა, რომ ვინაიდან სამოქალაქო საქმეზე სადა-ვოა იმ ხელშეკრულებების კანონიერება, რომელთა საფუძველზე გან-ხორციელებული რეგისტრაციების კანონიერების შემონაბაც მოიცავს განსახილველი საკასაციო საჩივრის ფარგლებს, არსებობს მიმდინარე ადმინისტრაციული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი, შესაბა-მისი სამოქალაქო დავის გადაწყვეტამდე. სამოქალაქო საქმეზე მისა-ლები გადაწყვეტილებით დამდგარი შესაძლო შედეგი (ჩუქებისა და სა-მისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებების ბათილობა) გავლენას მოახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის განხილ-ვის გაგრძელების ინტერესზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.01.2024წ. განჩინებით განახლდა საქმის წარმოება სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარზე და დად-გინდა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა. წარმოების განახლების სა-ფუძველი გახდა 2023 წლის 28 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს მი-მართვის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოდან გადმოგ-ზავნილი წერილი. აღნიშნული წერილით დგინდება, რომ №2/16638-19 სამოქალაქო საქმეზე (მოსარჩელები: ქ. ლ-ე, თ. ბ-ი; მოპასუხები – ნ. ბ-ი, მ. ბ-ი; დავის საგანი – ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები: სამისდღეშიო რჩენისა და ჩუქების ხელშეკ-რულებების ბათილად ცნობა) წარმოება დასრულებულია და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

№2/16638-19 საქმეზე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტი-ლების მიხედვით:

25.10.2022წ. დაზუსტებული სარჩელით ქ. ლ-ე და თ. ბ-ი ითხოვდნენ:
1) ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2016 წლის 4 მარტს დადებული სამისდღეშიო რჩენის შესახებ №... ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას (1770 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 160 კვ.მ საცხოვრებელი სახლის გადაცე-მის ნაწილში); 2) ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებუ-ლი უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას.

25.10.2022წ. დაზუსტებული დამოუკიდებელი სარჩელით დ. ბ-ი ით-ხოვდა ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2016 წლის 4 მარტს დადებული სამის-დღეშიო რჩენის შესახებ №... ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად

ცნობას (1770 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 160 კვ.მ საცხოვრებელი სახლის გადაცემის ნაწილში).

ამავე საქმეზე, ნ. ბ-ი და მ. ბ-ი შეგებებული სარჩელით ითხოვდნენ: 1) ნ. ბ-ის დარეგისტრირებას სამკვიდროში შემავალი უძრავი ქონების (მთელი საცხოვრებელი სახლის) ½-ის თანამესაკუთრედ; 2) მ. ბ-ის, დ. ბ-ისა და ლ. ბ-ის მემკვიდრების (ქ. ლ-ე და თ. ბ-ი) დარეგისტრირებას სამკვიდროში შემავალი უძრავი ქონების (მთელი საცხოვრებელი სახლის) თანამესაკუთრეებად, 1/6 პროპორციით; 3) რ. ბ-ის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობას; 4) ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მ. ბ-ის დარეგისტრირებას №... მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ; 5) სამისდღეში რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, მ. ბ-ის დარეგისტრირებას №... მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 ნოემბრის №2/16638-19 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის სარჩელი, მოპასუხების – ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის მიმართ; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2016 წლის 4 მარტს დადებული სამისდღეშიო რჩენის შესახებ №... ხელშეკრულება (1770 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 160 კვ.მ საცხოვრებელი სახლის გადაცემის ნაწილში); ბათილად იქნა ცნობილი ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება.

ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის – დ. ბ-ის სარჩელი, მოპასუხების – ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის მიმართ; ბათილად იქნა ცნობილი ნ. ბ-სა და მ. ბ-ს შორის 2016 წლის 4 მარტს დადებული სამისდღეშიო რჩენის შესახებ №... ხელშეკრულება (1770 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 160 კვ.მ საცხოვრებელი სახლის გადაცემის ნაწილში).

ამასთანავე, ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ბ-ისა და მ. ბ-ის შეგებებული სარჩელი, მოპასუხების – ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის მიმართ, უძრავი ქონების ნაწილზე მესაკუთრედ ცნობისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შეგებებული სარჩელის ავტორებმა – ნ. ბ-მა და მ. ბ-მა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტის 2023 წლის 13 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა 6. პ-ისა და მ. პ-ის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლი-ანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემ-დეგ გარემოებათა გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

კასპის რაიონის სოფელ ...ის მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგე-ნილი 18.07.1995წ. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ნ. პ-ს გადაეცა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 0,32 ჰექტარი სასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი.

ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 30.09.2015წ. №... გადაწყვეტი-ლებით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ში მდებარე 3228 მ² სასოფ-ლო-სამეურნეო (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 169,36 მ² საცხოვრებელ სახლზე (ს/კ ...) დარეგისტრირდა ნ. პ-ის სა-კუთრების უფლება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 13.11.2015წ. №... გა-დაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 6. პ-ის 09.11.2015წ. განცხადება და საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული №... უძრავი ქონე-ბა დაიყო ორ ნაკვეთად, საიდანაც ერთში მოექცა 1998 მ² სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე გან-თავსებული 169,36 მ² საცხოვრებელი სახლი (ს/კ ...), ხოლო მეორეში – 1230 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვე-თი (ს/კ ...).

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.11.2015წ. №... გა-დაწყვეტილებით, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. პ-ზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება (1230 კვ.მ სა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი) აღირიც-ხა მისი შვილის – მ. პ-ის საკუთრებად.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.03.2016წ. №... გა-დაწყვეტილებით, 04.03.2016წ. დამოწმებული სამისდღეშიონ რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. პ-ზე №... საკადასტრო კოდით რე-გისტრირებული უძრავი ქონება (1998 მ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი) აღირიც-

ნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 169,36 მ² საცხოვრებელი სახლი) ასევე აღირიცხა მისი შვილის – მ. ბ-ის საკუთრებად.

03.05.2016წ. ქ. ლ-ემ, როგორც ნ. ბ-ის ან გარდაცვლილი შვილის ლ. ბ-ის მემკვიდრემ და ო. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა, განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. განმცხადებელმა მოიხოვა მისი მამკვიდრებლის კუთვნილ უძრავ ქონებაზე – კასპის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 3228 კვ.მ ფართზე (ლ. ბ-ის მამისა და მამიდის – გ. და რ. ბ-ების დანაშთი სამკვიდრო) საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.05.2016წ. №... გადაწყვეტილებით ქ. ლ-ის განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, იმ საფუძვლით, რომ დაფიქსირდა გადაფარვა მ. ბ-ის სახელზე №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავი ქონებაზე. დადგენილ ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.06.2016წ. №... გადაწყვეტილებით შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება ქ. ლ-ის 03.05.2016წ. განცხადებაზე (19.05.2016წ. ანალოგიური შინაარსის განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გ. ბ-ის ერთ-ერთმა მემკვიდრემ – დ. ბ-მა. სააგენტოს 24.05.2016წ. №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოებაზე შეჩერდა, მ. ბ-ის სახელზე №... და №... საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას-თან დაფიქსირებული გადაფარვის გამო).

03.06.2016წ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა ქ. ლ-ისა და დ. ბ-ის წარმომადგენელმა. განმცხადებელმა მოიხოვა ნ. და მ. ბ-ების სახელზე განხორციელებული რეგისტრაციების გაუქმება, ასევე მისი მარწმუნებლების განცხადებების საფუძველზე შეწყვეტილი სარეგისტრაციო წარმოებების განახლება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2016წ. №... გადაწყვეტილებით 3000 კვ.მ ფართის ნანილში ძალადაკარგულად გამოცხადდა კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 30.09.2015წ. №... გადაწყვეტილება, №... საკადასტრო კოდით ნ. ბ-ზე 3228 კვ.მ უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ; ძალადაკარგულად გამოცხადდა კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 13.11.2015წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ... საკადასტრო კოდით ნ. ბ-ის სახელზე აღრიცხული 3228 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი დაიყო ორ ნაკვეთად (ს/კ ... და ს/კ ...); ძალადაკარგულად გამოცხადდა კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 19.11.2015წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე დარე-

გისტრიოდა მ. ბ-ის საკუთრებად; ნაწილობრივ (1778 კვ.მ. ფართის ნაწილში) ძალადაკარგულად გამოცხადდა კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 10.03.2016ნ. გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება სამისდღეში რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე დარეგისტრირდა მ. ბ-ის საკუთრებად.

მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული წარმოების პროცესში დადგენილად იქნა მიწნეული, რომ ნ. ბ-ისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული მიწის ნაკვეთი, გ. და რ. ბ-ების კომლების კუთვნილი უძრავი ქონების იდენტურია. უძრავი ქონება შეესაბამება საჯარო რეესტრში ნ. ბ-ისა და ქ. ლ-ის მიერ წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზებს. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიჩნია, რომ თავდაპირველად ნ. ბ-ის სახელზე აღრიცხული 3228 მ² ფართიდან 3000 მ² უნდა ჩათვლილიყო გ. (0,15 ჰა) და რ. (0,15 ჰა) ბ-ების კომლების კუთვნილ ფართად, საიდანაც გ. ბ-ის კომლის ქონებაზე (1500 მ² მიწის ნაკვეთი და სახლის 1/2 ნაწილი) მისი მემკვიდრეების წილები უნდა განსაზღვრულიყო შემდეგნაირად: დ. ბ-ის – 1/3, ქ. ლ-ისა და თ. ბ-ის (როგორც ლ. ბ-ის მემკვიდრეების) – 1/3 და მ. ბ-ის – 1/3. რ. ბ-ის კომლის ქონებაზე (1500 მ² მიწის ნაკვეთისა და სახლის 1/2 წილზე) განისაზღვრონენ ქ. ლ-ე და თ. ბ-ი (როგორც ლ. ბ-ის მემკვიდრეები). იმის გამო, რომ თავდაპირველად ნ. ბ-ის სახელზე აღრიცხული 3228 მ² ფართიდან 3000 მ² ჩაითვალა გ. და რ. ბ-ების კომლების კუთვნილ ფართად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 3000 მ² ფართის ნაწილში ძალადაკარგულად გამოაცხადა გადანებეტილებები ნ. ბ-ის სახელზე ამ ქონების აღრიცხვისა და შემდგომში დაყოფის რეგისტრაციის თაობაზე, ასევე მ. ბ-ის სახელზე სამისდღეში რჩენისა და ჩუქუპების ხელშეკრულებების საფუძველზე ქონების რეგისტრაციის თაობაზე. ამასთანავე, სამისდღეში რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, დარჩენილი 228 მ² ფართის მ. ბ-ზე აღრიცხვა ჩაითვალა კანონიერად. ასევე ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ლ-ისა და დ. ბ-ის განცხადებების საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოებების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს დაევალა ახალი გადაწყვეტილებების მიღება დადგენილი გარემოებების მიხედვით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 05.01.2017წ. №... გადაწყვეტილებით გასწორდა სააგენტოს 29.12.2016წ. №... გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური უსწორობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების 1.18 პუნქტიჩამოყალიბდა შემდეგისახით: „ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტოს მიერ დადგინდა, რომ ქ. ლ-ე და თ. ბ-ი

არიან გ. ბ-ის შვილის – ან გარდაცვლილი ლ. ბ-ის მეუღლე და შვილი. თავის მხრივ, ლ. ბ-ი იყო გარდაცვლილი მამიდის – რ. ბ-ის მეტკვიდრე“. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების 1.2.14 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ზემო-აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესაბამი-სად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიაჩნია, რომ ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონულმა ოფისმა №..., №..., №..., №... და №... სარეგისტრაციო განცხადებებთან დაკავშირებით უნდა გა-ნაახლოს სარეგისტრაციო წარმოება და მიიღოს ახალი გადაწყვეტილე-ბა. ნაწილობრივ გააუქმოს სარეგისტრაციო ობიექტზე მ. ბ-ის საკუთ-რების უფლება და დაარეგისტრიროს დ. ბ-ის, ქ. ლ-ის, თ. ბ-ისა და მ. ბ-ის თანასაკუთრება, შემდეგნაირად: 1) როგორც გ. ბ-ის მემკვიდრეებს, მამ-კვიდრებლის კუთვნილი 1500 კვ.მ მინის ნაკვეთიდან 1/3 დ. ბ-ს, 1/3 ქ. ლ-ეს და თ. ბ-ს, ხოლო 1/3 მ. ბ-ს. სახლის 1/2 ნაწილიდან ასევე 1/3 დ. ბ-ს, 1/3 ქ. ლ-ეს და თ. ბ-ს, ხოლო 1/3 მ. ბ-ს; 2) როგორც რ. ბ-ის მემკვიდ-რეს, მამკვიდრებლის კუთვნილი 1500 კვ.მ მინის ნაკვეთი და სახლის 1/2 ქ. ლ-ეს და თ. ბ-ს; 3) დარჩენილი 228 კვ.მ მინის ნაკვეთი, სამისდღე-შიორჩენის №... ხელშეკრულების საფუძველზე, მ. ბ-ს.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზემოაღნიშნული გა-დაწყვეტილების კანონიერების შემოწმების პროცესში, ქვედა ინსტან-ციის სასამართლოებმა, საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე დაყრდნო-ბით, დადგენილად მიიჩნიეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:

კასპის რაიონის სოფელი ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის 1964-1966 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფ-როსად ჩაწერილია გ. ბ-ი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან ნ. ბ-ი (ცოლი), დ. და ლ. ბ-ები (შვილები). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხე-ბა 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. სახლისა და მინის ფარ-თი მითითებული არ არის.

კასპის რაიონის სოფელი ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის 1967-1970 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფ-როსად ჩაწერილია გ. ბ-ი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან ნ. ბ-ი (ცოლი), დ. და ლ. ბ-ები (შვილები). დ. და ლ. ბ-ები გადახაზულია და მი-თითებულია – „ცხოვრობენ თბილისში“. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. სახლისა და მი-ნის ფართი მითითებული არ არის.

კასპის რაიონის სოფელი ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის 1971-1973 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფ-როსად ჩაწერილია გ. ბ-ი (ცხოვრობს თბილისში მუდმივად). კომლის შე-მადგენლობაში ირიცხება ნ. ბ-ი (ცოლი). ორივე გადახაზულია და მითი-

თებულია – „კომლი გაუქმებულია დედასთან შეერთების გამო 1971 წლიდან“. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. სახლისა და მინის ფართი მითითებული არ არის.

იმავე წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილია ე. ბ-ი. კომლის შემადგენლობაში ირიცხება გ. ბ-ი (შვილი). გადახაზულია და მითითებულია – „ცხოვრობს თბილისში“. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1918 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. სახლის ფართი მითითებული არ არის. კომლს ერიცხება 0,50 ჰა მინის ფართობი.

კასპის რაიონის სოფელ ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის 1973-1975 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად ჩაწერილია გ. ბ-ი. კომლის შემადგენლობაში ირიცხება ნ. ბ-ი (ცოლი). კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს და 1918 წელს აგებული საცხოვრებელი სახლები. სახლის ფართი მითითებული არ არის. 1973 წლის ჩანაწერით კომლს ერიცხება 0,50 ჰა, ხოლო 1974-1975 წლების ჩანაწერით – 0,15 ჰა. იმავე საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება რ. ბ-ი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, სახლისა და მინის ფართი მითითებული არ არის.

კასპის რაიონის სოფელ ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის გასული კომლების 1976-1979 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება გ. ბ-ი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, სახლის ფართი მითითებული არ არის. კომლს ერიცხება 0,15 ჰა მინის ფართი, ასევე 0,15 ჰა მინის ფართი. იმავე საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება რ. ბ-ი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი. სახლისა და მინის ფართი მითითებული არ არის.

კასპის რაიონის სოფელ ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის გასული კომლების 1980-1982 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება გ. ბ-ი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1980 წლის ჩანაწერით 1965 წელს აგებული 80 მ² საცხოვრებელი სახლი. 1981-1982 წლებში საცხოვრებელი სახლი მითითებული არ არის, ხოლო 1980-1982 წლების ჩანაწერებით კომლს ერიცხება 0,15 ჰა მინის ფართი. იმავე საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება რ. ბ-ი. კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1980 წლის ჩანაწერით 1965 წელს აგებული 80 მ² საცხოვრებელი სახლი. 1981-1982 წლებში საცხოვრებელი სახლი მითითებული არ არის. ამავე წლების ჩანაწერებით მის კომლს ერიცხება 0,06 ჰა მინა.

კასპის რაიონის სოფელ ...ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სოფელ ...ის 1983-1985 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება გ. ბ-ი. კომლს 1983 წლის ჩანაწერით პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული 80 მ² საცხოვრებელი სახლი; 1984-1985 წლების ჩანაწერებით - 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლის 1/2 - 80 მ², ხოლო 1983-1985 წლების ჩანაწერებით - 0,15 ჰა მიწის ფართი. იმავე საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება რ. ბ-ი. 1983 წლის ჩანაწერით კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული 80 მ² საცხოვრებელი სახლი, 1984-1985 წლების ჩანაწერებით - 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლის 1/2 - 80 მ², ხოლო 1983-1985 წლების ჩანაწერებით - 0,06 ჰა მიწის ფართი.

კასპის რაიონის სოფელ ...ის გასული კომლების 1986-2000 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება გ. ბ-ი. 1986 წლის ჩანაწერით კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლის 1/2 - 80 მ², 1987-1990 წლების ჩანაწერებით - 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი - 80 მ², ხოლო 1986-1990 წლების ჩანაწერებით - 0,15 ჰა მიწის ფართი. დამატებითი ცნობების გრაფაში მითითებულია: დაწერა შვილებს - მ., დ. და ლ. - 25 მ². იმავე საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება რ. ბ-ი. 1986 წლის ჩანაწერით კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლის 1/2 - 80 მ², 1987-1990 წლების ჩანაწერებით - 1965 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი - 80 მ², ხოლო 1986-1990 წლების ჩანაწერებით - 0,06 ჰა მიწის ფართი.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის თემის საკრებულოს სოფელ ...ის 1992 წლების მიწის ნაკვეთების განაწილების სიით სოფელ ...შირ. პ-ს პირად საკუთრებაში ერიცხება ფაქტობრივ ფლობაში არსებული 0,15 ჰა მიწის ნაკვეთი.

კასპის რაიონის სოფელ ...ის საკრებულოს სოფელ ...ის გასული კომლების 1996-2006 წლებით დათარიღებულ საკომლო წიგნში კომლის უფროსად და ერთადერთ წევრად ირიცხება ნ. ბ-ი. 1997 წლის ჩანაწერით კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 0,32 ჰა მიწის ფართობი. საცხოვრებელი სახლი მითითებული არ არის. დამატებითი ცნობების გრაფაში მითითებულია, რომ ბინა არ აწერია.

1990 წლის პირველ ნოემბერს გარდაცვლილი გ. ბ-ის დანაშთ სამკვიდროზე თანასწორ წილში მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ მისი შვილები - დ., ლ. და მ. ბ-ები. გ. ბ-ის მეუღლემ - ნ. ბ-მა უარი განაცხადა სამემკვიდრეო წილზე. სამკვიდროში შევიდა კასპის რაიონის სოფელ ...ში მდებარეობსართულიანი სახლი, საერთო ფართით - 80 მ².

6. ბ-მა მის სახელზე რიცხვული, თბილისში, ...ის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა აჩუქა შვილს – დ. ბ-ს.

2011 წლის 14 იანვარს გარდაცვლილი რ. ბ-ის სამკვიდრო მიიღო მის-მა მეორე რიგის მემკვიდრემ – ძმის შვილმა ლ. ბ-მა, ხოლო ლ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო – ქ. ლ-ემ და თ. ბ-მა (ლ. ბ-ის მეუღლე და არასრულ-ნლოვანი შვილი).

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე მითითებით ქვედა ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ისათვის მიღება-ჩა-ბარების აქტით გადაცემული მიწის ნაკვეთი და გ. და რ. ბ-ების კომლე-ბის კუთვნილი უძრავი ქონება არის ერთი და იგივე, ნ. ბ-ი 1976 წლიდან აღარ არის გ. ბ-ის კომლის წევრი. გ. ბ-ის საკომლო წიგნის ჩანაწერში, დამატებითი ცნობების გრაფაში მითითებულია, რომ 25 მ² ქონება და ე-წერათ მვილებს – მ., დ. და ლ.. ამასთან, კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის მიხედვით, გ. ბ-ის მემკვიდრებად ცნობილ იქნენ მისი შვილები. გარდა ამისა, სოფელ ...ში, გასული კომლების სიში, ნ. ბ-ი ცალკე კომლად ირიცხება მხოლოდ 1996 წლიდან. მას საცხოვრებელი სახლი არც საკომლო წიგნის ჩანაწერით და არც მიღება-ჩაბარების აქტით არ ანერია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია იმ ნაწილში, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 30.09.2015წ. №... გადაწყვეტილება ნ. ბ-ის სახელზე №... უძრავი ქონების აღრიცხვის შესახებ, ასევე 13.11.2015წ. №... გადაწყვეტილება ნ. ბ-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ორ ნაკვეთად (№... და №...) დაყოფის შესახებ.

აღნიშნულ ნაწილში სააგელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში, რაც ნიშნავს იმას, რომ საკადაციო სასამართლო წინამდებარე საქმეს იხილავს მხოლოდ სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადაციო საჩივრის ფარგლებში, რომლითაც მოთხოვნილია, თბილისის სააგელაციო სასამართლოს 18.01.2019წ. განჩინების გაუქმება მ. ბ-ის სახელზე ჩუქებისა და სამის-დღეშიორჩენის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციების კანონიერად მიჩნევის ნაწილში.

საკადაციო პალატა მიუთითებს, რომ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს წარმოადგენს საქმეზე სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამავდროულად, მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებისადმი სანდოობის წინაპირობას ქმნის სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა. „...სასამართლო, როგორც კონფლიქ-

ტის მოგვარების ინსტიტუტი, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმ-ფციით სარგებლობს, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხი კი საბოლოოდ გადაწყვეტილად და დადგენილად ითვლება კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილებით..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სა-სამართლოს 05.11.2013წ. №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშ-ვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციაში განხილვის ეტაპზე წინამდებარე ადმინისტრაციული საქმის განხილ-ვის შეჩერების მიზეზს წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმო-ების წესით უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ბათილად ცნობასთან დაკავშირებული სარჩელის განხილვა, რამეთუ სამოქალა-ქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი გავლე-ნას მოახდენდა ადმინისტრაციული წესით განსახილველი საქმის შე-დეგზე. მოცემული საქმის წარმოება განახლდა მას შემდეგ, რაც ძალა-ში შევიდა სამოქალაქო საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტი-ლება, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ სადაცო რეგისტრაციე-ბის განხორციელების ფაქტობრივი საფუძვლები უკანონოა.

სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეო-ბებს და საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებ-რივ საფუძვლებს განსაზღვრავს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-თველოს კანონი. აღნიშნული კანონის 26.1 მუხლის თანახმად, რეგის-ტრაცია ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, თუ: а) წარდგენილია სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უფლების გადას-ვლის ან/და შეწყვეტის ფაქტს; ბ) ძალადაკარგულად, ბათილად ან არ-არად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; დ) ამოინურა უფლების მოქ-მედების განსაზღვრული ვადა; ე) არსებობს საქართველოს კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო კვლავც ყურადღებას მიაქცევს იმ გარე-მოებას, რომ ბ. ბ-ზე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრა-ვი ქონება, ჩუქების, ხოლო №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წლის 19 ნოემბერსა და 2016 წლის 10 მარტს საკუთრების უფლე-ბით აღირიცხა მისი შვილის – მ. ბ-ის სახელზე. ამასთან, მ. ბ-ის სახელ-ზე მითითებული რეგისტრაციების განხორციელების საფუძვლები – ჩუ-ქების ხელშეკრულება და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ბათი-ლადაა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტი-ლებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის, სხვა საქმის განხილვამდე საქმის წარმოების შეჩერების მიზნისა და შეჩერების შედეგის – სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მისი გამოტანის მომენტისთვის არსებულ ფაქტებთან. საკასაციო სასამართლო თვლის, იმის მიუხედავად, რომ გარემოება, რომელზეც ადმინისტრაციული ორგანო უთითებს, სამართლებრივად დადასტურდა სადაც აქტის გამოცემის შემდგომ, საკასაციო სასამართლო ვერ მიღებს გადაწყვეტილებას, სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის გათვალისწინების გარეშე. ამდენად, საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე გამოვლენილი გარემოება ქმნის სადაც რეგისტრაციების ძალადაცარგულად გამოცხადების წინაპირობას, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული 26.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მართალია, ბოლომდე არ იზიარებს სადაც საკითხთან დაკავშირებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრი განვითარებულ მოსაზრებებს საჯარო რეესტრის უფლებამოსილების ფარგლებისა და სახელმძღვანელო პრინციპების თაობაზე, თუმცა, წინამდებარე დავის ფარგლებში საჭიროდ არ მიიჩნევს მსჯელობას ადმინისტრაციული ორგანოს უფლებრივ ნაწილზე, რამდენადაც უდავოა, რომ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის მომენტისათვის არსებული მდგომარეობა, ქმნის შესაბამისი რეგისტრაციების ძალადაცარგულად გამოცხადების კანონისმიერ საფუძველს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგის ძალაში შესული გადაწყვეტილება ადასტურებს საჯარო რეესტრის სადაც აქტის გასაჩივრებული ნაწილის კანონიერებას, ხოლო, სასამართლოს მიზანს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს სადაც საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა. საკასაციო სასამართლო გამორიცხავს კანონით მესამე პირებისათვის გარანტირებული საკუთრების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის შესაძლებლობას და თვლის, რომ სადაც საკითხი უნდა გადაწყდეს დადგენილ და დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქმის მასალების მიხედვით, საჯარო რეესტრის სადაც 29.12.2016. აქტის ძალადაცარგულად გამოცხადებას, მიუხედავად სასამართლოში მისი გასაჩივრებისა, უკვე მოჰყვა შესაბამისი შედეგი – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.12.2016. №... გადაწყვეტილების საფუძველზე, სადაც სარეგისტრაციო ობიექტზე მ. ბ-ის საკუთრების უფლება ნაწილობრივ

გაუქმდა და მ. ბ-თან ერთად, უძრავ ნივთზე დარეგისტრირდა მესამე პირების – დ. ბ-ის, ქ. ლ-ის, თ. ბ-ის თანასაკუთრების უფლება. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურდა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე. ამდენად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია და მისი გამოცემის თანმდევი შედეგები რეალურად უკვე დამდგარია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაპრუნების საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.01.2019წ. განჩინების გაუქმებისა და სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, საქმეზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 იანვრის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ნ. და მ. ბ-ების სასარგებლოდ დასამართლო ხარჯების სახით 75 ლარის დაკისრების თაობაზე და ნ. და მ. ბ-ების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 75 ლარი ჩაითვალის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. ამავდროულად, ნ. და მ. ბ-ებს სისიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 450 ლარის ოდენობით (150 ლარი – სააპელაციო საჩივარზე; 300 ლარი – საკასაციო საჩივარზე).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ჟ ვ ი ს ტ ა:

1. საიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი და კმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 იანვრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის ბათილად ცნობის შესახებ, კერძოდ, კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 19 ნოემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა და ამავე სამსახურის 2016 წლის 10 მარტის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. 6. და მ. ბ-ების სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული რეგისტრაციების ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 იანვრის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ნ. და მ. ბ-ების სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების სახით 75 ლარის დაკისრების თაობაზე და ნ. და მ. ბ-ების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 75 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

5. გაუქმდეს გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება;

6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 18 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელი;

7. 6. და მ. ბ-ებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისროთამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 450 ლარის ოდენობით (150 ლარი – სააპელაციო საჩივარზე; 300 ლარი – საკასაციო საჩივარზე);

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge